პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

[illegible]

კომუნისტი

საქ. კომუნისტური პარტიის
ცენტრალური და თბილისის
კომიტეტების
— და —
სრულიად საქართველოს
მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა
და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების
ცაკის ორგანო

რედაქცია
თბილისი, კამოს (უოფ. დიდო მთავრის) ქ. № 68, მეორე სართული
რედაქციაში საქმისათვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე,
გარდა კვირა-უქმეებისა დილის 10 საათიდან ღამის 12 საათამდე.
ტელეფ.) რედაქტორის 14—26
) მდივნის 10—58
) ღამის მორიგეს 13—30.

მთავარი კანტორა თბილისი რუსთაველის პროსპ., № 34, ტელეფონი № 8—81.

ხელისმოწერის ფასი:
მუშა-მოსამსახურეთათვის, გლეხების, წითელ-არმიელების, მოწაფეების და მასწავლებლებისათვის—1 მან., დანარჩენებისათვის—1 მან. და 30 კაპ.

განცხადებები:
საქართველოს ფარგლებში—ტექსტის უკან—80 კ. ნონპარელის სტრიქონი, ტექსტის შიგნით—1 მ. 60 კ.; საქართველოს გარეთ—ტექსტის უკან—1 მ. 50 კ., ტექსტში—3 მ.; განმცხადებელი გარდა განცხადების ფასისა იხდის 10% საქალაქო გადასახადს. თუ განცხადება იბეჭდება ხუთჯერ ტექსტის შეუცვლელად—შეღავათი შეთანხმებით. მთ. კანტორაში განცხადებები მიიღება 9—3½ ს., 3½ ს. შემდეგ განცხადება ეღირება 20%-ით მეტი. სამგლოვიარო განცხადებები—15 და 20 მ.

დღიური

— 25 მაისს ნიუ-იორკში გაიხსნება უორკერს პარტიის კონფერენცია.
— გადადგა საფრანგეთის შრომის მინისტრი ფალიერი.
— „შავი წვიმა" პოლონეთში.
— საფრანგეთში აკრძალეს 1-ლ მაისის მანიფესტაციები.
— პროფკავშირთა საკავშირო ყრილობა [illegible]ბერში.
— გაიხსნა საბჭ. კავშ. საწარმოო ქალების შესწავლის საკავშირო კონფერენცია.
— მეორე საავიაციო ლატარიის გათამაშება მოხდება 26—27 მაისს.

კვირა, 29 აპრილი 1928 წ. ყოველდღიური გაზეთი ფასი 5 კაპ. № 99 (2142)

კომუნისტი

მიიღება ხელისმოწერა **მაისისათვის**

დღეს, კვირას 29 აპრილს, სამშაბათს 1 და ოთხშაბათს 2 მაისს, კანტორა ღია იქნება

დღის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე.
კანტორა—რუსთაველის პრ. № 34. ტელეფ. 8—81

ფართე მშენებლობის გზით

საბჭოთა ხელისუფლების სამეურნეო მოღვაწეობის ძირითად ღერძს წარმოადგენს ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაცია. მძიმე მრეწველობის განვითარების გარეშე ფუჭი ოცნება იქნებოდა ოქტომბრის რევოლიუციის საბოლოო გამარჯვებაზე ფიქრი. ეს განსაკუთრებით უნდა გვახსოვდეს იმიტომ, რომ კაპიტალისტური ევროპა და ამერიკა, რომლებთანაც გვიხდება არა მარტო პოლიტიკური, არამედ ეკონომიური ბრძოლა, ჩვენზე უფრო ძლიერი არიან მატერიალურათ და ტეხნიკურათ. სხვანაირად არც შეიძლებოდა ყოფილიყო, რადგან სოციალისტური მეურნეობის მშენებლობა ჩვენ შეგვიხვდა ისეთ ქვეყანაში, რომელიც ისტორიულათ ჩამორჩენილი იყო დაწინაურებულ სახელმწიფოთა სამეურნეო განვითარების საერთო დონეს.

მიუხედავად ამისა, ჩვენ ოდნავადაც არ ვკარგავთ რწმენას იმაში, რომ ახლად აღმოცენებული სოციალისტური მეურნეობა გაიმარჯვებს კაპიტალისტურ მეურნეობასთან ჭიდილში. ამის მთავარი საწინდარია ის ობიექტიური პირობები, რომელშიაც უხდება განვითარება ერთსა და მეორე ეკონომიურ სისტემას. საბჭოთა წყობილების პირობებში, სადაც ქვეყნის ეკონომიური სადავე ერთ ხელშია, სადაც მთელი მეურნეობა მუშაობს ერთი გეგმით და აღმოფხვრილია ექსპლოატატორიულ კონკურენციის ტენდენციები, თავისთავად ცხადია, სახალხო მეურნეობა უფრო სწრაფი ნაბიჯით უნდა წავიდეს წინ, ვიდრე კაპიტალისტურ ქვეყნებში. ეს შესაძლებელია საბჭოთა კავშირში კიდევ იმიტომაც, რომ ხელსაყრელ პოლიტიკურ პირობებს გარდა ჩვენ წარმოვადგენთ მდიდარი ბუნებრივი სიმდიდრის ქვეყანას.

მაგრამ იმ საერთო პირობებთან ერთად, რომელნიც სოციალისტურ მეურნეობისათვის ქმნიან გამარჯვების დიდ შანსებს, საჭიროა სწორი სამეურნეო პოლიტიკის წარმოება, საჭიროა სწორი გეზის აღება, რომ რაც შეიძლება რაციონალურად იქნეს გამოყენებული გამარჯვების ყველა ეს პირობები. ჩვენი ძირითადი სამეურნეო გეზი, როგორც უკვე აღვნიშნეთ, არის საბჭოთა კავშირის ინდუსტრიალიზაცია. ჩვენი ხელისუფლება თავის სამეურნეო პოლიტიკას ამ საერთო გეზთან შეფარდებით აშენებს. ის ერთნაირად ზრუნავს მრეწველობის განვითარებისათვის როგორც ცენტრში, ისე ეკონომიურათ ჩამორჩენილ სხვა რაიონებში.

კერძოთ საქართველოს, ჩვენი საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების შემდეგ, დიდი მიღწევები აქვს მრეწველობის ფრონტზე. გარდა იმისა, რომ აქ აშენდა და შენდება მთელი რიგი სრულიად ახალი ფაბრიკა-ქარხნებისა, ამასთან ერთად მტკიცე საფუძველი ჩაეყარა ელექტროფიკაციის საქმესაც.

მალე უკვე წელიწადი შესრულდება, რაც მუშაობს უძლიერესი ჰიდრო-ელექტრონის სადგური ზაჰესი. დაწყებულია კიდევ უფრო მეტი ძალოვნობის სადგურის—რიონჰესის აშენება. ჰიდრო-ელსადგური შენდება აგრეთვე აჭარისტანშიც. დღეს კი საქართველოს მშრომელები ზეიმობენ მორიგ მნიშვნელოვან გამარჯვებას ელექტროფიკაციის ფრონტზე: იწყებს მუშაობას აბაშის ჰიდრო-ელექტრონული სადგური—აბჰესი.

მძიმე ინდუსტრიის მთავარ მკვებავ წყაროს წარმოადგენს სათბობი და ნედლეული მასალა. ჩვენში, მდინარეთა სიმრავლის გამო, ფართეთ ვითარდება ელექტროფიკაცია. ეს იმას ნიშნავს, რომ იქმნება ძლიერი სტიმული მრეწველობის განვითარებისათვის, რომ საიმედო საძირკველი ეყრება სოფლის მეურნეობის მექანიზაციის საქმეს.

მიწის სივიწროვის პირობებში, რომელიც განსაკუთრებით საგრძნობია საქართველოში, ვიდრე საბჭოთა კავშირის სხვა მრავალ რაიონში, მეურნეობის მექანიზაცია ერთად-ერთი საშუალებაა სოფლის ეკონომიურად და კულტურულად აყვავებისათვის. თუ გლეხს დღეს უჭირს არა თუ საკუთარი თავის შენახვა, არამედ მუშა-საქონლის კვება და მოვლა, თუ სოფლის მეურნეობის პროდუქციის ეხლანდელი რაოდენობა და თვითღირებულება სერიოზულ დაბრკოლებას წარმოადგენს სახალხო მეურნეობის განვითარების საქმეში, ამის მთავარი მიზეზია ჩვენი ტეხნიკური ჩამორჩენილობა. ელექტროფიკაცია ამ ჩამორჩენილობის ერთი უძლიერესი მტერთაგანია.

გარდა ამისა ელექტროფიკაცია თავისთავად ქმნის სოფლის მეურნეობის კოლექტიურად გარდაქმნის ეკონომიურ პირობებს. მექანიზაციის გატარება წარმოუდგენელია დაქუცმაცებულ და გაფანტულ მეურნეობათა საშუალებით. კოლექტიური მეურნეობა, რასაც ასე დიდ ყურადღებას მიაქცევს ჩვენი პარტია და ხელისუფლება მეურნეობის სწორედ ის ფორმაა, რომელიც ნაყოფიერ ნიადაგს ქმნის მექანიზაციისათვის და, მაშასადამე, ჩვენი სოფლის სიღატაკის, კულტურულ ჩამორჩენილობის აღმოფხვრისათვისაც.

მართალია ბევრი დაბრკოლებები გვეღობება წინ. კერძოთ უცხოეთის კაპიტალი ყოველ ღონეს ხმარობს, რომ ხელი შეუშალოს ჩვენს სამეურნეო ზრდა-განვითარებას, მაგრამ მშრომელი მასების კოლექტიური შემოქმედებითი ძალა გადალახავს ყველა ამ დაბრკოლებას. საჭიროა მხოლოდ მეტი მონდომება და დაუნდობელი ბრძოლა შემჩნეულ დეფექტების აღმოსაფხვრელად. აქეთკენ მოუწოდებს პარტია და ხელისუფლება საბჭოთა კავშირის ყველა მშრომელ მასებს.

საბჭოთა დემოკრატიის გატარების შემოწმება

მნიშვნელოვან საზოგადოებრივ ინტერესს იწვევს საბჭოთა (პროლეტარული) დემოკრატიის განხორციელების შემოწმება, რომელიც ამჟამად ტარდება საკონტროლო კომისიის და მუშათა და გლეხთა ინსპექციის ხაზით.

გარდა იმისა, რომ ეს მუშაობა ყურადღებას იქცევს თავისი შინაარსით, მას ენიჭება განსაზღვრული საზოგადოებრივი ღირებულება იმ ფორმებისა და მეთოდების გამო, რომელთა საშუალებითაც იგი ტარდება ამ მუშაობაში თითქმის პირველად არის სრული მოცულობით გამოყენებული მასიური, ფართო გამოკვლევა-შემოწმების მეთოდები. მუშათა და გლეხთა ნამდვილმა და არა ფორმალურმა მონაწილეობამ მუშათა და გლეხთა ინსპექციის მუშაობაში (ხოლო მისი საშუალებით სახელმწიფოს მმართველობის საქმეში) აქ თითქმის პირველად ჰპოვა თავისი კონკრეტული პრაქტიკული გამოხატულება. აქ ჩვენ ამ მხრივ მივაღწიეთ ყველაზე უფრო საგრძნობ, მნიშვნელოვან შედეგებს.

საჭიროა გავეცნოთ ამ მუშაობის გამოცდილებას, რომელიც უკვე სავსებით დამთავრდა დასავლეთ საქართველოში.

ამ შემოწმების ჩასატარებლად ამიერ-კავკასიის საკონტროლო კომისიამ და საქართველოს კომპარტიის (ბ) ცენტრ. საკონტრ. კომისიის საერთო ჯგუფი, როგორც ცნობილია, დაყოფილ იქნა 2 ქვეჯგუფად იმ მიზნით, რომ ერთდროულად ჩაგვეტარებია დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოს გამოკვლევა. გამოსაკვლევი ობიექტების ხასიათის მიხედვით ქვე-ჯგუფები აარსებდნენ ცალკე კომისიებს. ასე მაგალითად, თბილისში და ბათომში ქვე-ჯგუფი დაიყო სამ ნაწილად: ერთი—ქალაქის საბჭოს გამოკვლევისათვის, მეორე—მთელი რიგ წარმოებათა და დაწესებულებათა არჩევითი წესის გამოკვლევისათვის, და მესამე—ყოველგვარი საზოგადოებრივი ორგანიზაციების ხელმძღვანელი ორგანოების გამოკვლევისათვის: ამასთანავე, ამ კომისიების დაჯგუფება ხდებოდა იმგვარად, რომ საკონტროლო კომისიის და მუშათა და გლეხთა ინსპექციის წარმომადგენლები ამ კომისიებში იყვნენ მუშაობის ორგანიზატორები, ხოლო თვით შემოწმებას უმთავრესად ატარებდნენ კომისიის წევრები—სხვადასხვა საწარმოო და საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლები (მუშები, კომკავშირელები, მუშკორები, პროფესიონალური და საბჭოთა მუშაკები და სხვ.).

საბჭოთა მუშაობის შემოწმება უმთავრესად ჩატარდა წარმოებებში. წარმოებებში კომისია პირველად იწვევდა აქტივს, აცნობდა მომავალი მუშაობის ამოცანებს და წინასწარ შემუშავებული გეგმის მიხედვით ატარებდა თვით შემოწმების მთელი რიგი საკითხების [illegible]. ამის შემდეგ იმავე მიზნით იკრიბებოდა პროფაქტივი. შემდეგ დამატებით აგროვებდნენ საჭირო მასალას წარმოების საზოგადოებრივი ორგანიზაციების, ქალთა დელეგატების ცალკე თათბირებს და სხ. საქმეზე. ამ მასალას ამუშავებდნენ წინედ მიღებულ მასალებთან ერთად და დასკვნებისა და პრაქტიკულ წინადადებათა სახით მერედ უდგენდნენ განსახილველად იმავე თათბირებს. აქ ამ მასალას აკრიტიკებდნენ, შეჰქონდათ მასში დამატებანი და ცვლილებანი. ცალკე წარმოებათა და დაწესებულებათა საბოლოო დასკვნებს აჯგუფებდნენ საერთო ჯამებად და უერთებდნენ იმ გამომკვლევი ჯგუფების მასალებს, რომელმაც ჩაატარა ქალაქის საბჭოს გამოკვლევა.

იგივე პრინციპი იყო დაცული თვით ქალაქის საბჭოების (ბათომის, ქიათურის) გამოკვლევის დროს: გამომკვლევი ჯგუფი ყველა აუცილებელ საკითხებს წინასწარ არკვევდა ფრაქციის სხდომაზე, და შემდეგ საბჭოს პრეზიდიუმის გაფართოებულ სხდომაზე. საბჭოს სექციების, პრეზიდიუმის და პლენუმის მასალების შემოწმების შემდეგ ჯგუფი ამუშავებდა და კოლექტიურად იხილავდა დასკვნებს და პრაქტიკულ წინადადებებს; ამასთანავე იგი იყენებდა წარმოებებში და საზოგადოებრივი ორგანიზაციების ხელმძღვანელ ორგანოებში საბჭოთა მუშაობის შემოწმების მასალებს. ამ დასკვნებს იხილავდა სათანადო პარტორგანო (საოლქო კომიტეტი, სამაზრო კომიტეტი და რაიკომი) საბჭოს ფრაქციის ბიუროსთან ერთად, რის შემდეგაც განხილვას აწარმოებდა ქალაქის საბჭოს მთელი პლენუმი.

დაახლოებით ასეთივე წესით ტარდებოდა გამოკვლევა სათემო და სასოფლო საბჭოებში და ქალაქისა და სოფლის ყველა იმ საზოგადოებრივ ორგანიზაციებში, რომლებიც ასე თუ ისე არიან დაკავშირებული საბჭოთა მუშაობასთან (პროფკავშირები, კომკავშირი, კოოპერაცია, ქალთა სადელეგატო ორგანიზაციები და სხვ.).

შემოწმების ჩატარების შემდეგ დასავლეთ საქართველოში ჩვენ მივიღეთ ასეთი საორგანიზაციო შედეგი: სულ გამოკვლეულ იქნა 41 ობიექტი (2 ქალაქის საბჭო, 2 აღმასკომი, 1 თემსაბჭო, 2 სასოფლო საბჭო, 4 ხელმძღვანელი პარტორგანო, 4 კომკავშირთა ორგანიზაცია, 13 პროფკავშირთა ორგანიზაცია, 5 კოოპერატიული ორგანიზაცია, 3 გლეხკომი და 5 ცალკე წარმოებანი), შემოწმების საკითხებთან დაკავშირებით ჩატარებულ იქნა 49 სხვადასხვა თათბირი და სხდომა (25 პარტიული, 7 საბჭოთა, 11 პროფკავშირთა და 6 სხვადასხვა ორგანიზაციების). ამ თათბირების საშუალებით საბჭოთა (პროლეტარული) დემოკრატიის განხორციელების შემოწმების საკითხების განხილვაში ჩაბმულ იქნა 1586 კაცი (514 კაცი პარტთათბირების ხაზით, 886—საბჭოთა, 529—პროფკავშირთა ხაზით, 117 სხვადასხვა ხაზით—ქალთა დელეგატების, მუშგლეხკორთა და სხვ.). მუშაობის უშუალოდ ჩატარებისათვის დაარსებულ იქნა სხვადასხვა კომისიები, სხვადასხვა ორგანოების წარმომადგენელთა მონაწილეობით. კომისიებში მონაწილეობას იღებდა 50 კაცი, მათ შორის დაზგის და შავი მუშა იყო 21.

თუ არაფერს ვიტყვით მუშათა და გლეხთა იმ მნიშვნელოვან ფენაზე, რომელთა მონაწილეობა ამ შემოწმებაში უზრუნველყოფილი იყო კრებების და სხდომების საშუალებით (სადაც მათ ეძლეოდა ფართო შესაძლებლობა გასცნობოდნენ დასკვნებს, შეეტანათ დამატებანი და ცვლილებანი ამ დასკვნებში), განსაკუთრებულ ყურადღებას უნდა მიექცეს მუშათა ჯგუფს 21 კაცის შემადგენლობით, რომელიც უშუალოდ მონაწილეობდა ამ შემოწმებაში. ეს სწორედ ის შემადგენლობაა, რომელიც გამოცდილების დაგროვებასთან ერთად სულ უფრო და უფრო უნდა გაიზარდოს საკონტროლო კომისიის და მუშათა და გლეხთა ინსპექციის გამოკვლევით მუშაობაში და დაბოლოს უნდა შეიქნას ისეთი მდგომარეობა, როცა მთელ შემოწმებულ მუშაობას ჩაატარებენ თვითონ მუშები და გლეხები, ხოლო მუშათა და გლეხთა ინსპექცია საჭირო [illegible] მათთვის.

ამ მუშებმა, რომლებიც გამოყოფილი იყვნენ ნაწილობრივ საბჭოების სექციების და ნაწილობრივ ფაბრკომების მიერ, ფაქტიურად გაიარეს შემოწმების ყველა ეტაპები თავიდან ბოლომდე. მათი უშუალო მონაწილეობით სწარმოებდა საბჭოთა მუშაობის შემოწმება წარმოებებში, დაწესებულებებში და ქალაქის საბჭოში. ისინი მონაწილეობდნენ დასკვნებისა და პრაქტიკულ წინადადებათა განხილვაში. მათი შეხედულება და გამოცდილება გამოყენებულ იქნა გამოკვლევის მასალების შეჯამებისა და ცვლილებების შეტანისათვის.

საერთოდ უნდა ითქვას, ამ გამოკვლევის ყველა მასალები შეგროვდა და შემოწმებამ ჩაიარა თათბირების საშუალებით, მუშათა, მუშა-ქალთა და გლეხთა მონაწილეობით. მოგვცა შესაძლებლობა სავსებით გაგვეთვალისწინებინა და გამოგვეკვლია ყველა დადებითი და უარყოფითი მხარეები ადგილებზე საბჭოთა (პროლეტარული) დემოკრატიის გატარების საქმეში. ასეთ პირობებში გამოკვლევის დროს თითქმის არაფერი არ შეიძლებოდა გამოგვრჩენოდა მხედველობიდან. ამის შემდეგ დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ პრაქტიკულ წინადადებებს, რომლებიც დამყარებულია ამგვარად შემოწმებულ დასკვნებზე, უდიდესი მნიშვნელობა აქვს და უაღრესად რეალურია.

გ.

გერმანიის პრესა გერმანია-საბჭოთა ურთიერთობის შესახებ

საფრანგეთის სოციალისტები ბურჟუაზიულ პარტიებს უთანხმდებიან კომუნისტების წინააღმდეგ

ხელჩართული ბრძოლა იაპონიის პარლამენტში

გერმანია-საბჭოთა ურთიერთობის გარშემო

ბერლინი, 27 აპრილი. ცენტრის ორგანო „გერმანია" გერმანია-საბჭოთა კავშირის ურთიერთობის შესახებ სწერს;

„ის გარემოება, რომ ჯერ კიდევ გრძელდება დისკუსია გერმანიაში ინგლისელ კონსერვატორების ჩასვლის გარშემო, მოწმობს, თუ რა დიდ მნიშვნელობას აძლევენ ბირკენხედის განცხადებებს რუსეთის შესახებ. როგორც ვიცით, ინგლისის პოლიტიკურ წრეებში დიდის კმაყოფილებით და სიამოვნებით ესალმებიან კონტინენტალურ სახელმწიფოების ყოველგვარ უკმაყოფილებას საბჭოთა კავშირის მიმართ, ვინაიდან ბოლშევიზმის წინააღმდეგ გალაშქრების ერთად ერთ საშუალებას ხედავენ სახელმწიფოების მთლიან ფრონტში. ჩვენ კარგათ გვახსოვს, რა კმაყოფილებით შეხვდენ ინგლისის წრეები ეკონომიურ მოლაპარაკების შეწყვეტას გერმანელ ინჟინრების დაპატიმრებასთან დაკავშირებით. **ყველაფერი ეს გვეუბნება, რომ რუსეთის პრობლემას უნდა მივუდგეთ უდიდესი სიფრთხილით, რათა არ გავხდეთ რაიმე არაგერმანულ მიზნების და სურვილების იარაღი.** გერმანიის პოლიტიკურ წრეების თითქმის ერთხმოვანი აზრით ბოლშევიკური სისტემა არ არის შაინცდამაინც მისაწონი,—მაგრამ, **გერმანიის დამოკიდებულება საბჭოთა კავშირისადმი დამყარებულია პოლიტიკურ და გეოგრაფიულ ფაქტორებზე. ჩვენთვის საჭიროა არ მივიყვანოთ საქმე რუსეთთან ურთიერთობის ჩაშლამდე,** არამედ დავიცვათ ბისმარკის ტრადიციები და რაპალოს გადაწყვეტილებები, თვით შეცვლილ პირობებშიაც კი. კუნძულზე მდებარე იმპერიისათვის, რომელიც ბუნებრივათ განცალკევებულია მთელი ქვეყნიერებისაგან, ადვილია პროპაგანდა საბჭოთა კავშირის ბლოკადის სასარგებლოთ, მაგრამ ევროპის შუაგულში მდებარე დიდმა სახელმწიფომ ანგარიში უნდა გაუწიოს სხვა დაბრკოლებებს და გარემოებებს". (ადს).

მაკდონალდი ბირჟევიკების ინტერესების სადარაჯოზე

ლონდონი, 28 აპრილი. 26 აპრილს თემთა პალატის სხდომაზე მუშათა პარტიის ბელადები აკრიტიკებდენ მთავრობას იმ უხერხულობისათვის" რომელიც დაშვებულ იქნა ეგრედ წოდებულ სტივენსონის გეგმის გადასასინჯათ კომისიის დანიშვნის შესახებ ცნობების გამოქვეყნების დროს. (სტივენსონის გეგმა შეეხება კაუჩუკის წარმოების შეზღუდვას). ეს ცნობა გამოაქვეყნეს 8 თებერვალს 18 საათზე ლონდონის დროით, როცა ლონდონის ბირჟა უკვე დახურული იყო, ხოლო ნიუ-იორკის ბირჟაზე ოპერაციები ჯერ კიდევ გრძელდება. განსხვავება ლონდონის და ნიუ-იორკის დროს შორის არ მიიღეს მხედველობაში. ამის გამო ინგლისის კაუჩუკის ბაზარზე დაიწყო პანიკა, რამაც აქციების ინგლისელ მესაკუთრეებს მიაყენა დაახლოებით 150 მილ. გირ. სტერლინგის ზარალი.

ტომასმა განაცხადა: „მთავრობამ არა მარტო დიდი ზიანი მიაყენა კაუჩუკის აქციების ინგლისელ მესაკუთრეებს, არამედ აგრეთვე დაეხმარა ამერიკელებს, რომლებიც აბანდებენ კაპიტალს კაუჩუკის მრეწველობაში".

მაკდონალდი და ტომასი ლაპარაკობდენ იმ ზარალის შესახებ, რომელიც ინგლისელ კაპიტალისტებს მოუვიდა და ერთი სიტყვითაც არ შეეხებიან მალაელების სასტიკ ექსპლოატაციას კაუჩუკის პლანტაციებზე. (ადს).

არჩევნები საფრანგეთში

პარიზი, 27 აპრილი. ცნობები მემარცხენე ბურჟუაზიულ პარტიების და სოციალისტების საარჩევნო შეთანხმების შესახებ მღელვარებას იწვევს მემარჯვენე წრეებში. მემარჯვენე წრეებს არანაკლებ აშფოთებს კომუნისტურ კანდიდატურების მოხსნის შემთხვევები რაც აძლიერებს სოციალისტების და რადიკალების საარჩევნო შანსებს.

მემარჯვენე გაზეთები აღშფოთებას გამოსთქვამენ იმის გამო, რომ „მემარცხენე პარტიები მზად არიან დაეყრდნონ კომუნისტების ხმებზე". სოციალისტები თანდათან უფრო უერთდებიან მემარცხენე ბურჟუაზიულ პარტიების ლოზუნგს „რეაქციისა და კომუნისტების წინააღმდეგ". **ზოგიერთ ოლქებში, სოციალისტები კომუნისტურ კანდიდატურის დამარცხების მიზნით, ხსნიან თავის კანდიდატებს „მემარცხენე რესპუბლიკანელების" და სხვა აშკარა რეაქციონურ კანდიდატების სასარგებლოთ.** (ადს).

კომუნისტ ბრას კანდიდატურა რჩება

პარიზი, 28 აპრილი. სანტ-ე-ლუარის დეპარტამენტში, ოტენის რაიონის მეორე საარჩევნო ოლქში, კომუნისტებმა წინადადება მისცეს სოციალისტების კანდიდატს ფორის მიმხრობოდა მთლიან ფრონტს. ფორმა უარყო კომპარტიის პირობები და ამიტომ კომუნისტ ბრას კანდიდატურა რჩება. (ადს).

მდგომარეობა ჩინეთში

კატეგორიული უარყოფა

პეკინი, 27 აპრილი. ინგლისური გაზეთი „პეკინ ენდ ტიანცზინ ტაიმს"-ი კატეგორიულად უარყოფს ცნობებს შანდუნის პროვინციის მთავარ ქალაქ ცზინანის დაცემის შესახებ. (ადს).

გომინდანის ორგანიზაციებმა ნიუ-იორკში თავის თავი დაშლილად გამოაცხადეს

ნიუ-იორკი, 27 აპრილი. „დეილი უორკერ"-ი იუწყება, რომ გომინდანის ორგანიზაციებმა ნიუ-იორკისა და სანფრანცისკოში ნიშნად პროტესტისა გომინდანის ჩინური ორგანიზაციების კონტრ-რევოლიუციონური ხასიათის წინააღმდეგ თავის თავი დაშლილად გამოაცხადეს. (ადს).

არალეგალურ სტამბის აღმოჩენა

შანხაი, 2 7აპრილი. გაზეთების ცნობით, შანხაის საერთაშორისო უბნის პოლიციამ აღმოაჩინა სტამბა, სადაც იბეჭდებოდა კომუნისტური ბროშურები. სტამბის პატრონი და მუშები მიიმალნენ. პოლიციამ კონფისკაცია უყო სტამბას.

პოლიციამ დაბეჭდა სახლი, რომელშიაც ცხოვრობდა ცნობილი კომუნისტი ჩჟან-ზაი-ჩანი.

კომუნისტების დაპატიმრება

ტოკიო, 27 აპრილი. „სიმბუნ რენგოს" დეპეშათა სააგენტოს ცნობით, შანხაის ფრანგულ კონცესიის ტერიტორიაზე იაპონის საკონსულოს პოლიციამ დააპატიმრა 8 კომუნისტი—ფორმოზის კუნძულიდან (ადს).

სამხედრო მდგომარეობა

შანხაი, 27 აპრილი. გაზეთების ცნობით, ამოიში (ნავთსადგური ფუძიანის პროვინციის სამხრეთ ნაწილში) გამოაცხადეს სამხედრო მდგომარეობა. აკრძალულია ყოველგვარ საჯარო კრებების მოწვევა. გაზეთების სიტყვით, ეს გამოწვეულია მით, რომ ამოის მახლობლად იმყოფება კომუნისტების ცნობილი ბელადი პან-პაი (ადს).

საპირველმაისო დემონსტრაციების აკრძალვა,

შანხაი, 28 აპრილი. კანტონის გაზეთ „საუტ ჩაინა მორნინგპოსტ"-ის ცნობით, კანტონის ხელისუფლებამ პროფკავშირებს აუკრძალა დემონსტრაციების მოწყობა პირველ მაისს. ხელისუფლებას ეშინია, რომ „წითლები დემონსტრაციას, გამოიყენებენ უწესოების მოსახდენად" (ადს).

შანდუნის ფრონტზე

პეკინი, 27 აპრილი. ჩინეთის გაზეთების ცნობით, სუნ-ჩუან-ფანი დანიშნულია ჩრდილოეთის ყველა ჯარების სარდლად შანდუნის ფრონტზე. ჩან-ცზუნ-ჩანი დანიშნულია ზურგის ნაწილების უფროსად. უ-ცზუნ-გენი სათავეში ჩაუდგა შანდუნში გაგზავნილ დამხმარე ჯარებს. ამ გენერლებს მიეცა ბრძანება დაიბრუნონ შანდუნში დაკარგული პოზიციები. უკანასკნელი ცნობებით, ფინ-იუ-სიანმა შეცვალა კამპანიის გეგმა და გადაწყვიტა მთელი თავისი ძალები გამოიყენოს ოპერაციების საწარმოებლად პეკინ-ხანკოუს რკინის გზის და ხონანის რაიონში, შანდუნის ოპერაციები კი მიანდო ჩან-კაი-შის (ადს).

იაპონიაში

ხელჩართული ბრძოლა

ტოკიო, 27 აპრილი. 26 აპრილს ქვედა პალატაში დეპუტატ სუზუკის (ოპოზიციონურ პარტია მინსეიტოს წევრი) სიტყვის დროს, რომელშიაც ის პრემიერ ტანაკას ბრალს სდებდა მიკადოსათვის არჩევნების შესახებ არასწორი ინფორმაციის მიწოდებაში, გაიმართა ხელჩართული ბრძოლა. მთავრობის პარტია სეიუკაის რამდენიმე დეპუტატი გაექანა სუზუკის საცემრად. ამან დარბაზში გამოიწვია არევ-დარევა, რის გამო სხდომა შეწყდა (ადს).

უნდობლობის გამოცხადების შემთხვევაში,

ტოკიო, 27 აპრილი. ყველა გაზეთები იუწყებიან, რომ მთავრობამ გადაწყვიტა შესწყვიტოს პარლამენტის სესია სამი დღით, თუ მან პარლამენტი გამოუცხადებს უნდობლობას. სესიის შეწყვეტას დაასაბუთებენ „შექმნილი მდგომარეობის განხილვის" აუცილებლობით (ადს).

პროფინტერნის მოწოდება

ინდოეთის მუშებისადმი

მოსკოვი, 28 აპრილი. პროფინტერნის აღმასბიურომ ინდოეთის მუშებს მიმართა მოწოდებით. მოწოდებაში ნათქვამია: „მუშათა დამოუკიდებელი გამოსვლა საიმონის კომისიის წინააღმდეგ და მისი სახით გათავხედებულ ინგლისის იმპერიალიზმის წინააღმდეგ მოწმობს ინდოეთის პროლეტარიატის შეგნების სწრაფ ზრდას. ბომბეის გაფიცვა წარმოადგენს შემდეგ ნაბიჯს ამ გზაზე. **ინდოეთის მუშათა ავანგარდმა დაიწყო ბრძოლა თავისი ეკონომიური და პოლიტიკური განთავისუფლებისათვის გარეშე და შინაურ ექსპლოატატორების ბატონობისაგან.** მსოფლიო რევოლიუციონურმა პროფმოძრაობამ ყოველნაირი დახმარება უნდა გაუწიოს ინდოეთის მებრძოლ პროლეტარიატს. (ადს)

შოტლანდიის პროფკავშირთა ყრილობა

ლონდონი, 27 აპრილი. შოტლანდიის პროფკავშირთა ყრილობამ პერთში უარყო რეზოლიუცია იმ პროფკა[illegible] შესახებ, რომლებიც აცხადებენ გაფიცვას „სამუშაო ხელფასის საარსებო მინიმუმისათვის და პროფმოძრაობის ძირითად პრინციპებისათვის საბრძოლველად". აღნიშნული რეზოლიუცია, რომელიც შემოტანილი იყო შოტლანდიის სამთამადნო მუშათა წარმომადგენლის—**ალანის** მიერ, უარყოფილ იყო იმ საბაბით, რომ ის არ იყო შეტანილი დღის წესრიგში. ამის შემდეგ ალანმა შეიტანა წინადადება დღის წესრიგის შეცვლის შესახებ. წინადადება უარყოფილ იქნა ყრილობის რეფორმისტულ უმრავლესობის მიერ. (ადს).

„შავი წვიმა"

ვარშავა, 27 აპრილი. დილით ლვოვში მოვიდა „შავი" წვიმა, რამაც გამოიწვია შიში მოსახლეობაში. ასეთივე მოვლენას 26 აპრილს ადგილი ჰქონდა პოლონეთის სხვადასხვა რაიონებში. ბევრ ადგილას ცის ტატნობი დაფარულია სქელ მიხაკის ფერი მტვერით რომლის ანალიზმაც გამოარკვია, რომ ის შესდგება ვულკანური ხასიათის შემადგენლობიდან; მასში აღმოჩენილია მაგნეზიის, კაჟის, ქარსელისა და პოტაშის ელემენტები.

ლვოვის პოლიტეხნიკურ ინსტიტუტის რექტორის აზრით ეს მტვერი რამდენიმე თვის განმავლობაში იმყოფებოდა ჰაერის ზედაფენებში. კრაკოვის ობსერვატორიის ცნობით,—ასეთი მოვლენები აღნიშნული იყო პოლონეთში 1901 წ., მაშინ გამოითქვა აზრი, რომ მტვერი მოტანილია საჰარის უდაბნოდან.

უორკერს პარტიის კონფერენცია

ნიუ-იორკი, 27 აპრილი. უორკერს პარტიის კონფერენცია, რომელმაც უნდა დაასახელოს კანდიდატები საპრეზიდენტო არჩევნებში, გაიმართება 25 მაისს ნიუ-იორკში. „დეილი უორკერ"-ის სიტყვით, კონფერენცია პრეზიდენტის კანდიდატად წამოაყენებს **ფოსტერს** და ვიცე-პრეზიდენტობის კანდიდატად—**გიტლოუს** (ადს).

პირველი მაისის წინ

მანიფესტაციების აკრძალვა

პარიზი, 27 აპრილი. შინაგან საქმეთა მინისტრმა სარრომ აკრძალა პირველი მაისის მანიფესტაციები. სარრომ განაცხადა, რომ ის უცხოელები, რომლებიც მონაწილეობას მიიღებენ მანიფესტაციებში, დაუყოვნებლივ იქნებიან გადასახლებული. (ადს).

დაუშვებელი თვითკმაყოფილება

პურის დამზადების არადამაკმაყოფილებელი შედეგები აპრილში არ უნდა მივაწეროთ ობიექტიურ პირობებს. ამ ობიექტიური პირობების როლი გაცილებით უფრო ნაკლებია, ვიდრე ცდილობენ მათ მიაკუთვნონ. ძირითადი მიზეზი იმაში მდგომარეობს, რომ ადგილებზე ფართოდ გავრცელდა დემობილიზაციური განწყობილება პურის დამზადების კამპანიის მიმართ.

სათანადოდ არ აქვთ შეგნებული ის მნიშვნელობა, რომელიც ამ საკითხს აქვს როგორც ამჟამად, ისე უახლოეს პერიოდში. ამ მხრივ ჩვენ გვაქვს მთელი რიგი დამაჯერებელი ფაქტები. პროვინციალური პრესა სრულებით არაფერს აღარ სწერს პურის დამზადების საკითხზე. ეს შეეხება განსაკუთრებით იმ რაიონებს, რომლებიც უდიდეს როლს თამაშობს პურის დამზადება.

ადვილად შეიძლება, რომ ეს აიხსნებოდეს იმით, რომ ადგილობრივ გაზეთებს არ აქვთ ცნობები პურის დამზადების კამპანიის მიმდინარეობის შესახებ მათ რაიონში. უნდა ითქვას, რომ დანაშაული ამ შემთხვევაში უმთავრესად ეკისრება ადგილობრივ [illegible] ორგანოებს, რომელთა ინფორმაცია ყველგან მოისუსტებს. სავსებით არანორმალურია ის, რომ ადგილობრივი პრესა თავის დროზე ვერ იღებს იმ დეტალურ და სრულ ცნობებს პურის დამზადების კამპანიის მსვლელობის შესახებ, რომელთა მიხედვით შეიძლება რაიმე დასკვნების გამოყვანა. პრესის განკარგულებაში უმეტეს ნაწილად არის საერთო ჯამები და ჯამობრივი ციფრები, რომლებიც არ იძლევა საშუალებას თავის დროზე იქნას შენიშნული ნაკლულევანებანი ამ მუშაობაში.

შემდეგ, ზოგიერთი პასუხისმგებელი მუშაკები ადგილობრივ ივიწყებენ იმას, რომ კამპანია წარმატებით მხოლოდ მაშინ შეიძლება ჩატარდეს, თუ მას მიეცემა საზოგადოებრივი ხასიათი. მხოლოდ ცირკულიარების დაგზავნით დამამზადებელთათვის ვერ მოგვცა საჭირო შედეგები, როგორც ეს მოსალოდნელიც იყო.

ასევე მავნებელია ტენდენციები, რომ პურის დამზადების სიძნელენი საბოლოოდ განვლილ ეტაპად დავსახოთ.

უეჭველია, მთავარი სიძნელენი უკან დაგვრჩა. მაგრამ ამავე დროს ერთ წუთსაც არ უნდა დავივიწყოთ, რომ პურის დამზადების საქმეში თვიურ დავალებათა შესრულება აბსოლიუტურად სავალდებულოა ყველა რაიონისათვის, როგორც მთავარ, ისე მეორეხარისხოვანი რაიონებისათვის. უკანასკნელებს შეუძლიათ შეამსუბუქონ მომხმარებელი რაიონების მომარაგების სიმძიმე.

დაშვიდება მანამდე არ შეიძლება, ვიდრე მთლიანად არ იქნება უზრუნველყოფილი მთელი წლიური გეგმის შესრულება. პურის დამზადების ფრონტზე საგეგმო დისციპლინა სასტიკად უნდა განხორციელდეს.

ეს შეეხება განსაკუთრებით კოოპერაციას. ერთგვარი საფუძველი გვაქვს ვიფიქროთ, რომ მიმდინარე წლის აპრილში პურის დამზადების შენელება შარშანდელ წელთან შედარებით უმთავრესად აიხსნება პურის დამზადების საქმის დეცენტრალიზაციით და დაქუცმაცებით, რაც დაკავშირებულია კოოპერაციის როლის არაჩვეულებრივ გადიდებასთან.

შარშან კოოპერაციის მონაწილეობა ამ საქმეში ოდნავ აღემატებოდა 30 პროცენტს, წელს კი ორჯერ მეტია შარშანდელთან შედარებით. კოოპერაცია გვაძლევს დამზადებულ პროდუქტების ორმესამედს და უმთავრესად პურს ამზადებს. ეს გარემოება კოოპერაციას აკისრებს სერიოზულ ვალდებულებას მიმდინარე კვარტალშიაც.

მან კოოპერატიული მუშაობისა და ზემოქმედების ყოველი საშუალება და მეთოდი უნდა იხმაროს დამზადების გასაძლიერებლად. ცხადია, ადგილობრივი ორგანოები მოვალენი არიან ყოველნაირი დახმარება აღმოუჩინონ მას, კერძოთ სამრეწველო საქონლით მომარაგების ხაზით.

ამავე დროს არავითარ შემთხვევაში არ უნდა ჰქონდეს ადგილი იმ სიმახინჯეს, რომელსაც აქა-იქ ვამჩნევდით წინა თვეებში პურის დასამზადებელი მუშაობის გაძლიერებასთან დაკავშირებით.

ადგილობრივმა ორგანოებმა კვლავ უნდა განაგრძონ ბრძოლა კერძო ვაჭრებთან და კულაკებთან, რომლებიც სპეკულიაციას ეწევიან პურის დიდი პარტიებით, მაგრამ ამასთანავე ამ ორგანოებმა დიდის მზრუნველობით უნდა დაიცვან ინტერესები გლეხობის ძირითადი მასის—საშუალო გლეხობის, რომელთაც შეასრულეს თავისი მოვალეობა საბჭოთა ხელისუფლების წინაშე.

ყოვლად დაუშვებელია შაბლონური ხასიათის ზომები, რომლებიც ერთნაირ მოთხოვნილებას უყენებს როგორც კულაკებს, ისე ღარიბ და საშუალო გლეხობას.

გლეხობის ღარიბ-საშუალო ნაწილი, რომელმაც მიმდინარე თესვის კამპანიაში არსებითი დახმარება მიიღო სახელმწიფოსაგან, ხელს შეუწყობს დამამზადებლებს მათ მუშაობაში; ღარიბი და საშუალო გლეხების დახმარება სავსებით და თავის დროზე უნდა იქნას გამოყენებული უახლოეს ხანაში.

დაბოლოს, აუცილებელია დაწესებულ იქნას დამამზადებელი აპარატების პასუხისმგებლობა დაკისრებულ ამოცანათა შესრულებისათვის. წარსულმა კვარტალმა განებივრა ისინი იმ მხრივ, რომ მათ მუშაობას ფაქტიურად ასრულებდა მთელი საბჭოთა აპარატი ადგილობრივ. მაგრამ წამოჭრილი ამოცანები ხომ ადგილების პირობებსა და შესაძლებლობებთანაა შეგუებული და პურის დამამზადებელი აპარატი არსებობს ხომ ამ ამოცანების შესასრულებლად, ნუ თუ ეს ასე არ ხდება, მაშინ პირველ რიგში მკაცრად უნდა დაისაჯოს ეს აპარატი.

უახლოესი დღეები სანიმუშო უნდა იყოს ამ მხრივ.

„იზვესტია" 28 აპრილი.

უკანასკნელი ცნობები

უნგრელ ემიგრანტების დაპატიმრება

ვენა, 28 აპრილი. პრესის ცნობით, გუშინ ვენაში მოხდა ახალი დაპატიმრება უნგრელ ემიგრანტების შორის. დაპატიმრებულთა შორის არიან ილონა ბრაუნერი, რომელიც, როგორც პოლიცია აცხადებს, არის ბელა კუნის პირადი მდივანი, სააფთიაქო მაღაზიის პატრონი მაიერჰოფერი და [illegible], რომელმაც უწოდა თავს ვასერმანი. ჩამოთვლილი პირებს გარდა, ბელა კუნთან ურთიერთობის ეჭვით დაპატიმრებულია კიდევ ცხრა უნგრელი ემიგრანტი.

გაზეთები აგრეთვე იუწყებიან, რომ ვენის პოლიციამ ჯერ კიდევ ვერ აღმოაჩინა ბელა კუნის კერძო ბინა. კუნთან ერთად დაპატიმრებული პირები მოთავსებული არიან ცალკე საკნებში პოლიციის სამმართველოსთან და უარს ამბობენ რაიმე ჩვენების მიცემაზე თავის შესახებ.

„ნეიე ვინერ ტაგებლატ"-ი იუწყება, რომ პოლიციამ შესძლო გამოერკვია კავშირი ბელა კუნსა და საბჭოთა სრულუფლებიან წარმომადგენლობის შორის, აგრეთვე ბელა კუნის ურთიერთობა ავსტრიის კომპარტიასთან. „არბაიტერ ცაიტუნგ"-ი იუწყება, რომ გუშინ დილით ვენაში ჩამოვიდნენ უნგრეთის პოლიციის აგენტები, რომლებიც მოიწვია ვენის პოლიციამ კუნთან აღმოჩენილ დოკუმენტების განსახილველად. ბელა კუნის დაპატიმრების შესახებ ჯერ კიდევ გუშინწინ სალამოს გაგზავნა ცნობა უნგრეთის ელჩს ვენაში. გუშინ ვენაში ჩამოვიდნენ ბუდაპეშტის პოლიციის პასუხისმგებელი მოხელეები ინფორმაციის მოსაღებად ბელა კუნის საქმეზე. გუშინ პოლიციამ მოახდინა ჩხრეკა ავსტრიის კომპარტიის სამდივნოს ბინაზე. „როტე ფანე" იუწყება, რომ ჩხრეკა უშედეგო იყო. „ნეიე ფრეიე პრესე"-ს ცნობით ყველა ის პირები, რომლებიც გუშინ და გუშინწინ დააპატიმრეს კუნის საქმესთან დაკავშირებით, განთავისუფლებული არიან გარდა იმ პირებისა, რომელთა გვარებიც გამოქვეყნებულია.

ბელა კუნის დაპატიმრება

ვენა, 27 აპრილი. ავსტრიის დეპეშათა სააგენტო იუწყება: „დაპატიმრებული კომუნისტი, რომელმაც პირველად არ აღიარა თავისი ვინაობა, იმ პოლიცეილებთან დაპირისპირების შემდეგ, რომელმაც ის რამოდენიმე წლის წინად დააპატიმრა, გამოტყდა, რომ ის არის ბელა კუნი ამასთან დაკავშირებით დაპატიმრებულია ახალგაზრდა ქალი, რომელიც, როგორც სჩანს, კუნის მდივანია".

სალამოს გაზეთები, როგორც სჩანს პოლიციის ცნობების მიხედვით, იუწყებიან, რომ კუნი დააპატიმრეს სააფთიაქო საქონლით მოვაჭრე ფიქტიურ წარმოებაში; მას უპოვეს გერმანული პასპორტი. „ფიქტიურ წარმოების" ბინაზე აღმოაჩინეს პროპაგანდისტული ლიტერატურა და კორესპონდეცია, უმთავრესად უნგრულ ენაზე. „ნეიე ვინერ აბენდბლატ"-ი იუწყება, რომ კუნი ჩამოვიდა ერთი თვის წინად. ის იცვნეს ყავახანაში, რომელშიაც დადიოდა. გაზეთის სიტყვებით, დაპატიმრებულია „კიდევ ორი უნგრელი ემიგრანტი, რომლებიც ჩამოვიდნენ ყალბი პასპორტებით" ერთერთმა მათგანმა განაცხადა, რომ ის არის ლიპაი. გაზეთი იუწყება, რომ კიდევ მოხდება უნგრელ ემიგრანტების დაპატიმრება. „ნეიე ფრეიე პრესე" ამტკიცებს, რომ კუნი ვენაში ჩამოვიდა „უნგრეთის კომუნისტური ემიგრაციის რეორგანიზაციის მიზნით და უნგრეთის კომპარტიისათვის ხელმძღვანელობის გასაწევად". გაზეთების ცნობით, პოლიცია ცდილობს დაამტკიცოს, რომ კუნი და სხვა დაპატიმრებულები აწყობენ ფარულ საზოგადოებას.

მაქსიმალური სასჯელი, რომელიც გათვალისწინებული ამ ქმედობისათვის ავსტრიის კოდექსით, არის სასტიკი დაპატიმრება საპყრობილეში ვადით არა უმეტეს ერთი წლისა, თუ ამ ბრალდების წაყენება არ მოხერხდა, ისინი დაისჯებიან ყალბი დოკუმენტებით ჩაწერისათვის, შემდეგ კი გაიგზავნებიან საბჭოთა კავშირში, თუ საბჭოთა მოქალაქეები არიან.

„ნეიე ფრეიე პრესე" იუწყება, რომ უნგრეთის მთავრობა ავსტრიის მთავრობას მოსთხოვს კუნის გაცემას. კუნის გაცემის საკითხში ავსტრიის მთავრობა არავითარი წინანდელი გადაწყვეტილებით არ არის შეზღუდული, მაგრამ გაზეთი აცხადებს, რომ საჭიროა გამოირკვეს—გახდა თუ არა კუნი საბჭოთა მოქალაქედ.

გაზეთები იუწყებიან, რომ საბჭოთა სრულუფლებიანმა წარმომადგენლობამ ვენაში არაფერი იცოდა კუნის ვენაში ყოფნის შესახებ და გაზეთებიდან გაიგო საქმის შინაარსი. მოწინავე წერილში „ნეიე ფრეიე პრესე" სწერს: „კუნის გამოჩენა ვენაში ამტკიცებს კომინტერნის ახალ აქტივობას". გაზეთი პროტესტს აცხადებს „ვენაში აქტიური კომუნისტური ცენტრის დაარსების და ავსტრიის საზღვრების საშუალებით სხვა ქვეყნების საწინააღმდეგო პროპაგანდის წარმოების" წინააღმდეგ. გაზეთი მოითხოვს კუნის დასჯას და მის მოკლე დროში გაძევებას (ადს).

რა ბრალდება ბელა კუნს

ვენა, 28 აპრილი. ავსტრიის დეპეშათა სააგენტო იუწყება, რომ საქმის გამოძიების შემდეგ ბელა კუნი წარსდგება სისხლის სამართლის სასამართლოს წინაშე. მას ბრალად ედება მუშაობა შეთქმულების მოსაწყობად და ავსტრიაში ნებადაურთველად დაბრუნება. (ადს).

დარბაზობა სრულუფლებიან წარმომადგენლობაში

თეირანი, 27 აპრილი. 26 აპრილს საბჭოთა კავშირის სრულუფლებიან წარმომადგენლობაში შესდგა დარბაზობა სპარსეთის პრესის საპატივცემულოდ. დარბაზობას დაესწრო გაზეთების 18 წარმომადგენელი, და აგრეთვე სრულუფლებიანი წარმომადგენლობის პასუხისმგებელი თანამშრომლები და თეირანში არსებულ საბჭოთა სამეურნეო ორგანიზაციების წარმომადგენლები. პრესის წარმომადგენლებს მიესალმა საბჭოთა კავშირის სრულუფლებიანი წარმომადგენელი ამხ. **დავთიანი.** საპასუხო სიტყვა პრესის სახელით წარმოსთქვა ცნობილმა პოეტმა **მალეკოლ შოარამ,** აგრეთვე გამოვიდნენ მთელი რიგი გაზეთების რედაქტორები. ყველა ორატორები აღნიშნავდნენ საბჭოთა კავშირის გულწრფელ პოლიტიკას სპარსეთის მიმართ და ხაზს უსვამდნენ იმ ძვირფას დახმარებას, რომელიც აღმოუჩინა სპარსეთს საბჭოთა საზოგადოებრიობამ ბრძოლაში ინგლისის მიერ ბახრეინის კუნძულების დაპყრობის წინააღმდეგ (ადს).

ჩქარი მატარებლის დამსხვრევა

ბერლინი, 28 აპრილი. იოგანესბურგიდან კაპშტადტში მიმავალი ჩქარი მატარებელი აცდა ლიანდაგს. მატარებლის გადავარდნის დროს მოკვდა 6 კაცი, დაიჭრა 12 (ადს).

47 ს. 7 წუთი ჰაერში

ლენინგრადი, 28 აპრილი. ლენინგრადის სფერიული აეროსტატიდან მიღებულია რადიოგრამა. აეროსტატი დაეშვა ვოლსკის იქით, (სარატოვის გუბერნია) 17 ს. 80 წუთზე. აეროსტატი ჰაერში დარჩა 47 ს. 7 წ., რითაც დამყარებულ იქნა ახალი საკავშირო რეკორდი. (ადს).

მოსკოვი

(ტელეგრაფით საკუთარი კორესპონდენტისაგან)

„იზვესტია" საბჭოთა აზერბეიჯანის შესახებ.

მოსკოვი, 28 აპრილი. აზერბეიჯანში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების დღიდან რვა წლის შესრულების გამო, „იზვესტია"-ს დღევანდელ ნომერში მოთავსებულია დიდი წერილი საბჭოთა აზერბეიჯანის ეხლანდელი მდგომარეობის შესახებ.

ერთ-ერთ უდიდეს მიღწევათ აზერბეიჯანის მშრომელთა რესპუბლიკაში გაზეთი ასახელებს ეროვნულ სოლიდარობის განმტკიცებას, რასაც ასეთი დიდი მნიშვნელობა აქვს საერთოდ ამიერ-კავკასიისა და კერძოთ აზერბეიჯანისათვის. შეიძლება დაბეჯითებით ითქვას, რომ საბჭოთა ხელისუფლების არსებობის რვა წლის თავზე აზერბეიჯანის ტერიტორიაზე მცხოვრებ სხვადასხვა ეროვნებათა შორის აღმოფხვრილია ნაციონალური ანტაგონიზმი.

ამასთან ერთად წერილი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ აზერბეიჯანი მტკიცედ შესდგა ინდუსტრიალიზაციის გზაზე და ენერგიულათ განაგრძობს ამ გზით სვლას. ამას თვალსაჩინოდ მოწმობს სხვათა შორის ის ფაქტი, რომ მარტო უკანასკნელი სამი წლის განმავლობაში აზერბეიჯანის რესპუბლიკის მრეწველობაში დაბანდებულ თანხების საერთო ჯამი უდრის **20 მილიონ მანეთს.**

საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ აზერბეიჯანში აგებულია მთელი რიგი ახალი ფაბრიკა-ქარხნებისა. რაც შეეხება ნავთის მრეწველობას, აქ მიღწევები კიდევ უფრო დიდია. აზერბეიჯანის პროლეტარიატმა არა თუ შესძლო საკუთარი ძალებით ომისაგან დაზარალებულ ნავთის მრეწველობის ფეხზე დაყენება, არამედ მან მიაღწია ისეთ მდგომარეობასაც, როცა **ბაქოს ნავთის სარეწაოები ომამდე არსებულზე გაცილებით მეტ პროდუქციას იძლევიან.**

არა ნაკლები ყურადღება ექცევა აზერბეიჯანში სახალხო განათლების საქმეს. ამ დარგშიაც დიდი მიღწევებია წარსული რვა წლის განმავლობაში. დღეს უკვე რეალურად სდგას საკითხი სავალდებულო პირველდაწყებითი განათლების შემოღების შესახებ. აზერბეიჯანისათვის, რომელიც ჩამორჩენილია თავის მეზობელ მოძმე რესპუბლიკებისაგან კულტურულად, ამ ღონისძიების გატარებას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს.

ცხადია აზერბეიჯანის მუშებისა და გლეხების ეს მიღწევები არ ახარებს იმათ, ვინც საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების შემდეგ დაკარგა თავისი ბატონობა აზერბეიჯანის ბუნებრივ სიმდიდრეებზე და მუშურ-გლეხურ მასებზე. მუსავატისტები, ისე, როგორც ამიერ-კავკასიის სხვა ნაციონალისტური პარტიები, ვერ შერიგებიან იმ ფაქტს, რომ საუკუნო მონობისაგან განთავისუფლებული აზერბეიჯანელი მუშა და გლეხი თვითვე განაგებს თავის ბედს და წარმატებით აწარმოებს ახალ საბჭოთა აზერბეიჯანის აღმშენებლობას. ისინი ცდილობენ, ისევ აამღვრიონ წყალი, ისევ გააღვივონ ეროვნული შუღლი ამიერ-კავკასიის ხალხთა შორის და ამით საკუთარი საქმე გაიკეთონ.

აზერბეიჯანში საბჭოთა ხელისუფლების არსებობის მერვე წლის თავზე ჩვენ უფრო მეტი რწმენით, ვიდრე ოდესმე, შეგვიძლია განვაცხადოთ, რომ მუსავატელები ვერ შესძლებენ ამიერ-კავკასიის მოძმე ხალხთა შორის უთანხმოების ჩამოგდებას.

პროლეტარულ მწერალთა საკავშირო ყრილობის წინ.

მოსკოვი, 28 აპრილი. ამ დღეებში აქ გაიხსნება პროლეტარულ მწერალთა სრულიად საკავშირო ყრილობა. პროლეტარულ მწერალთა სრულიად საკავშირო ასოციაციის სამდივნოს ცნობით, ყრილობაზე უნდა ჩამოვიდეს სამასზე მეტი დელეგატი.

ყრილობა განიხილავს არა მარტო კულტურისა და ხელოვნების საკითხებს, არამედ ის მოისმენს მოხსენებას საბჭოთა კავშირის ეკონომიურ მდგომარეობის შესახებაც.

ამ მიზნით ყრილობის დღის წესრიგში სდგას საკავშირო საგეგმო კომისიის თავმჯდომარე კრჟიჟანოვსკის მოხსენება.

ხელოვნებისა და კულტურის საკითხებზე მოხსენებით გამოვლენ რუსეთის განათლების სახალხო კომისარი ამხ. ლუნაჩარსკი და ცნობილი მწერალი ამხ. სერაფიმოვიჩი.

პროლეტარულ მწერალთა სრულიად საკავშირო ასოციაცია აერთიანებს პროლეტმწერალთა 70 ორგანიზაციას. ამათ შორის ყველაზე უფრო დიდ ორგანიზაციებათ ითვლება მოსკოვის, ლენინგრადის და ამიერ-კავკასიის პროლეტმწერალთა ორგანიზაციები.

ყრილობაზე გახსნილი იქნება ყოველ სახის ლიტერატურის გამოფენა. გამოფენაზე განსაკუთრებული ადგილი დაეთმობა ეროვნულ ლიტერატურას.

უბედური შემთხვევა დიდი ოპერის თეატრში.

მოსკოვი. 28 აპრილი. გუშინ სპექტაკლის დამთავრების შემდეგ, მოსკოვის დიდ ოპერის თეატრში ადგილი ჰქონდა უბედურ შემთხვევას. დეკორაციების გასამაგრებელ მოწყობილობებიდან სცენაზე გადმოვარდა ორი მხატვარი ქალი აქსიონოვა და კოროლიოვა, რომელნიც სასიკვდილოთ დაშავდნენ.

ამ შემთხვევამ დიდი აღშფოთება და მითქმა-მოთქმა გამოიწვია მოსკოვის სცენის მუშაკთა შორის, რასაც განსაკუთრებით ხელი შეუწყო დიდი ოპერის თეატრში უკანასკნელ ხანებში გამეფებულ არანორმალურმა ატმოსფერამ.

როგორც უკვე გადმოვცემდით. დიდი ოპერის თეატრის მსახიობთა შორის არსებობს არანორმალური დამოკიდებულება, მტკიცედ აქვს ფესვები გადგმული მსახიობთა კატეგორიებათ დაყოფას და ამქრულ კარჩაკეტილობას. ადგილი აქვს ანტისემიტურ განწყობილებას და სხვა.

ამასთან ერთად დიდი ოპერის თეატრის დირექცია ვერც თეატრის სამეურნეო საქმეებს უძღვებოდა კარგათ. დახარჯულია ათეულ ათასი მანეთი ისეთ დადგმებზე, რომლებიც ნაჩვენები არ ყოფილან. მთელი სეზონის განმავლობაში მოსკოვის დიდი ოპერის თეატრს არც ერთი ახალი ოპერა არ დაუდგამს, რაც იშვიათ მოვლენათ უნდა ჩაითვალოს ისეთი ტიპის საოპერო თეატრისათვის, როგორიცაა მოსკოვის დიდი ოპერა.

მოსკოვის ყველა დრამატიული თეატრები გაცხოველებულ მუშაობას აწარმოებენ ახალი გზების გამოსანახავათ, თეატრის დასაახლოებლათ თანამედროვეობასთან. ამ მხრივ ბევრ მათგანს მნიშვნელოვანი მიღწევები აქვს. დიდი ოპერის თეატრზე კი ეს არ ითქმის. ის არ ზრუნავს რეპერტუარის განახლებაზე, ოპერის გათანამედროვეობაზე, არ მუშაობს ახალ საოპერო ძალების და კომპოზიტორების მომზადება-წახალისებაზე.

ყველა ეს დეფექტები აღინიშნა სცენის მუშაკთა ამას წინად შემდგარ საწარმოო თათბირზე, რომელმაც იმ არანორმალურ ატმოსფეროს გასაწმენდათ, რომელიც გამეფებულია დიდ ოპერაში და უმოქმედობის აღმოსაფხვრელად, საჭიროთ სცნო მოსკოვის დიდი ოპერის საქმეში მუშათა და გლეხთა ინსპექციის ენერგიული ჩარევა.

კერძოთ, მხატვარ ქალების კოროლიოვისა და აქსიონოვის დაღუპვის გამო, დანიშნულია სასწრაფო გამოძიება. ფიქრობენ, რომ ტრაგიკული შემთხვევა გამოწვეულია აღნიშნულ მხატვარ ქალთა თვითმკვლელობის განზრახვით.

სამაისო კარნავალი

მოსკოვი, 28 აპრილი. პირველ მაისს მოსკოვის ქუჩებში სხვადასხვა პროფკავშირთა კულტურულ-განმანათლებელი განყოფილებანი აწყობენ კარნავალს. რომელშიაც მონაწილეობას მიიღებენ საგანგებოთ დაკვეთილ კოსტიუმებში [illegible] არტისტული ძალები.

გარდა ამისა ამ დღეს ქალაქის სხვადასხვა რაიონებში ნაჩვენები იქნება საბჭოთა რჩეული კინო-სურათები.

წინასწარი [illegible] მიხედვით, [illegible] წლის მაისობა განსაკუთრებულ [illegible] და საზეიმო ხასიათს მიიღებს.

საბჭოთა კავშირში

აეროპლანების გადაცემა წითელი არმიისათვის

მოსკოვი, 28 აპრილი. საბჭოთა კავშირის თავდაცვა-ავიაქიმმა წითელ არმიისათვის აეროპლანების გადაცემა, რომელიც 1 მაისისათვის იყო დანიშნული, გადასდო 6 მაისისათვის (ადს).

ეშინიათ

ოდესა, 28 აპრილი. მიღებულია ცნობები, რომ უცხოეთის გემების პატრონები აბრკოლებენ გემების გასვლას საბჭოთა ნავთსადგურებისკენ; რათა ამით საშუალება არ მისცენ უცხოელ მეზღვაურებს საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე იდღესასწაულონ 1 მაისი. (ადს).

ზაფხულის ლატარია

მოსკოვი, 28 აპრილი. საბჭოთა კავშირის თავდაცვა-ავიაქიმის საზოგადოებამ დაადგინა მეორე საავიაციო ლატარიის გათამაშება მოაწყოს ხარკოვში 26—27 მაისს (ადს).

6 საათის სამუშაო დღე მაღაროებში

მოსკოვი, 28 აპრილი. 27 აპრილს მემაღაროეთა კავშირის ცეკაში გაიმართა ეხლახან დამთავრებულ მემაღაროეთა საკავშირო ყრილობის დელეგატთა თათბირი მაღაროებში 6 საათის სამუშაო დღის უკეთ გამოყენების საკითხების შესახებ. თათბირმა სცნო, რომ სამუშაო დღის ხანგრძლივობა იწყება პირველ მუშა-მაღაროელის მიერ მაღაროს სანათურის მიღების მომენტიდან მისი ჩაბარების მომენტამდე (ადს).

საკავშირო სახკომსაბჭოს დადგენილება

საბჭოთა კავშირის ქიმიზაციის შესახებ

მოსკოვი, 28 აპრილი. საკავშირო სახკომსაბჭომ მიიღო დადგენილება საბჭოთა კავშირის ქიმიზაციის ფართო ღონისძიებების შესახებ. ეს დადგენილება მიღებულია იმ მოხსენებით ბარათთან დაკავშირებით, რომელიც ამას წინად წარუდგინეს მთავრობას მეცნიერებმა სახალხო მეურნეობის განვითარების გზებისა და ქიმიის, როგორც ახალ სამეურნეო ფაქტორის, როლის შესახებ. დადგენილებაში ჩამოთვლილია კონკრეტიული ღონისძიებანი, მათ შორის მთავარია: შესაფერისი დაწესებულების მოწყობა ს. მ. უ. საბჭოსთან და სახელმწიფო საგეგმო კომისიასთან, თეორეტიული მუშაობის უზრუნველყოფა ქიმიის დარგში, ქიმიურ მანქანათმშენებლობის განვითარება, სპეციალისტების კადრის მომზადება, ქიმიის შესწავლის გაძლიერება მთელ სასკოლო ქსელში, გაზეთებისა და გამომცემლობის მუშაობის გაღრმავება ქიმიურ მეცნიერებათა და სახალხო მეურნეობის ქიმიზაციის საკითხებზე და ამ მუშაობაში საზოგადოებრივ ორგანიზაციების ჩაბმა. ქიმიზაციის დარგში შესაფერ ორგანოების მუშაობის ხელმძღვანელობის გასაწევად სახკომსაბჭოსთან არსდება საბჭოთა კავშირის სახალხო მეურნეობის ქიმიზაციის კომიტეტი ამხ. რუძუტაკის თავმჯდომარეობით.

საბჭოთა კავშირის საწარმოო ძალთა შესწავლა

მოსკოვი, 28 აპრილი. 27 აპრილს გაიხსნა მეორე საკავშირო კონფერენცია საბჭოთა კავშირის საწარმოო ძალთა შესწავლის შესახებ. კონფერენციაზე დელეგატებად ჩამოვიდნენ ცენტრალურ და ადგილობრივ საგეგმო და სამეურნეო ორგანიზაციებისა და დაწესებულებების მუშაკები, სულ ასზე მეტი. კონფერენცია გახსნა საბჭოთა კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომისიის პრეზიდიუმის წევრმა ამხ. გარინკომ, რომელმაც მოკლედ დაახასიათა კონფერენციის მიზნები. საბჭოთა კავშირის სახელმწ. საგეგმო კომისიის სახელით კონფერენციას მიესალმა ამხ. კრჟიჟანოვსკი. „ვარიანტს“ ახლად არჩეული პრეზიდიუმის სახელით—პროფესორი ზვადოვსკი. ამის შემდეგ კონფერენციამ მოისმინა ლაპიროვ-სკობლის მოხსენება საბჭოთა კავშირის საწარმოო ძალთა შესწავლისათვის წარმოებული მუშაობის პირობებისა და ეხლანდელი მდგომარეობის შესახებ. (ადს).

პროფკავშირთა მერვე საკავშირო ყრილობა

მოსკოვი, 29 აპრილი. პროფკავშირთა მე-8 საკავშირო ყრილობა მოწვეულია დეკემბერში. საკავშირო პროფსაბჭოს პრეზიდიუმმა მიიღო დელეგატების არჩევის შემდეგი წესი: პროფორგანიზაციები, რომლებთაც ჰყავს 5 ათასიდან 12 ათასამდე წევრი, ყრილობაზე გზავნიან ერთ დელეგატს გადამწყვეტი ხმით. ყოველ 12 ათას წევრზე არჩეულ უნდა იქნას თითო დელეგატი. 12 ათასზე ზევით დარჩენილი რიცხვი, არა ნაკლებ 6 ათასისა, იძლევა უფლებას არჩეულ იქნას 1 დელეგატი გადამწყვეტი ხმით. დელეგატების არჩევის დროს მხედველობაში უნდა იქნას მიღებული კავშირის მხოლოდ ის წევრები, რომლებიც ნამდვილად იხდიდნენ საწევრო გადასახადს უკანასკნელ კვარტალში. წარმოებანი, რომლებშიც ჰყავს 5.000 არა ნაკლები წევრი, დელეგატს დაწესებული ნორმების მიხედვით ირჩევენ უშუალოდ ამ წარ-

საუკეთესო წარმოებების დაჯილდოება

მოსკოვი, 28 აპრილი. 26 აპრილს ამხ. ლომოვის თავმჯდომარეობით შესდგა საკონკურსო ჟიურის პირველი სხდომა, რომელზედაც პრემიები მიუსაჯეს ლითონის, ელექტროტექნიკური, ქაღალდის და პოლიგრაფიული მრეწველობის საუკეთესო წარმოებებს.

ამხ. ლომოვმა თავის სიტყვაში აღნიშნა, დადებითი მხარეები კონკურსისა, რომელმაც გამოაშკარავა ცალკე წარმოებათა გამოცდილება და მიღწევანი. საბჭოთა კავშირის სახ. მეურნ. უმაღლეს საბჭოს პრეზიდიუმმა გადაწყვიტა პირველი კატეგორიის პრემიების რიცხვი გაადიდოს 28-მდე, მეორე კატეგორიის—30-მდე. მთავარ სამართველოს დაევალა კონკურსის მასალების მიხედვით გადასინჯოს კაპიტალურ სამუშაოთა გეგმები და დაუწესოს დამატებითი შეღავათები საუკეთესო წარმოებათათვის.

ჟიურიმ პრემია მიუსაჯა: **ლითონის მრეწველობაში**—პირველი პრემია: „გორშვენიმ. შინის“ პოდოლის ქარხანას, ნიჟნე-კიშტანის თაფლის გადამამუშავებელ და მაკეევის ლითონის კომბინატს (პრემია მიეცა წარმოებას და ადმინისტრატიულ ტექნიკურ პერსონალს); მეორე პრემია (ადმინისტრატიულ-ტექნიკურ პერსონალს) მიეცა შემდეგ ქარხნებს: პერმის სეპარატორების ქარხანას, ნიჟნე-ტაგილის ლითონის ქარხანას, ნიჟნეგოროდის ქარხანა „მეტალისტს“ და ხარკოვის ორთქლმავალთა მშენებელ ქარხანას; მესამე პრემია მიეცა შემდეგ ქარხნებს: ლიუბერეცკის ქარხანას, ქარხანა „კომუნარს“ ზაპოროჟიეში, „მანომეტრს“ მოსკოვში და მაქს გელცის სახელობის ქარხანას ლენინგრადში.

ელექტრონის მრეწველობის დარგში პირველი პრემია მიიღო „დინამომ“, „კრასნაია ზვეზდამ“ და „ელექტროსილამ“; მეორე პრემია: ხარკოვის ელექტრო-მექანიკურმა ქარხანამ, ელექტრო-ქარხანამ ლენინგრადში, ლამპების ფაბრიკებმა გაერთიანებამ მოსკოვში და ელექტრო-ლამპის ფაბრიკა „სვეტლანამ“, მესამე პრემია ამ დარგის წარმოებებს არ მიეცათ.

ქაღალდის მრეწველობაში—პირველი პრემია მიუსაჯეს: „სევეროლესის“ ქარხანა № 25-ს (არხანგელსკში), მეორე პრემია—უსტ-იჟორის საფანერო ქარხანას; მესამე პრემია—ამხ. ვოიკოვის სახელობის ავეჯეულის ფაბრიკას, ქაღალდის ფაბრიკა „კომუნარს“ ლენინგრადში, „ვოლოდარსკის“ ხე-ტყის ქარხანას, „პარიზის კომუნას“ იაროსლავსკში.

პოლიგრაფიულ მრეწველობაში: პირველი პრემია მიუსაჯეს „მოსპოლიგრაფის“ მე-7 სტამბას, მეორე პრემია—„ნიუპოლიგრაფის“ სტამბას და მესამე—„მოსპოლიგრაფის“ საღებავების ქარხანას № 2 (ადს).

ველი იბრაგიმოვის საქმე

სიმფეროპოლი, 28 აპრილი. ველი იბრაგიმოვის პროცესის მეოთხე დღის გაგრძელდა მოწმეთა დაკითხვა. მოწმეთა ჩვენებას არსებითი ცვლილებანი არ შეუტანია ამ საქმის საერთო მდგომარეობაში, მაგრამ გამოირკვა მნიშვნელოვანი დეტალები, რომლებიც ახასიათებს იბრაგიმოვის კავშირს კულაკებთან და ბანდიტებთან. დაკითხულ იქნა ყირიმის იუსტიციის ყოფილი სახალხო კომისარი ნოგაევი, რომელმაც სთქვა, რომ იბრაგიმოვმა დამალა ხაისეროვი და ხელი შეუწყო მის გაქცევას. დაკითხვის დროს გამოირკვა, რომ მოწმე ნოგაევმა იცოდა, რომ ხაისეროვი იმალებოდა იბრაგიმოვთან და ამის შესახებ არ აცნობა ხელისუფლებას, რითაც ხელი შეუწყო ხაისეროვის გაქცევას. სასამართლოს დადგენილებით, ნოგაევი პასუხისგებაში მიცემული ბანდიტის დამალვისათვის ხელის შეწყობის გამო. სასამართლოს გამოძიება დამთავრდა. დღეს საღამოთი დაიწყება მხარეთა კამათი. (ადს).

პირველი მაისისათვის

გლეხთა ინტერნაციონალის მოწოდება

მოსკოვი, 28 აპრილი. გლეხთა ინტერნაციონალის პრეზიდიუმმა მთელ ქვეყნის გლეხებს, გლეხ-ქალებს და გლეხურ ახალგაზრდობას მიმართა მოწოდებით, რომელშიაც ნათქვამია:

„ყველა ქვეყნის მშრომელები კაპიტალისტურ ჯალათებისაგან განთავისუფლებას და თავისუფალ ადამიანთა საზოგადოების შექმნას შესძლებენ მხოლოდ გადამწყვეტი და თავგანწირული რევოლუციონური ბრძოლით კაპიტალისტებისა და მემამულეების ბატონობის დასამხობად.

კაპიტალისტურ ქვეყნებს შორის არსებული წინააღმდეგობანი, გაუმაძღარი სიხარბე, რომელიც კაპიტალიზმს ახასიათებს და იმპერიალისტების მისწრაფება დაიმონონ მთელი მსოფლიო,—მშრომელი მასებისათვის ქმნის ახალი სისხლისმღვრელი ომის საფრთხეს, ომის, რომელიც კიდევ უფრო საშინელი იქნება, ვიდრე 1914 წ. ომი იყო. საბჭოთა კავშირისა და ჩინეთის, ინდოეთისა და სხვა ქვეყნების რევოლუციონური მოძრაობის დაცვით, თქვენ იცავთ თქვენ თავს, ხოლო თქვენი ქვეყნის კაპიტალისტების და მემამულეების ბატონობის წინააღმდეგ ბრძოლით, თქვენ იცავთ თქვენს საუკეთესო მოკავშირეებს—საბჭოთა კავშირს, სადაც მუშები და გლეხები გაბატონებული და კოლონიალურ ერებს, რომლებიც თავისი არსებობისათვის იბრძვიან.

გლეხთა ინტერნაციონალი მოუწოდებს ყველა მშრომელებს და გლეხებს გამოვიდნენ 1 მაისს მუშებთან ერთად კაპიტალის შეტევის წინააღმდეგ, იმპერიალისტური ომისა და საბჭოთა კავშირზე თავდასხმის წინააღმდეგ, ბურჟუაზიულ მთავრობებთან ბრძოლისა და მუშურ-გლეხური მთავრობის შექმნის ლოზუნგით, მემამულეებისა და სოფლის მთელი ბურჟუაზიის სავაჭრო კაპიტალის წინააღმდეგ, გლეხობისადმი მტრულად განწყობილ ყველა ორგანიზაციების და ფაშიზმის წინააღმდეგ, მუშებისა და გლეხების კავშირის დასამყარებლად“ (ადს).

რემედასის აღმასკომის მოწოდება

მოსკოვი, 28 აპრილი. რემედასის აღმასკომი, ყველა მშრომელებისადმი მიმართულ მოწოდებაში, თავისი ორგანიზაციების მრავალი მილიონი წევრების სახელით, ამ ათეულ მილ. მშრომელთა სახელით, ვისთვისაც ძვირფასია რემედასის მუშაობა, 1 მაისს უგზავნის მხურვალე სალამს მოწინავე რევოლუციონურ მებრძოლთ—კაპიტალის ტყვეებს, რომლებიც იტანჯებიან ბურჟუაზიის საპყრობილეებში. ამ დღეს, როცა ყველა ქვეყნის მშრომელები გაერთიანებულია ინტერნაციონალური სოლიდარობით, რემედასის აღმასკომი მოუწოდებს ყველა მშრომელს ახსოვდეს რევოლუციის მებრძოლნი, რომლებთაც მამაცურად და უანგაროდ შესწირეს თავისი ძალები, ჯანმრთელობა და სიცოცხლე მუშებისა და გლეხების განთავისუფლების საქმეს.

„დაირაზმეთ,—ნათქვამია მოწოდებაში,—ფაშიზმის წინააღმდეგ, კლასობრივ თვალთმაქცური ბურჟუაზიული იუსტიციის წინააღმდეგ, რეაქციონურ კანონების წინააღმდეგ, საპატიმროების რეჟიმის - წამებისა და საშინელების წინააღმდეგ! ბრძოლის ლოზუნგებთან და პოლიტიკურ და ეკონომიურ მოთხოვნილებებთან ერთად მოითხოვეთ მუშებისა და გლეხების, ნაცუმცირესობათა, ჩაგრულ ერებისა და კოლონიების წინააღმდეგ მიმართულ თეთრი ტერორის შეწყვეტა, მოითხოვეთ ყველა პოლიტიკურ პატიმრების განთავისუფლება“! (ადს).

ამიერ-კავკასიის ყველა მშრომელთ

პირველი მაისი არის ყველა ქვეყნის პროლეტარიატის სოლიდარობის, იმპერიალისტურ ქვეყნების მშრომელთა და კოლონიებისა და ნახევრად კოლონიების ჩაგრულ ხალხთა სოლიდარობის, საბჭოთა კავშირის მუშათა კლასის და გლეხობის დაკავშირების, საბჭოთა ამიერ-კავკასიის ყველა ერების ძმობისა და მშვიდობიანობის მანიფესტაციის დღე.

კაპიტალის ქვეყნებში მუშათა კლასი და გლეხობის დაჩაგრული ნაწილი პირველი მაისს დემონსტრაციებზე გამოვლენ შემდეგი ლოზუნგებით: ბრძოლა მილიტარიზმის წინააღმდეგ რვა საათის სამუშაო დღისათვის, თავიანთ ქვეყნების მუშათა კლასზე და საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკების კავშირზე იერიშების წინააღმდეგ, ეროვნულ ჩაგვრის წინააღმდეგ, კაპიტალისტურ სახელმწიფოს დამხობისათვის.

საბჭოთა კავშირის მშრომელთა მთავარი ლოზუნგები იქნება: სოციალისტური მშენებლობის ტემპის განმტკიცება და აჩქარება შვიდი საათის სამუშაო დღის საფუძველზე, გლეხების კოოპერატიულად შეკავშირება, ბრძოლა კულაკობასთან, სოფლის ღარიბ მოსახლეობის და საშუალო გლეხობის კავშირი, სახელმწიფოს და მეურნეობის მმართვა-გამგეობაში პროლეტარიატის და ღარიბ გლეხობის ახალი ფენების ჩაბმა; ბრძოლა იმპერიალისტების სამხედრო და ეკონომიური ინტერვენციის წინააღმდეგ ჩვენი სამეურნეო და სამხედრო ძლიერების გადიდებას, წითელი არმიის ბრძოლის უნარიანობის აწევის და მშრომელთა ფართო მასების გასამხედროების გზით; კულტურული რევოლუცია ჩვენი ცხოვრების ყველა სფეროში—მეურნეობაში, ყოფა-ცხოვრებაში, იდეოლოგიურ ზედნაშენებში; დახმარება ყველა ქვეყნის მებრძოლ პროლეტარიატს და დაჩაგრულ ერებს.

ამიერ-კავკასიის მშრომელნი ამ ლოზუნგებს დაუმატებენ: ერთა შორის მშვიდობიანობის განმტკიცება, ამიერ-კავკასიის ფედერაციის შემდგომი განმტკიცება, ძველი ყოფა-ცხოვრების მახინჯი ნაშთების—სისხლის აღების, მრავალცოლიანობის და ცრუმორწმუნეობის დაჩქარებით აღმოფხვრა.

ამიერ-კავკასიის მშრომელნო! საბჭოების ქვეყანაში, მუშების და გლეხების ქვეყანაში სა პირველმაისო ლოზუნგების განხორციელება შეუძლებელია, თუ მასში მონაწილეობა არ მიიღო თვით მშრომელ მასებმა—ყველა მუშამ და მუშა-ქალმა, ყველა გლეხმა და გლეხ-ქალმა, მუშურ-გლეხურმა ახალგაზრდობამ, მშრომელმა ინტელიგენციამ. შემოკრბით მშრომელთა საბჭოთა ხელისუფლების გარშემო, საკავშირო კომუნისტური პარტიის ბრძოლებში ნაცად დროშის ქვეშ. დეე, მთელი ქვეყნის მუშებმა და გლეხებმა და ჩაგრულმა ერებმა დაინახონ თქვენი ბრძოლის ყიჟინა:

გაუმარჯოს 1 მაისს!

გაუმარჯოს ამიერ-კავკასიის მშრომელთ!

გაუმარჯოს საბჭოთა კავშირის მუშებს და გლეხებს!

გაუმარჯოს მთელი ქვეყნის მებრძოლ პროლეტარებს და დაჩაგრულ ერებს!

ს. კ. პ. (ბ) ამიერ-კავკასიის საოლქო. კომიტეტი.

ამხ. კალინინი განათლების მუშაკთა ამოცანების შესახებ

მოსკოვი, 28 აპრილი. რუსეთის საგუბერნიო განათლების განყოფილებათა გამგეების ყრილობაზე 27 აპრილს ამხ. კალინინმა წარმოსთქვა სიტყვა. ამხ. კალინინი, რომელსაც ხანგრძლივი ტაშით შეხვდენ, ყრილობას მიესალმა საკავშირო კომპარტიის (ბ) ცეკას და მთავრობის სახელით.

ამხ. კალინინმა აღნიშნა, რომ მას არ აქვს გარკვეული თემა და შეეხო კულტურული რევოლუციის ამოცანებთან დაკავშირებულ მთელ რიგ საკითხებს.

„ჩვენ ვაშენებთ სოციალისტურ საზოგადოებას,—სთქვა მან,—რომელშიაც იდეალური ურთიერთობა უნდა იყოს ადამიანთა შორის. ჩვენ ამ დარგში ჯერ-ჯერობით ძალიან ცოტა გავაკეთეთ. მართალია, ახალგაზრდობა იძლევა დიდ იმედებს, მაგრამ მიღწეული შედეგები საკმაო არ არის, ადგილი აქვს გადამახინჯებას ყოფა-ცხოვრების და სხ. დარგში. ზოგიერთები კმაყოფილდება საქმის მხოლოდ ფორმალური მხარით. კულტურა კი, ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით, ვერ ითმენს წმინდა ფორმალურ მიდგომას. სკოლამ და განათლების მუშაკებმა უდიდესი როლი უნდა ითამაშონ ადამიანთა შორის საუკეთესო ურთიერთობის შექმნის საქმეში. უნდა შეიქმნას ადამიანი, რომელიც, სანამ რამეს გააკეთებს, თავის-თავს მისცემს შეკითხვას. როგორ გავლენას იქონიებს ჩემი საქციელი, მოქმედება ამხანაგზე, მეზობელზე და ყველაზე კოლექტიურად. ეს უნდა გასწავლოთ ჩვენს ახალგაზრდობას, ვინც სცდილობს აღზარდოს იდეალური ადამიანი, ის თვითონ ძალიან კულტურული უნდა იყოს. რასაკვირველია, ადამიანის კარგი თვისებანი არ შეიძლება გამოგონებულ იქნას, მაგრამ ეს თვისებანი გამომდინარეობს არსებული საზოგადოებრივი და ეკონომიური პირობებისაგან. ჩვენში ეს პირობები ხელს უწყობს იდეალური ურთიერთობის განვითარებას, ვინაიდან თვითონ სახელმწიფო აშენებულია კოლექტივიზმის საფუძველზე და ნივთიერი ბაზა ადამიანთა კულტურის აწევისათვის საბჭოთა კავშირში უეჭველად არსებობს.

ეს არის ის საფუძველი,—სთქვა ამხ. კალინინმა დასასრულ,—რომელიც განათლების მუშაკთ მისცემს საშუალებას განახორციელონ თავის ამოცანები. (ადს).

პარტიული ცხოვრება

ნეირატმა გასწყვიტა კავშირი ტროცკისტებთან

მოსკოვი, 28 აპრილი. „პრავდა“ წერილში სათაურით: „ნეირატმა გასწყვიტა კავშირი ტროცკისტებთან“, სწერს:

„ნეირატი უკანასკნელ თვეებში აშკარად გმობდა დისციპლინის დარღვევას, რომელიც დაუშვა ტროცკისტულმა ოპოზიციამ, როგორც საბჭოთა კავშირში, ისე ჩეხო-სლოვაკიაში. მაგრამ დღემდე მას არ გაუცია ნათელი ამომწურავი პასუხი იმ კითხვაზე, თუ როგორ უყურებს იგი ტროცკისტული ოპოზიციის პოლიტიკურ პლატფორმას. ამიტომ ჩეხო-სლოვაკიის კომპარტიის სამდივნომ წინადადება მისცა ნეირატს გარკვეული პასუხი გაეცა შემდეგ კითხვებზე: სცნობს თუ არა იგი ტროცკისტული ოპოზიციის ხაზს შემცდარად, ანტილენინურად, ობიექტიურად კონტრ-რევოლუციონურ ხაზად და აღიარებს თუ არა იგი, რომ ოპოზიციისათვის მხარის დაჭერა იყო შეცდომა.

ამ კითხვებზე ნეირატმა გასცა შემდეგი პასუხი:

„მე ვაცხადებ, უპირველეს ყოვლისა, რომ საკავშირო კომპარტიის (ბ) ყრილობის გადაწყვეტილებებმა უდავოდ დაგვიმტკიცა, რომ ოპოზიციის მოქმედება პარტიის ქვაკუთხედის, ე. ი. ლენინიზმის წინააღმდეგ არის მიმართული და ამიტომ მან ობიექტიურად კონტრ-რევოლუციონური როლი უნდა ითამაშოს; მეორეს მხრით, მე ვაცხადებ აგრეთვე, რომ ჩემი დამოკიდებულება ოპოზიციასთან შემცდარი იყო.

პარტიული სალამით — ნეირატი“.

ამ განცხადების გამო ჩეხო-სლოვაკიის კომპარტიის ცეკა აღნიშნავს შემდეგს:

დიდი ხნის ყოყმანის შემდეგ ამხ. ნეირატმა თავის უკანასკნელ განცხადებაში აშკარად გაილაშქრა ოპოზიციის გამხრწნელი მოქმედების და პრინციპების წინააღმდეგ და აღიარა თავისი შეცდომა. ცეკა ამ განცხადებას ცნობად ღებულობს. ნეირატმა ეხლა თავისი განცხადების გულწრფელობა უნდა დაამტკიცოს მთელი ძალ-ღონე მოანდომოს ბრძოლას შემცდარი, გამხრწნელი, ანტილენინური პრინციპების წინააღმდეგ, რომლებსაც ოპოზიცია ავრცელებდა და რომელთა სრულ სიყალბეს აშკარად სცნობს გამოცდილებით დარწმუნებული ნეირატი. (ადს).

სომხეთის კომპარტიის მორიგი ამოცანები

ერევანი, 28 აპრილი. 27 აპრილს ერევნის ორგანიზაციის ქალაქის პარტაქტივის კრებაზე სომხეთის კომპარტიის (ბ) ცეკას მდივანმა ამხ. კოსტანიანმა გააკეთა მოხსენება კომპარტიის მორიგი ამოცანების შესახებ. იდეოლოგიური ბრძოლის დარგში მომხსენებელმა პარტიის მთავარ ამოცანად მიაჩნია ბრძოლა დაშნაკობასთან, მენშევიზმთან, ტროცკიზმთან და სმენოვეხოვშჩინასთან. რომლებიც ცდილობენ გავლენა მოახდინონ მშრომელ მასებზე. შეეხო რა სამეურნეო მშენებლობის ამოცანებს მომხსენებელმა აღნიშნა ერთგვარი სიძნელენი. რომელთა დასაძლევად საჭიროა მთელი პარტიის ენერგიის მობილიზაცია. კერძოდ, საჭიროა გეგმიანი მუშაობის გაძლიერება, რაიონებად დაყოფის საფუძველზე და ეკონომიურ უნივერსალიზმის წინააღმდეგ ბრძოლა. გაუკეთა რა ჯამი საბჭოთა ხელისუფლების მიღწევებს სომხეთში, მომხსენებელმა დასახა პარტიის შემდგომი მუშაობის ძირითადი პროგრამა.

მოხსენების გამო ერთხმად მიღებულია შემდეგი რეზოლუცია:

„სომხეთის კომპარტიის (ბ) ერევნის ორგანიზაციის აქტივი, მოისმინა რა მან. სომხ. კ. პ. (ბ) ცეკას მდივნის—ამხ. გაიკაზ კოსტანიანის მოხსენება პარტიის მორიგი ამოცანების შესახებ, აღნიშნავს, რომ სომხეთის კომპარტია (ბ) შინაპარტიული ბრძოლიდან გამოვიდა განმტკიცებული და გაჯანსაღებული, აქტივი ფიქრობს, რომ ახალი ხელმძღვანელების მიერ დასახულია მეტად სწორი გზები, როგორც სამეურნეო მშენებლობის დარგში, ისე პროლეტარული იდეოლოგიისა და პარტიის რიგების განმტკიცებისათვის ბრძოლის ფრონტზე. აქტივი დარწმუნებულია, რომ მთელი პარტია, როგორც ერთი კაცი, დაირაზმება ცეკას გარშემო და მე-15 პარტყრილობისა, საკავშირო კომპარტიის (ბ) ცეკასა და ცენტრალურ საკონტროლო კომისიის პლენუმებისა და საკ. კომპარტიის ა.-კ. საოლქო კომიტეტის გადაწყვეტილებათა მიხედვით განაგრძობს შემდგომ წინსვლას როგორც სამეურნეო ფრონტზე, სოციალისტური მშენებლობის ტემპის დაჩქარებით, ისე იდეოლოგიურ ფრონტზედაც.—გახურებულ შანთით ამოთხვრის ყოველგვარ არაკომუნისტურ განწყობილებას სომხეთის კომპარტიაში და სასტიკად შეებრძოლება ყველა ნაციონალისტურ და საბჭოთა ხელისუფლებისათვის უცხო იდეოლოგიურ მიმართულებას ჩვენს ქვეყანაში“. (ადს).

მე-2 ქართ. მსრ. დივიზიის პარტკონფერენცია

მეხუთე და მეექვსე სხდომაზე გრძელდებოდა კამათი ამხ. ოკუჯავას მოხსენების გარშემო. ილაპარაკეს ამხანაგებმა: ბალათურიამ, ადამაძემ, სოხაძემ, სურგულაძემ, დანელიამ, მახარაშვილმა, პატარაიამ, ჩხიკვიშვილმა, სულაბერიძემ ოდიშარიამ, თოფურიძემ, გრიქუროვმა და სხვ.

კამათის შემდეგ საბოლოო სიტყვა წარმოსთქვა ამხ. ოკუჯავამ. დასასრულ კონფერენციამ აირჩია კომისია რეზოლუციის გამოსამუშავებლად.

ამავე სხდომაზე მოსმენილ იქნა:

დივიზიის უფროსის ამხ. გიორგაძის მოხსენება.

მსროლელის მომზადების საქმეში ჩვენ გვაქვს უდიდესი მიღწევები. დივიზიამ შაშხანიდან სროლაში დაიჭირა მესამე ადგილი მუშურ-გლეხურ წით. არმიის მასშტაბით. ტექნიკური მომზადებით დივიზია არ ჩამორჩება დანარჩენ და საკადრო ნაწილებს.

მატერიალური ბაზა სამხედრო სწავლებისთვის არ არის საკმაოდ მტკიცე, არა გვაქვს სათანადო სამხედრო ლიტერატურა ქართულ ენაზე, ჩვენ ვფიქრობთ, რომ ამ ნაკლს მალე გამოვასწორებთ.

დისციპლინარული პოლიტიკის პრაქტიკა გაუმჯობესდა, წვევამდელთა მომზადების საქმე თანდათანობით უკეთეს ნიადაგზე დგება. მომავლისათვის საჭიროა მეტი მატერიალური საშუალების გაღება წვევამდელთა კმაყოფისა და წვრთნების მოწყობის საკითხის საბოლოოდ მოსაგვარებლად.

საშეფოებათაშორისო მუშაობა სუსტად მიმდინარეობს, რაც უნდა მიეწეროს ნაწილების სუსტ ხელმძღვანელობას ერთი მხრივ და სამოქალაქო ორგანიზაციების მონაწილეობის სისუსტეს მეორე მხრივ.

ბოლოს მომხსენებელი აღნიშნავს, რომ საერთო ძალ-ღონით და სამოქალაქო ორგანიზაციების აქტიურ მონაწილეობით ჩვენ შევსძლებთ ტერმშენებლობის განმტკიცებას და გაძლიერებას.

---

28 აპრილს, საღამოს სხდომაზე გაიმართა კამათი ამხ. გიორგაძის მოხსენების გარშემო, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს ამხ. ამხ. სიმონგულოვმა, ქანთარიამ, გიორგაძემ, იანიშვილმა, ყურაშვილმა, დადიშვილმა, ბერიძემ, და სხვ.

ამხ. გიორგაძის საბოლოო სიტყვის შემდეგ რეზოლუციის დასამუშავებლად არჩეულ იქნა კომისია.

ახლად დაარსებული კომუჯრედი

(ლენინის რაიონი, მაღალი ტიპის სკოლა)

მაღალი ტიპის სასწავლებელში დღემდი კომუჯრედი არ არსებობდა, მაგრამ იანვრის რიცხვებში ჩამოყალიბდა კომუჯრედი, რომელშიაც შედის 12 წევრი და კანდიდატი. კრება სისტემატიურად ეწყობა და უჯრედის წევრებიც უკლებლივ ესწრებიან სხდომებს. უჯრედმა პედაგოგიურ საბჭოში და სასკოლო კომიტეტში შეჰქმნა კომფრაქციები. ამას გარდა უჯრედს მიმაგრებული ყავს თავისი წევრი ახკომკავშირის ორგანიზაციაზე.

მუშაობა დაიწყო და ცოცხლად მიმდინარეობს. რაიკომიც სათანადო ხელმძღვანელობას გვიწევს.

ა. გობეჯიშვილი.

აკადემიკოსი ნ. ი. მარი თბილისში



აკადემიკოსი ნ. ი. მარი

ნ. ი. მარი ფ. მახარაძესთან

გუშინ დილით აკადემიკოსი ნ. ი. მარი მეცნიერების მუშაკთა სექციის ბიუროს წარმომადგენლის ამხ. ს. ხუნდაძის, არქეოლოგიური ინსტიტუტის წარმომადგენლის ს. კაკაბაძის და სამეცნიერო დაწესებულებათა გამგის ვ. ბერიძის თანხლებით ეწვია საქართველოს ცენტრ. აღმასკ. კომიტეტის თავმჯდომარეს ამხ. ფილიპე მახარაძეს, რომელთანაც ქონდა ხანგრძლივი საუბარი.

განათლების კომისარიატში

შემდეგ ნ. მარი ესტუმრა განათლების სახალხო კომისარიატს, სადაც ესაუბრა სხვადასხვა საკითხებზე განათლების კომისარს ამხ. დ. კანდელაკს, მის მოადგილეს ამხ. მარიამ ორახელაშვილს და კომისარიატის სხვა პასუხისმგებელ მუშაკებს.

სახელმწიფო უნივერსიტეტში

შემდეგ აკად. მარი განათლების სახ. კომისარის მოადგილე ამხ. მარიამ ორახელაშვილთან და ზემოხსენებულ პირებთან ერთად ესტუმრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს. პატივცემულ სტუმარ-მეცნიერს შეეგებნენ რექტორის მოადგილე პროფ. მაჭავარიანი, პროფესორები, მასწავლებლები და სტუდენტობის წარმომადგენელნი. უნივერსიტეტის გამგეობის სახელით მხცოვან მეცნიერს მისასალმებელი სიტყვით მიმართა პროფ. შ. ნუცუბიძემ, რომელმაც გამოსთქვა მტკიცე რწმენა, რომ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო ძალებსა და დამსახურებულ მეცნიერს მარს შორის ამიერიდან დამყარდება უფრო მეტი მეცნიერული ურთიერთობა და საქმიანი თანამშრომლობა. თავის მხრით ნ. მარმა აღუთქვა, რომ იგი არ დაზოგავს თავის ძალღონეს, რომ საქმით განამტკიცოს მეცნიერული კავშირი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და საკავშირო სამეცნიერო დაწესებულებებს შორის.

შემდეგ აკადემიკოსმა მარმა დაათვალიერა უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა, ისტორიოლ-ეთნოგრაფიული მუზეუმი, ლაბორატორიები და სხვ.

ამხ. მამია ორახელაშვილთან

ნაშუადღევს აკადემ. ნ. ი. მარმა ინახულა ამხ. მამია ორახელაშვილი, რომელსაც ესაუბრა სხვადასხვა სამეცნიერო საკითხებზე.

ნ. ი. მარის მოხსენება

საღამოს 8 ნახ. საათზე კონსერვატორიის დარბაზში შესდგა პატივცემულ მეცნიერის მოხსენება შემდეგ თემაზე: „რად არის ძნელი ლინგვისტად გახდომა?“.

მეცნიერმა-მომხსენებელმა მრავალრიცხოვან აუდიტორიას გააცნო თავისი იაფეტური თეორია, რომლის თანახმად მთელი მსოფლიოს ენები წარმოადგენენ სხვადასხვა ეპოქის ერთი და იმავე შემოქმედებითი პროცესის შედეგს. იაფეტური თეორია ენების სისტემის წარმოშობას და განვითარებას უკავშირებს საწარმოო ძალთა განვითარებას, საზოგადოებრივ ფორმათა ცვალებადობას. ამით ეს თეორია უახლოვდება მარქსიზმს და საფუძვლიანად არღვევს ძველ ლინგვისტიკურ თეორიებს. ძველ მეცნიერულ სისტემებზე აღზრდილი ენათმეცნიერები ვერ შეეგუებიან ამ ახალ სიტყვას ენათმეცნიერებაში, რადგან ამ თეორიის ჭეშმარიტების აღიარება მათთვის იქნებოდა თავის-თავის უარყოფა,—წინანდელ შეხედულებებზე უარის თქმა. ამიტომ ბევრისათვის ადვილი არ არის ნამდვილ ლინგვისტად გახდომაო“. საზოგადოება მხცოვან მეცნიერს მქუხარე ტაშით შეეგება.

დასასრულ მის პატივსაცემად კონსერვატორიის ძალების მონაწილეობით გაიმართა კონცერტი.

დღეს დილით აკადემიკოსი ნ. ი. მარი მიემგზავრება ლენინგრადში.

ენათმეცნიერების პერსპექტივები

საუბარი აკადემიკოს ნ. ი. მართან

აკადემიკოსი ნ. ი. მარი, რომელიც ამჟამად თბილისში არის ჩამოსული სხვადასხვა მეცნიერული მიზნით, როგორც ცნობილია, არის იაფეტურ თეორიის ავტორი. თავისი უკანასკნელ პერიოდის მუშაობის შესახებ იაფეტური ენათმეცნიერების დარგში აკადემიკოსმა ნ. მარმა განგვიცხადა შემდეგი:

—იაფეტურმა თეორიამ, რომელიც ამჟამად მიზნად ისახავს მთელი მსოფლიოს ენების შესწავლას, წამოაყენა საკითხი ენათმეცნიერების და კავშირების შესახებ მატერიალური კულტურისა და საზოგადოებრივობის ისტორიასთან და აგრეთვე იმ დებულებას, რომლის თანახმად როგორც აღმოსავლეთ-დასავლეთ ქვეყნების კულტურები, ისე მსოფლიოში არსებული ყველა ენები ერთი და იმავე შემოქმედებითი პროცესის ნაყოფს წარმოადგენენ. ამ თეორიით უკვე უკუგდებულია არა მარტო რელიგია, არამედ ეროვნული დანაწილება, როგორც ენის წარმოშობის შემოქმედებითი ფაქტორები. ენები, რომლებიც სხვადასხვაგვარ მოვლენათ ითვლებოდენ თავიანთ წარმოშობის მიხედვით, აღმოჩნდენ მხოლოდ სხვადასხვა ეპოქის შემოქმედების ნაყოფი, ერების თვითეული რასიული ოჯახი აღმოჩნდა არა სხვაგვარი ჯგუფი თავისი წარმოშობის მიხედვით, არამედ ახალი სისტემა, რომელიც წინად დაარსებულ სისტემის განვითარებას წარმოადგენს. ამ თეორიით ისპობა არა მარტო ქართული ენის განცალკევებულობა, არამედ განცალკევებულობა ჩინური ენისაც. უკანასკნელ ხანებში ჩვენ ვხდებით მოწმე იმ ფაქტის დადასტურების, რომ დაწყებული იაპონია-ჩინეთიდან—ვიდრე ატლანტიის ოკეანის ნაპირებამდე წინა ისტორიული და კულტურული ცხოვრების ძირითადი ტერმინები ერთიდაიგივეა. ყველა ენების ყველა სიტყვები შეიძლება გამოყვანილ იქნეს ოთხ ძირითად ელემენტებიდან.

ამ დებულების დასამუშავებლად ცალკე ენების მიხედვით, საჭიროა ღრმა და ხანგრძლივი მუშაობა. ამავე დროს საჭიროა შესწავლა აფრიკის და ამერიკის ხალხების ენებისა, რომელნიც დღემდე სრულიად, არ ყოფილა ან ნაკლებად ყოფილა გამოკვლეული. მაგრამ ამჟამად მორიგი წმინდა თეორეტიული პრობლემა მდგომარეობს იმაში, რომ გამორკვეულ იქნეს, თუ როდის წარმოიშვა ენების სხვადასხვა სისტემა, ან როდის შევიდა სხვადასხვა სისტემის ენებში წინათ არარსებული სიტყვის სხვადასხვა ნაწილები. ეს შეიძლება გამორკვეულ იქნეს ლექსიურ-სიტყვიერი მასალის დაკავშირებით მეურნეობის ნივთიერი კულტურის, საზოგადოებრივი ფორმების განვითარების ისტორიასთან.

მსოფლიო და სამოქალაქო ომების პერიოდში მისვლა-მოსვლის გართულების გამო მე შევაჩერე მუშაობა კავკასიის ენებზე და შევუდექი დასავლეთ ქვეყნების ხმელთა შუა ზღვის, კერძოთ ევროპის ერთერთ პრესტორიული ენის ნაშთის—ბასკურ ენის წარმოშობის შესწავლას.

ამ ენების შესასწავლად უკანასკნელი მივლინების დროს აღმოვაჩინე ნათესაობის ნიშნები ბასკური ენის, აფრიკულ ტომების—ბერბერების ენის, მკვდარ ეტრუსკულ და კავკასიის იაფეტურ (კერძოთ აფხაზურ) ენებს შორის. ამ ნათესაურმა კავშირმა დღის წესრიგში დააყენა საკითხი აფხაზური ენის შესწავლის შესახებ, მაგრამ ეხლა სულ სხვა თვალსაზრისით, რასაც წინათ არ ექცეოდა ყურადღება. ეს ნათესაობა ენებს შორის ან განისაზღვრება აფხაზურით. დაკვირვებისა და კვლევა-ძიების პროცესში მე უკუვაგდე აზრი—დამეკავშირებია იაფეტური ენების წარმოშობა მხოლოდ მარტო ბასკურ ენასთან, ისე როგორც დღეს ჩემ მიერ უარყოფილია ჰიპოტეზა, თითქოს კავკასია ყველა უძველეს ენების წინანდელ სამშობლოს წარმოადგენდეს.

ენათმეცნიერებაში წამოჭრილ ამოცანების გადასაწყვეტად საკავშირო აკადემიასთან დაარსდა იაფეტური ინსტიტუტი, მაგრამ ჯერ კიდევ პირველი მივლინებიდან დაბრუნების შემდეგ მე დავადექი იმ აზრს, რომ ერთი თუ ორი მეცნიერის ან ერთი სამეცნიერო დაწესებულების მუშაობა საკმაო არ არის იაფეტურ ენების პრობლემის ღრმა და სისტემატიური შესწავლისათვის. საჭიროა ენათა შესწავლა გადატანილ იქნეს ადგილებზე, საჭიროა მუშაობაში ჩაბმული იქნენ ყველა, პირველ ხანებში საბჭოთა კავშირის ეროვნებანი და მათი სამეცნიერო დაწესებულებანი მაინც. ჩემი ჩამოსვლის ერთერთი მიზანია, რომ ზემოხსენებულ მუშაობაში მონაწილეობა მიიღოს თბილისის ისტორიულ ფილოლოგიურმა ინსტიტუტმა, რომელსაც სამეცნიერო აკადემიის ახალ წესდების თანახმად საშუალება ეძლევა გააფართოვოს თავისი მეცნიერული მოღვაწეობა იმ საენათმეცნიერო და ისტორიულ ძიებების შესწავლის დარგში, რომელთაც უკანასკნელ დრომდე ნაკლები ყურადღება ექცეოდა.

საერთაშორისო მიმოხილვა

(კვირიდან—კვირამდე)

პირველი მაისის წინ. — არჩევნების „დემოკრატიული“ სისტემა საფრანგეთში. — იმპერიალისტების ანტისაბჭოთა გეგმები.—ისევ მუდმივი „მშვიდობიანობა“.—ორნაირი სასამართლო.

პროლეტარულ სოლიდარობის და რევოლუციონურ ბრძოლის დღესასწაულს, პირველ მაისს მსოფლიო მუშათა კლასი ხვდება შრომაზე კაპიტალის გაძლიერებულ შემოტევის, ბურჟუაზიულ სახელმწიფოთა შორის წინააღმდეგობათა გამწვავების და საბჭოთა კავშირზე თავდასასხმელად იმპერიალისტების მზადების კამპანიის პირობებში. კაპიტალისტურ ქვეყნების ორივე მოპირდაპირე ბანაკი სათანადოდ ემზადება ამ დღის შესახვედრად.

საერთაშორისო პროლეტარიატი კომპარტიის მეთაურობით ცდილობს ამ დღეს მოახდინოს თავის ძალების დემონსტრაცია, ჩაატაროს საყოველთაო გაფიცვა, ქუჩებში გამოვიდეს და ყველას ამცნოს თავისი ურყევი რევოლუციონური ნებისყოფა, მიმართული გათავხედებულ კაპიტალის დამხობისა, ახალი მსოფლიო ხოცვა-ჟლეტის შესაძლებლობის აღკვეთისა და საბჭოთა რესპუბლიკების დაცვისაკენ.

რა თქმა უნდა, გულზე ხელები არ აქვს დაკრეფილი ბურჟუაზიას და მის ხელისუფლებას. ის თავის მხრივ „გამაფრთხილებელ“ ზომებს ღებულობს, რომ მუშათა კლასის მრისხანე ხმამ პირველ მაისს არ შეარყიოს მისი ისედაც მოუსვენარი სულიერი განწყობილება. აი, ზოგიერთი ფაქტები: „კოვნო 26 აპრილი. გაზეთები აქვეყნებენ ოფიციალურ განკარგულებას პირველ მაისს ქუჩებში ყოველგვარ დემონსტრაციის და მსვლელობის აკრძალვის შესახებ“. „ვარშავა, 26 აპრილი. პირველ მაისთან დაკავშირებით ვარშავაში მოხდა ჩხრეკა. დააპატიმრეს 20 კაცი, რომელთაც აბრალებენ კომუნისტურ მუშაობას და პირველ მაისისათვის დემონსტრაციის მზადებას“. ასე ხდება ყველგან, სადაც ბურჟუაზია ბატონობს. მაისობის მოლოდინში რევოლუციონურ ელემენტების წინააღმდეგ აძლიერებს რეპრესიებს. ამ მხრივ განსაკუთრებით აღსანიშნავია წითელ ფრონტელთა კავშირის დაშლის ცდა გერმანიაში. ეს კამპანია დაკავშირებულია არა მარტო მომავალ არჩევნებთან, არამედ მაისის დღესასწაულთანაც. ამ დღეს წითელ ფრონტელთა გამოსვლებს კეიდელი ზედმეტ „საბუთად“ გამოიყენებს მათი ორგანიზაციის გაუქმების გასამართლებლად.

პირველ მაისის ჩასატარებლად ემზადებიან რეფორმისტებიც. ამსტერდამის ინტერნაციონალის ბიუროს მიერ ამას წინად გამოქვეყნებულ მოწოდებაში ბუნდოვანად ლაპარაკია ბრძოლის საჭიროებაზე 8 საათის სამუშაო დღისათვის, ომის საშიშროების წინააღმდეგ და სხვ. სოციალ-გამცემლების ეს „რევოლუციონური“ გამოსვლა საზიზღარი თვალთმაქცობაა მასსების მოსატყუებლად და მათ თვალში თავის საკმაოდ გაბახებულ რეპუტაციის ასაწევად.

პირველ მაისის დღესასწაულის დროს რევოლუციონური პროლეტარიატი გამოვა არა მარტო ბურჟუაზიის, არამედ მის დამქაშ სოციალ-დემოკრატიის წინააღმდეგაც. სოციალ-დემოკრატიის ზედა ფენების დაუზოგავი მხილება, მათი გამხრწნელ გავლენისაგან მასსების განთავისუფლება—ეს ერთი უმთავრესი მომენტი იქნება კომპარტიის საპირველმაისო კამპანიაში, ვინაიდან რეფორმისტების საბოლოო გარიყვა ძირითადი წინასწარი პირობაა პროლეტარიატის მთლიანი რევოლუციონური ფრონტის შესაქმნელად და მის გასამარჯვებლად.

* * *

ჯერ-ჯერობით, პირველი კენჭისყრის შედეგად, კომუნისტებმა საფრანგეთში ვერც ერთი მანდატი ვერ მიიღეს. მაგრამ ეს ფაქტი სრულებით ვერ აბათილებს იმ აზრს, რომელიც ამას წინათ გამოთქმული გვქონდა, სახელდობრ, რომ კომუნისტებს არჩევნებში დიდი წარმატება ხვდა წილად. მართალია, მათ ეხლა შეაგროვეს 200 ათასით მეტი ხმა, ვინემ 1924 წ. არჩევნებში. კერძოდ პარიზში მიიღეს ყველა ხმის 20 პრ., პარიზის მახლობელ რაიონებში—30 პროც., სენა-უაზის დეპარტამენტში—25 პროც. სოციალისტებმა კი ხსენებულ საარჩევნო ოლქებში მიიღეს 116.000 ხმით ნაკლები, ვინემ კომპარტიამ. თუ მიუხედავად ამისა, კომუნისტებმა პირველი ტურის (კენჭისყრის) შემდეგ ერთი წარმომადგენელიც კი ვერ გაიყვანეს დეპუტატთა პალატაში, ეს აიხსნება უმსგავსო საარჩევნო სისტემით, რომელიც „დემოკრატიულ“ საფრანგეთში არსებობს. მოქმედი საარჩევნო კანონის მიხედვით, დეპუტატად გახდომისათვის საჭიროა მიიღო ამა თუ იმ საარჩევნო ოლქში ყველა ხმის აბსოლიუტური უმრავლესობა. ეს წესი პირდაპირ მიმართულია კომპარტიის წინააღმდეგ, რამდენადაც უკანასკნელი, რომელიც, როგორც პროლეტარიატის ინტერესების ერთ-ერთი დამცველი, დამოუკიდებელი სიით გამოდის, ბუნებრივია, ვერ ახერხებს ასეთი უმრავლესობის შეკრებას საფრანგეთში კაპიტალისტურ და წვრილბურჟუაზიულ მოსახლეობის სიჭარბის გამო ერთი მხრით, ხოლო, მეორე მხრით, ბურჟუაზიულ პარტიების და სოციალისტების მთლიანი ფრონტის მიზეზით, რომ ყოფილიყო პროპორციონალური საარჩევნო სისტემა, რომელიც თითქო სავალდებულო უნდა იყოს „დემოკრატიისათვის“, კომპარტიას, მიღებულ ხმების მიხედვით, დაახლოებით 70 დეპუტატამდე უნდა გაეყვანა (წინასწარი ცნობებით, 8.970.000 ხმიდან კომპარტიამ მიიღო 1.024.000 ხმა).

დღეს მოხდება ხელმეორე კენჭისყრა იმ ოლქებში, სადაც ვერც ერთმა კანდიდატმა ვერ მიიღო ხმის აბსოლიუტური უმრავლესობა. ეხლა დეპუტატის ასარჩევად საკმარისია ხმების შედარებითი უმრავლესობა. ასეთი უმრავლესობა, როგორც პირველ ტურის დროს გამოირკვა, კომუნისტებს ბევრგან მოეპოვებათ. მაგრამ აქ ფართო ასპარეზია გადაშლილი ბურჟუაზიულ პარტიებისა და სოციალისტების საარჩევნო ვაჭრობისა და კომბინაციებისათვის, რომელთა მთავარი მიზანი იქნება კომუნისტების გაშავება. სოციალისტები ადგანან ბურჟუაზიასთან ბლოკის გზას, რომ, სადაც ეს შესაძლებელია, ბურჟუაზიის ხმების წყალობით თავისი დეპუტატის რიცხვი გამრავლონ, ხოლო, სადაც ეს მოუხერხებელია, თავის მომხრეთა ხმები ბურჟუაზიის კანდიდატებს შესთავაზონ.

რაც შეეხება კომუნისტებს, ისინი ბოლომდე რჩებიან მკაფიო კლასიურ ხაზის მატარებელნი. ამავე დროს ჩვენი მოძმე პარტია ერთხელ კიდევ მოუწოდებს სოციალისტ მუშებს მთლიანი ფრონტის შექმნისაკენ, რომ მათ ხმა მისცენ კომუნისტების დეპუტატებს და არა ბურჟუაზიას (რადიკალებს), როგორც ამას მათ სოციალისტური პარტიის მეთაურები ურჩევენ. (იმ შემთხვევაში, როცა უკანასკნელთ თავისი წარმომადგენლების გაყვანის შანსები არა აქვთ).

როგორიც არ უნდა იქნეს არჩევნების შედეგები კომუნისტებისათვის მანდატების მიღების თვალსაზრისით, ცხადია შემდეგი: არჩევნებმა, რომლებშიაც კომპარტიამ ლოზუნგად წამოაყენა. კლასი კლასის წინააღმდეგ,—რის მიზანი იყო ძალთა განწყობილების შემოწმება და პროლეტარულ მასსების მობილიზაცია,—ამ არჩევნებმა უდავოდ დაადასტურა კომპარტიის გავლენის ზრდა მუშათა ცენტრებში. კომპარტია თანდათან იპყრობს ჰეგემონიას პროლეტარულ მასსებში და იქ ნიადაგს აცლის სოციალისტებს, რომლებიც, ამიტომ, თავის მომხრეებს სულ უფრო ეძებენ წვრილ ბურჟუაზიულ ფენებში—მედუქნეებში, ხელოსნებში, მოხელეებში, გლეხობის ნაწილში და სხვ. ესაა სოციალისტურ პარტიის სერიოზული დამარცხება, პარტიის, რომელსაც პროლეტარიატის ორგანიზაციად მოაქვს თავი. მის ამ დამარცხებას ბურჟუაზიული პრესაც აღიარებს.

კომპარტიისათვის არა აქვს ცოტად თუ ბევრად გადამწყვეტი მნიშვნელობა იმას, თუ რამდენი დეპუტატი ეყოლება მას პარლამენტში, მიტომ, რომ ის თავის მიზნების განხორციელებას აპირებს, რა თქმა უნდა, არა საპარლამენტო კომბინაციების გზით, არამედ მასსების დარაზმვით და რევოლუციონური ბრძოლით. ამ მხრივ არჩევნებმა უეჭველად დიდი ნაყოფი გამოიღო. სულ სხვაგვარია სოციალისტების მდგომარეობა. მათი „მოღვაწეობა“ ხომ უმთავრესად ბურჟუაზიულ პარლამენტის კედლებშია მოქცეული, ბურჟუაზიული პარლამენტარიზმი ხომ მათი ფეტიშია. და ირკვევა, რომ სოციალისტებს დეპუტატების რიცხვი—თუ არ გაუნახევრდება, ყოველ შემთხვევაში ძალიან შეუმცირდება.

დაახლოებით ასეთივე ბედი ეწვევა (პირველი ტურის მიხედვით) ყოფ. „მემარცხენე“ ბლოკის დანარჩენ პარტიებსაც. გამარჯვებული გამოდიან პუანკარისტები. ობივატელური მასსა, დაშინებული კომუნიზმის ლანდით და ფულის კურსის დაცემის საშიშროებით, ზურგს უმაგრებს პუანკარეს, რომელიც ფრანკის „მხსნელის“ და კომუნიზმის მოსისხლე მტრის როლს თამაშობს. პუანკარეს გამარჯვება ნიშნავს რეაქციის გაძლიერებას, კლასთა ბრძოლის გამწვავებას, მშრომელთა ხარჯზე საგადასახადო ტვირთის გადიდებას და იმპერიალიზმის აქტივობის ზრდას საფრანგეთში. ყველაფერი ეს გააუარესებს არა მარტო პროლეტარიატის, არამედ იმ წვრილ ბურჟუაზიულ ფენების მდგომარეობასაც, რომელნიც ეხლა ბრმად მისდევენ პუანკარეს. კომპარტია ასეთ მდგომარეობას გამოიყენებს რევოლუციის ძალთა შემდგომი მობილიზაციისათვის, როგორც პუანკარეს დიქტატურის, ისე სოციალ-გამცემლების წინააღმდეგ, რომელნიც თავისი სისტემატიურ მოღალატეობით რეაქციის გამარჯვებას უწყობენ ხელს. ეხლანდელ არჩევნებში კომპარტიამ საკმაოდ დაამტკიცა, რომ ამისათვის მას შესწევს უნარი.

* * *

ინგლისის მთავრობა და კონსერვატიული პრესა ამაოდ ცდილობენ დაამტკიცონ, რომ ბირკენჰედი გერმანიაში მოგზაურობდა ვითომ როგორც „კერძო კაცი“ და რომ მას თითქო არავითარი პოლიტიკური დავალება არ ჰქონდა მიცემული. დეპუტატ კენვორტის შეკითხვა: „წინადადებაც ინგლის-საფრანგეთ-გერმანიის კავშირის შესახებ საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ ინდოეთის საქმეთა მინისტრმა როგორც კერძო პირმა წამოაყენა თუ არა“—ეს შეკითხვა ბოლდუინმა უპასუხოდ დასტოვა. ამით მან თითონ დაადასტურა უამისოდაც უდავო აზრი, რომ ბირკენჰედი ბერლინს ეწვია ანტისაბჭოთა ბლოკის შედგენის და მასში გერმანიის ჩაბმის მიზნით.

რა ნიადაგზე უნდა შესდგეს ეს ბლოკი, რა კონკრეტიული გეგმას აყენებს ამ მხრივ ლონდონი? იდეა ინგლის-საფრანგეთ-გერმანიის „თანამშრომლობისა“ საბჭოთა კავშირთან დამოკიდებულების საკითხში ბოლო დროს დიდათაა გავრცელებული. ის პირველ ყოვლისა მიმართულია ჩვენი საგარეო ვაჭრობის მონოპოლიის და საბჭოთა კავშირის ინდუსტრიალიზაციის წინააღმდეგ, რაც დასავლეთის კაპიტალისტებს ჩვენი სახელმწიფოს ეკონომიურ დამონების, კაპიტალისტურ ევროპის აგრარულ დამატებად მისი გადაქცევის და სოციალისტურ მშენებლობის ჩაშლის საშუალებას უსპობს.

მაგრამ შეთანხმების მიღწევა მთლიანი ანტისაბჭოთა ფრონტის შესაქმნელად ჯერ-ჯერობით შეუძლებელი ხდება, და ამის ერთი უმთავრესი მიზეზთაგანია გერმანია-საფრანგეთის ინტერესთა გადაულახავი წინააღმდეგობანი. ამ წინააღმდეგობათა ძირითადი მუხლი, რეინის ოლქის ოკუპაციასთან ერთად, არის სარეპარაციო გადასახადები, რომელთა სიმძიმის ქვეშ გერმანია სულს ღაფავს. და აი, ჩვენ ვხედავთ, რომ ლონდონელი პოლიტიკოსები ცდილობენ „რუსეთის საკითხი“ დაუკავშირონ სარეპარაციო პრობლემას. გაზეთ „ბერლინელ ცეიტუნგ ამ მიტაგ“-ის ლონდონელი კორესპონდენტის თქმით, ინგლისის მინისტრები უკანასკნელ ხანებში სინჯავენ ნიადაგს იმის გამოსარკვევად, „მზად არიან, თუ არა გერმანიის მთავრობა და რეიხსტაგის უმრავლესობა სარეპარაციო გადასახადის შემსუბუქების და რეპარაციების რაოდენობის საბოლოო განსაზღვრის პირობით გასწყვიტონ ურთიერთობა საბჭოთა კავშირთან, გააუქმონ მასთან დადებული ხელშეკრულებები და სხვებთან ერთად ეკონომიური ბოიკოტი გამოუცხადონ საბჭოთა კავშირს“.

ამნაირად, გერმანიას წინადადებას აძლევენ: შეგიმსუბუქებთ რეპარაციების ტვირთს, სამაგიეროდ ურთიერთობა გასწყვიტე საბჭოთა კავშირთან და საბოლოო ანგარიშით მის წინააღმდეგ სამხედრო ლაშქრობაში მონაწილეობაზე დასთანხმდიო. აშკარაა, ამ წინადადების ავტორნი ოცნებობენ,—რომ გერმანიის სარეპარაციო გადასახადების შემცირებას ზედმეტად აინაზღაურებენ საბჭოთა კავშირის ხარჯზე.

უნდა აღინიშნოს, რომ ეს გეგმა აცდუნებს გერმანიის ზოგიერთ სამრეწველო და მმართველ წრეებს. კერძოდ გერმანიის მძიმე ინდუსტრიის ორგანო „დეიტშე ბერგვერკს ცეიტუნგ“ ბოლო დროს უტრიალებს გერმანია-ინგლის-საფრანგეთის ბლოკის და საბჭოთა კავშირთან დამოკიდებულების საკითხის დაუესის გეგმასთან დაკავშირების იდეას.

მაგრამ, ჯერ ერთი, დაუესის გეგმის გადასინჯვა შეუძლებელია ჩრდილოეთ - ამერიკის გარეშე, რომელიც არასოდეს არ დასთანხმდება ამ დარგში დასავლეთის სახელმწიფოების ისეთ შეთანხმებას, რომ მას გვერდი აუხვიონ. უეჭველია, რომ ლონდონის ხსენებული წინადადება, მიმართულია არა მარტო საბჭოთა კავშირის, არამედ ამერიკის წინააღმდეგაც, რომლის ხელში დაუესის გეგმა მძლავრი იარაღია ძველი კაპიტალიზმის მსოფლიოს დასამონებლად. შემდეგ: გერმანიის უფრო გონიერი წრეები ალმაცერად უყურებენ ჩემბერლენ - ბირკენჰედის აღნიშნულ პროექტს, როგორც არარეალურს. ამ ფანტასტიურ გეგმას ისინი არჩევენ საბჭოთა კავშირთან ნორმალურ ურთიერთობის დამყარებას, რომელიც ერთ - ერთი მთავარი პირობაა გერმანიის სამეურნეო აღორძინების და მის საერთაშორისო მდგომარეობის განმტკიცებისათვის. ამ თვალსაზრისს გამოხატავს, მაგ. ცენტრის ორგანო „გერმანია“, რომლის წერილის შინაარსი დღეს მოგვყავს.

ბირკენჰედების ახალი ცდები ანტისაბჭოთა ბლოკის შექმნისა—უეჭველად მეტად სერიოზულ დაბრკოლებებს წააწყდება. მაგრამ ყოველ შემთხვევაში ასეთი ცდები გრძელდება, და დიდის ენერგიით, რასაც საბჭოთა კავშირის მშრომელნი ფხიზლად ადევნებენ თვალყურს.

* * *

დეპეშამ ამ დღეებში გადმოგვცა, „მუდმივი მშვიდობიანობის“ შესახებ ბრიანის პროექტის მოკლე შინაარსი. თუ საფრანგეთის მთავრობის ერთ-ერთი მიზანი, როცა ასეთ პროექტს აქვეყნებდა, იყო პაციფისტის როლის გათამაშება და მასსების მოტყუება—ეს განზრახვა ძალიან უხეიროდაა შესრულებული. თვით პროექტიდან, რომ არ ვილაპარაკოთ, საფრანგეთის იმპერიალიზმის პოლიტიკასა და საქმეებზე, აშკარად გამოიყურება, თუ ბრიანების სახით, რა „მშვიდობის მოყვარულ“ ელემენტებთან გვაქვს საქმე.

პროექტის პირველ მუხლის მიხედვით, სახელმწიფოები „უარს არ აცხადებენ ომზე, თუ ისინი ჩათრეულნი იქნებიან მასში, მაგ.—ერთა ლიგის ხელშეკრულების ან ერთა ლიგის რეგისტრაციაში გატარებულ სხვა რომელიმე ხელშეკრულების დასაცავად“. ჩვენ ვიცით, რომ ყველა ეს ხელშეკრულება ემყარება უხეშ ძალადობას, მსოფლიო ომში დამარცხებულ და სხვა სუსტ ქვეყნების დამონებას დიდი სახელმწიფოების მხრით. მაშასადამე, ბრიანის პროექტი ადასტურებს ამ ძალადობას და მონობას და, ამგვარად, თვითონ შეიცავს ომის საშიშროებას, რამდენადაც დაჩაგრული ხალხები თავის ეხლანდელ მდგომარეობას ვერ შეურიგდებიან.

მეორე მუხლის თანახმად, „ხელშეკრულების ყოველგვარი დარღვევა ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოებს ანთავისუფლებს ვალდებულებებისაგან მის დამრღვევ სახელმწიფოების მიმართ“. ვინ უნდა გამოარკვიოს, თუ რომელი სახელმწიფოა ხელშეკრულების თუ „მშვიდობიანობის“ დამრღვევი. ობიექტიურად ამის განსაზღვრა შეუძლებელია. დღესაც არ შეწყვეტილა დავა იმის გარშემო, თუ ვინ დაარღვია მშვიდობიანობა 1914 წ. და ვინაა მსოფლიო ომისათვის დამნაშავე. დამნაშავის გამორკვევის უფლება ჩვეულებრივ ერთა ლიგას აქვს მინიჭებული, მაგრამ ეს დაწესებულება მიუდგომლობას ხომ ვერ გამოიჩენს და მშვიდობიანობის დამრღვევ მხარედ გამოაცხადებს იმას, ვის წინააღმდეგაც ანგარიშები აქვს ლიგაში გაბატონებულ სახელმწიფოს ან სახელმწიფოთა ჯგუფს თუნდაც „დამნაშავედ“ მიჩნეული ქვეყანა „ცამდე“ მართალი იყოს. ერთა ლიგა კერძოდ არ დააყოვნებს საბჭოთა კავშირის გამტყუნებას „მშვიდობიანობის დარღვევაში“, თუ ამისათვის შემთხვევა მიეცა, თუმცა ცნობილია, რომ საბჭოთა მთავრობა მუდამ მტკიცე სამშვიდობო პოლიტიკას აწარმოებს. ამნაირად, პროექტი ფორმალურ უფლებასაც ანიჭებს ამა თუ იმ სახელმწიფოს, „სამშვიდობო“ ხელშეკრულება ქაღალდის უბრალო ნაგლეჯად აქციოს.

მეოთხე მუხლი ამბობს: „ეს ხელშეკრულება არავითარ შემთხვევაში არ ეწინააღმდეგება ვალდებულებებს, რომლებიც გამომდინარეობენ წინანდელ ხელშეკრულებებიდან“. ეს არსებითად პირველი მუხლის განმეორებაა და მიზნად ისახავს ეხლანდელ, მტაცებლობას და ჩაგვრაზე აგებულ მდგომარეობის შენარჩუნებას, ეხლანდელ სამხედრო კავშირების სისტემის დაცვას, რამაც ახალი სისხლის ღვრა არ შეიძლება არ გამოიწვიოს.

ძალადობის ამჟამად არსებულ სისტემას დარაჯად უდგას ერთა ლიგა. ბრიანის პროექტი სწორედ იქითკენაა მიმართული (პროექტის პირველი მუხლი), რომ ერთა ლიგას ასეთი როლი შერჩეს. კელოგის ცნობილი წინადადება კი „მშვიდობიანობის“ შესახებ ძირს უთხრის ერთა ლიგას, რომელიც მას მიაჩნია ისეთ ორგანიზაციად, რომელიც შეიძლება ამერიკის წინააღმდეგ იქნეს გამოყენებული. ვაშინგტონი ერთა ლიგას უპირდაპირებს სახელმწიფოთა ურთიერთობის ისეთ სისტემას, რომელშიც ჩრდილოეთ-ამერიკას ეკავება გაბატონებული მდგომარეობა დანარჩენ მსოფლიოს მიმართ. აქ აშკარად იხატება ევროპა-ამერიკის წინააღმდეგობა.

ბრიანის პროექტი (ისე როგორც კელოგის წინადადებაც), რა თქმა უნდა, მიზნად ისახავს არა მშვიდობიანობის განმტკიცებას, არამედ ემსახურება იმპერიალიზმის ინტერესებს და ოდნავადაც არ სპობს ომის საშიშროებას. სხვანაირად არც შეიძლება იყოს. კაპიტალიზმის და საომარ საშუალებათა ხელუხლებლად დატოვების პირობებში—ნამდვილი მშვიდობიანობა, ცხადია, განხორციელდება არა ასეთი მოჩვენებითი პაციფისტური ჟესტებით, არამედ სრული განიარაღებით, რომელსაც მხოლოდ პროლეტარიატი გაატარებს მსოფლიო კაპიტალიზმის დამხობასთან ერთად.

* * *

ბურჟუაზიული „მართლმსაჯულების“ ბუნება ცნობილია, პროლეტარულ და საერთოდ ღარიბ მასსების მიმართ ის ველურ სიმხეცეს იჩენს. ამა თუ იმ საბაბით და მიზეზით მათი დასჯისათვის ის ათასგვარ პროვოკაციას და ხერხს მიმართავს. ხოლო როცა კაპიტალისტები ჩადიოდენ თუნდაც უმძიმეს სისხლის სამართლის დანაშაულს, ბურჟუაზიული სასამართლო ყოველნაირად სცდილობს მათ გათეთრებას.

ამ მხრივ, სხვათაშორის, დამახასიათებელია ჩრდილოეთ-ამერიკის უზენაეს სასამართლოს განაჩენი სინკლერის საქმეზე. კაპიტალისტ სინკლერს აშკარად დაუმტკიცდა, რომ მოქრთამა შინაგან და გარეშე საქმეთა მინისტრები—ფოლი და მელონი და ამ გზით უკანონოდ ჩაიგდო ნავთის კონცესიები.

სინკლერი გაამართლეს. ამასთან, რაც უფრო ხაზგასასმელია, მექრთამე მინისტრები პასუხისგებაშიაც არ მიუციათ და ისინი ეხლაც თავის მაღალ პოსტებზე არხეინად იმყოფებიან, თითქოს არაფერი მომხდარიყოს.

სინკლერის გამართლების გამო ზოგიერთ სენატორებმა ირონიულად განაცხადეს: „ჩვენ უნდა შემოვიღოთ კანონი, რომლის მიხედვით ბოროტმოქმედებისათვის არ ისჯება ის, ვისაც 100 მილიონი დოლარი მოეპოვება“-ო, სხვებმა კი შენიშნეს: „საჭიროა დავაარსოთ ორი სასამართლო,—ერთი ღარიბთათვის წარწერით: „აქ შემომსვლელო, გამოეთხოვე ყოველგვარ იმედს“, და მეორე—მდიდართათვის“-ო. მოსწრებული ენამახვილობაა, მხოლოდ ასეთი ორგვარი სასამართლო ფაქტიურად უკვე არსებობს ბურჟუაზიულ მსოფლიოში.

სინკლერის პროცესი ფარდას ხდის იმ მოშენიკობას და აფიორას, რომელიც „კაპიტალის დაგროვების“ ჩვეულებრივი მეთოდია ბურჟუაზიულ ქვეყნებში. ეს პროცესი ამავე დროს სასკანდალოა ამერიკის მთავრობისათვის. ამასთან ერთხელ კიდევ აშკარავდება ბურჟუაზიულ სასამართლოს ნამდვილი ღირებულება, სასამართლოს, რომლის „ზეკლასიურობითა“ და „მიუდგომლობით“ თავი მოაქვს ბურჟუაზიულ „დემოკრატიას“. ბურჟუაზიულ სასამართლოს ასეთ თვისებებს თავის ზურგზე განიცდის მუშათა კლასი. სინკლერის პროცესიდანაც ის შესაფერ დასკვნებს გამოიტანს.

ვ. კ—ლი.

მუშათა და გლეხთა ინსპექციის ფურცელი

მასების კონტროლის გზით

ზოგჯერ კრიტიკოსებს აგინებენ იმიტომ, რომ მათი კრიტიკა უნაკლო არ არის, აგინებენ იმიტომ, რომ მათი კრიტიკა ზოგჯერ ვერ არის სწორი მთელი ასი პროცენტით... ეს შეცდომაა. თუ კრიტიკა შეიცავს თუნდაც 5--10 პროცენტით სიმართლეს, ასეთ კრიტიკასაც უნდა მივესალმოთ, ყურადღებით მოვუსმინოთ და აღმოვაჩინოთ მასში საღი ნაწილი. წინააღმდეგ შემთხვევაში თქვენ პირს აუკრავდით ყველა იმ ასეულ და ათასეულ საბჭოების ერთგულ პირებს, რომლებიც ჯერ კიდევ საკმაოდ ვერ არიან გამოწვრთნილი თავიანთ კრიტიკულ მუშაობაში, მაგრამ რომელთა პირით თვით სიმართლე ღაღადებს... (ი. სტალინი)

საქართველოს რესპუბლიკის მილიციის მდგომარეობა

საქართველოს მუშათა და გლეხთა ინსპექციამ დაამთავრა საქართველოს სს. რესპუბლიკის მილიციის და სისხლის სამართლის მაძიებელ მილიციის მდგომარეობის გამოკვლევა.

ეხლა ჩვენ შეგვიძლია ვილაპარაკოთ ჩვენი მუშურ-გლეხური წითელი მილიციის და სისხ. სამართლის მაძიებელ მილიციის ნაკლოვანებათა ძირითად და მთავარ მიზეზების შესახებ.

თითქმის არც ერთი სახელმწიფო ორგანიზაცია არ იმყოფება ისეთ მძიმე მატერიალურ მდგომარეობაში, როგორშიც წითელი მილიცია. ასეთ პირობებში მუშაობა მეტად ძნელია. ეს უნდა ვაღიაროთ და აქედან უნდა გამოვიტანოთ სათანადო დასკვნები:

საჭიროა, რათა ჩვენი მილიცია ჩავაყენოთ ისეთ მატერიალურ და მორალურ პირობებში, რომ მას შეეძლოს მუშაობა ისე, როგორც ამას მოითხოვს მებრძოლი მასების ინტერესები.

სწორედ ამ მიზანს ისახავდა მილიციის და სისხლის-სამართლის მაძიებელ მილიციის მდგომარეობის გამოკვლევა.

რა გამოარკვია ამ გამოკვლევამ?

გამოკვლევის შედეგად გამოირკვა მილიციის მუშაკების მძიმე მატერიალური მდგომარეობა და არაჩვეულებრივი დატვირთვა მუშაობით, როგორც ცენტრში, ისე ადგილებზე (განსაკუთრებით ადგილებზე). გამოკვლევიდან ჩანს, რომ ჩვენი მილიციის ზედმეტად დატვირთვა მნიშვნელოვნად აიხსნება იმით, რომ მილიცია ხელისუფლების ცენტრალური და ადგილობრივ ორგანოების ზეგავლენით, ასრულებს ისეთ ფუნქციებს, რომლებიც სრულებით არ შედის მის მოვალეობაში. ჩამოვთვალოთ რამოდენიმე მათგანი: 1) სასამართლოს ორგანოების უწყებების დარიგება მილიციის საშუალებით. 2) ფულის გადასახდელების ამასრულებელ ფურცლით, სხვადასხვა განცხადებების გამოკვლევა. შემდეგ, დებულებაში მილიციის შესახებ ნათქვამია: „მილიციამ უნდა გაუწიოს ყოველგვარი დახმარება სხვადასხვა დაწესებულებებს და ცალკე თანამდებობის პირებს" და სხვ., რაც საერთოდ ესმით ისე ფართოდ, რომ მილიციას აიძულებენ გააკეთოს ყველაფერი, ვისაც რა მოესასთავება. აქ საჭიროა გარკვევით ჩამოყალიბებულ იქნეს „დახმარების გაწევა", თორემ მილიციას ვერასოდეს ვერ განვტვირთავთ ზედმეტ სამუშაოსაგან.

შეიძლება მოყვანა კიდევ მრავალი ასეთი მაგალითების, რომლებიც ნაწილობრივ გამომდინარეობენ ადგილობრივ აღმასკომების თვითნებობიდან მილიციის მიმართ, ხოლო ნაწილობრივ იქედან, რომ გარკვევით არ არის ჩამოყალიბებული დებულება მილიციის შესახებ.

შემდეგ, უნდა აღინიშნოს სავსებით დაუშვებელი მოვლენა, როცა მილიციონერისათვის უზრუნველყოფილი არ არის 8 საათის სამუშაო დღე. როგორ უნდა იყოს ეს შესაძლებელი, თუ სავსებით არ იქნება აღმოფხვრილი ისეთი მოვლენები, როგორიც მაგალითად ის, რომ ჯანმრთელობის სახ. კომისარიატის ორგანოები მილიციას ავალებენ დაუზღვეველ ავადმყოფებს გადაახდევინონ გადასახადი სტაციონალური მკურნალობისათვის, და სხ. გამოკვლევამ დაამტკიცა, რომ ხშირია შემთხვევები, როცა მილიციონერი ავად ხდება, მას არ გადარიცხავენ ხოლმე დამზღვევ სალაროზე, მის მაგივრად არ იწვევენ ახალ მილიციონერს, ხოლო მის სამუშაოს აკისრებენ სხვებს, რაიც იწვევს სამუშაო დღის გადიდებას მილიციონერისათვის და მის ზედმეტ დატვირთვას.

შემდეგ, ცუდად არის დაყენებული აგრეთვე მილიციონერისათვის ტანსაცმლის მიწოდების საქმე, მილიციონერი და მისი ოჯახის წევრები უზრუნველყოფილი არ არიან ბინით, ხელფასის საკმაო რაოდენობით და სხ.,— ყოველივე ეს ქმნის ისეთ პირობებს, როცა მილიციონერად შედიან ისეთი პირები, რომლებიც ხშირად სრულებით გამოუსადეგი არიან ამ თანამდებობისათვის, და ამის გამო ხდება, რომ ხშირ-ხშირად ითხოვენ და იღებენ მილიციონერებს, რაიც შეუძლებელს ხდის დაცულ იქნას მილიციონერად მიღებისა და დათხოვნის წესები და აგრეთვე მილიციის სამსახურისათვის კვალიფიციური ელემენტების სისწორით შერჩევის წესები. სწორედ ყოველივე ამის გამო იწყება ყველაზე უფრო სახიფათო მომენტი, რომელიც მდგომარეობს იმაში, რომ მილიციის ფართო ნაწილს შორის არ სწარმოებს პოლიტმომზადება. მილიციის შემადგენლობის სწრაფი ცვალებადობა არ გვაძლევს საშუალებას დავამთავროთ მილიციის უმცროსი შემადგენლობის პოლიტმომზადება.

ხშირია შემთხვევები, როცა აგვიანებენ სამუშაო ხელფასის დარიგებას. აქ საფრთხე მდგომარეობს იმაში, რომ ნაკლებ კულტურიანი და ნაკლებ მომზადებული მილიციონერი ვარდება ისეთ მდგომარეობაში, როცა იგი ადვილად ემორჩილება ყოველგვარ ცუდ გავლენას.

როგორც მკითხველი ხედავს, მუშაობის პირობები მილიციისათვის მეტად მძიმეა, მაშინ როდესაც მისი მიზნები და ამოცანები მეტად საპასუხისმგებლოა. ჩვენ საშუალება არ გვაქვს ერთ წერილში ამოვსწუროთ მილიციის და სისხლის სამართლის მაძიებელი მილიციის ყველა ნაკლოვანებანი, რომლებიც გამოკვლევამ გამოაშკარავა, მაგრამ ზემოთქმულებიც საკმაოდ ამტკიცებს იმას, რომ შეუძლებელია გაგრძელდეს ასეთი მდგომარეობა.

მართალია, არის ზოგიერთი მიზეზები, რომლებიც ხელს გვიშლის ავიცილოთ თავიდან ნაკლოვანებანი, მაგრამ მრავალი ნაკლოვანებანი ისეთია, რომლებიც შეიძლება იქნას აცილებული. საქართველოს მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახ. კომისარიატის პრაქტიკულ ღონისძიებებში აღნიშნულია, თუ როგორი ნაკლოვანებანი არსებობს მილიციაში, და როგორი საშუალებით უნდა ავიცილოთ თავიდან ეს ნაკლოვანებები. მაგრამ ამასთან ერთად აუცილებელია გაუმჯობესებულ იქნას მილიციისათვის მორალური დახმარების გაუმჯობესება. ეს მორალური დახმარება უნდა მდგომარეობდეს იმაში, რომ როცა მილიციონერი ასრულებს თავის პირდაპირ მოვალეობას, იმის მაგივრად, რომ დაეხმარონ მას ღონისძიებათა გატარებაში, ხშირად უშლიან ხელს. დროა, ამას ბოლო მოეღოს.

ამავე დროს აუცილებელია, რომ კულტმუშაობა მილიციის შორის პროფორგანოების მიერ ტარდებოდეს უფრო სისტემატიურად, და არა შემთხვევით, როგორც ეს არის აღნიშნული გამოკვლევის მასალებში.

სხვათა შორის, უნდა აღინიშნოს, რომ საუკეთესო ელემენტები მილიციისათვის იქნებოდენ შევსებული წითელარმიელები, რომელთაც გაიარეს სამხედრო მომზადება და აგრეთვე პოლიტმომზადება. აუცილებელია საქმის ამ მხარეს ყურადღება მიაქციოს რესპუბლიკის მილიციის უფროსმა, რათა მილიცია გაუმჯობესებულ იქნას მორალურად, პოლიტიკურად და ფიზიკურად.

უეჭველია, რომ მილიციის მდგომარეობა ვერ არის სანუგეშო. საჭიროა, რადაც არ უნდა დაგვიჯდეს, ავიცილოთ თავიდან ყველა ეს ნაკლოვანებანი, მოვსპოთ არანორმალური მდგომარეობა და უზრუნველვყოთ მილიციისა და სისხლის სამართლის მაძიებელი მილიციის მუშაობის ნორმალური პირობები.

გ. სტურუა.

„მომჭირნენი" თამბაქოს ტრესტიდან

მოგეხსენებათ, ჩვენში ტრესტები მრავლად მოიპოვება, მათ შორის თამბაქოს ტრესტებიც. ამ შემთხვევაში ჩვენ გვაინტერესებს მხოლოდ ორი—საქართველოს და ლენინგრადის თამბაქოს ტრესტი.

რა განსხვავებაა მათ შორის? იქაც თამბაქოს ამზადებენ და აქაც. იქაც პაპიროსებს უშვებენ ბაზარზე და აქაც. განსხვავება შეიძლება იყოს მხოლოდ პაპიროსების მარკებში, მაგრამ თურმე სხვა რამეც არის განსხვავების მხრივ უფრო მნიშვნელოვანი.

მაგალითად, ავიღოთ ხელმძღვანელობა. შეიძლება ლენინგრადის თამბაქოს ტრესტის სათავეში სდგას ისეთი უყაირათო, ხალხი, რომელიც ანიავებს ქონებას და უთავბოლოდ ხარჯავს ფულებს.

ლენინგრადის თამბაქოს ტრესტის უყაირათობის შესახებ ჩვენ არავითარი ცნობა არ გვაქვს, მაგრამ ეს საბუთად როდი გამოგვადგება? ადვილი შესაძლებელია ადგილი ჰქონდეს უყაირათობას, მაგრამ ამას ვერასოდეს მალავდნენ, არ აქვეყნებდნენ. ლენინგრადელები შეიძლება „პატრიოტები" არიან და არ სურდეთ, რომ სხვებმა ილაპარაკონ: „საქართველოს თამბაქოს ტრესტი უკეთესად არის დაყენებული".

რამდენიც არ უნდა მალონ ლენინგრადელებმა თავიანთი თამბაქოს ტრესტის უყაირათობა, მაინც ვერაფერს გამოგვაპარებენ. საქართველოში გამოდის ისეთი პირები, რომლებიც ჟურნალ-გაზეთებს ჩაჰკირკიტებენ ერთმა ოღონდიანმა კაცმა გამოსცა ჟურნალი „გამოგონებების საქმეთა კომიტეტის მოამბე" (უნდა ითქვას, რომ საქართველოში არ არის არც ერთი სამეურნეო მუშაკი, რომელიც 2—3-ჯერ არ გადაიკითხავს ამ მეტად თვითეულ ნომერს, თუ ცხადში არა, ყოველ შემთხვევაში სიზმარში მაინც. ეს გასაგებიც არის, საჭიროა წარმოების რაციონალიზაცია!) იქ მან სხვათა შორის წაიკითხა შემდეგი:

„ლენინგრადის თამბაქოს ტრესტმა პირველ ყოვლისა დაიწყო ინიციატივის წაქეზება. პირველად პრემიების გაცემა სწარმოებდა არა მარტო უკვე განხორციელებულ გამოგონებისათვის, არამედ მარტო ინიციატივისათვისაც და ყოველ წვრილმან გაუმჯობესებისათვისაც, რომ გაღვიძებული ყოფილიყო მუშების მთელი მასის ინიციატივა, ცდილობდენ მათ დაინტერესებას და ამიტომ პრემიები ეძლეოდათ მუშებს დიდი რაოდენობით. ზოგჯერ პრემია აღემატებოდა იმ ეკონომიას, რასაც გაუმჯობესება იძლეოდა. მაგალითად, გაუმჯობესება იძლეოდა 5—6 მან. ეკონომიას, გამომგონებელს პრემიად ეძლეოდა 100 მანეთი. უფრო მნიშვნელოვან გაუმჯობესებისა და გამოგონებისათვის ძალიან ხშირად წლიურ ეკონომიის რაოდენობით ხდებოდა პრემიის გაცემა, მუშები იღებდენ პრემიის სახით 1.000, 1.500, 2.000 მანეთს და მეტსაც. ეს უკვე ქმნიდა დაინტერესებას. მაგრამ ტრესტი ამით არ დაკმაყოფილდა, მუშების ინიციატივის წაქეზებასთან ერთად, ის ამავე დროს ხელს უწყობდა და სავრცობს დახმარებას უწევდა მათ. მუშების წინადადებებს ამუშავებდენ ფაბრიკების ტეხნიკური განყოფილებები ავტორის მონაწილეობით და ხელმძღვანელობით. ქარხანა თვით ადგენს ნახაზებს, ამზადებს მოდელებს და სხ. ყოველივე ამან თავისი ნაყოფი გამოიღო, უკანასკნელი წლის განმავლობაში ლენინგრადის თამბაქოს ფაბრიკებში განხორციელებულია მთელი რიგი გამოგონებათა, რომელთაც უდიდესი მნიშვნელობა აქვთ მთელი საბჭოთა კავშირის თამბაქოს მრეწველობისათვის".

— რა საშინელებაა! რასა შვება ეს! წარმოსადგენია ასეთი უყაირათობა!

— წყალში ჰყრიან ფულებს!

— დახეთ, რამდენი ზედმეტი ხარჯებია! რამდენს თანხებს აძლევენ ვიღაც გამომგონებლებს!

— ხედავთ! ასეთი მსხვილი ორგანიზაცია, როგორიც არის ლენინგრადის თამბაქოს ტრესტი, რაღაც წვრილმანებს გამოეკიდება. მოუცლია სხვადასხვა გამომგონებლებისათვის!

საქართველოს თამბაქოს ტრესტს უნდოდა ლენინგრადის თამბაქოს ტრესტისათვის გაეგზავნა ასეთი შინაარსის მოკლე ბარათი: „დაფერთხეთ ყველა გამომგონებლები, ან და მიეცით მათ მოწყალებათ 20—30 მანეთი, რომ მოგეშვან".

უნდოდა გაეგზავნა, მაგრამ არ გაგზავნა,— რაში ეკითხება საქართველოს თამბაქოს ტრესტს ლენინგრადის თამბაქოს ტრესტის საქმე? რაც უნდათ ის უყონ თავის გამომგონებლებს.

საქართველოს თამბაქოს ტრესტი, როგორც ერთ-ერთი მოწინავე ტრესტთაგანი, იღებს მთელ რიგ ზომებს და იჩენს ინიციატივას. ის წინადადებას აძლევს საქართველოს ყველა სამეურნეო მუშაკებს:

— მიიღეთ ზომები, რომ ლენინგრადის უყაირათობის სენი ჩვენში არ გავრცელდეს.

— საქართველოს სამეურნეო დარგის მუშაკებს ეკრძალებათ ჟურნალ-გაზეთების კითხვა, რადგან მოსალოდნელია ამ სენს წააწყდნენ.

— თუ სამუდამოდ არა, დროებით მაინც თავი უნდა დავანებოთ სამეურნეო დირექტივების კითხვას, ვინაიდან შეიძლება ამ დირექტივებიდანაც გადმოვედეს ეს გამომგონებლობის სენი.

— პარტიულებს, რომლებიც სამეურნეო დარგში მუშაობენ, ჯერ-ჯერობით არ უნდა გაეცნონ დირექტივებს მუშათა გამომგონებლობის საკითხის შესახებ, რაც უნდათ, ის ილაპარაკონ და სწერონ—საკავშირო კომპარტიის ცეკამ, ამიერ-კავკ. საოლქო კომიტეტმა, საქართველოს კომპარტიის ცეკამ, თბილისის კომიტეტმა და სხვ. ისინი არ იცნობენ სამეურნეო მუშაობას, მათ ბევრი არაფერი გაეგებათ ამ საკითხებში.

საქართველოს თამბაქოს ტრესტი მარტო ხარჯვაზე რჩევა-დარიგებებს როდი აძლევს სხვებს? მაგალითსაც უჩვენებს.

საქართველოს თამბაქოს ტრესტს აქვს კოლოფების ფაბრიკა. ფაბრიკა მოთავსებულია მტკვრის პირას, ისე დაბლაა და ახლოს მტკვართან, რომ, თუ წყალი იდიდა, უსათუოდ წაიღებს. წაიღებს უსათუოდ, თუ მისწვდა ფაბრიკას! ილემა ეს შეიძლება მოხდეს, ყველაფერი შესაძლებელია.

მტკვრის სიახლოვე და სხვა ატმოსფერიული მოვლენები ზოგჯერ გავლენას ახდენენ კოლოფის ფაბრიკის საკითხების გადაწყვეტაზე, თუმცა უნდა ითქვას, რომ სოფლის მეურნეობასთან ამ ფაბრიკას საერთო არაფერი აქვს.

აი, სწორედ ამ ფაბრიკაში, რომელიც მდებარეობს ასე სახიფათო ადგილას, ე. ი. მტკვრის მახლობლად,—მუშა ახალმაზოვმა გააუმჯობესა კარდონის რგოლების ამოსაჭრელი საშტამპო მანქანა.

ახალმაზოვმა ამ მანქანის ნაყოფიერება 213 პროცენტით გაადიდა და გარდა ამისა შეამსუბუქა მუშის შრომა, აქამდე 8 საათის განმავლობაში საჭირო იყო 80.000 ჯერ ხელის დაკვრა. ეხლა კი ხელის დაკვრა სულ აღარ არის საჭირო, თვით მანქანა ურტყამს დღეში 100.000-ჯერ.

თუნმელაურის ახალმაზოვს მანქანის გაუმჯობესებაზე გაწეული ხარჯები და ჯილდოთ მისცეს 21 მანეთი.

თქვენ იტყვით, რომ ეს ცოტაა, ეს დაცინვაა, ჯილდოა ეს თუ მოწყალება?

მოგეხსენებათ, რომ ეინშტეინის ცნობილი თეორიის მიხედვით, ყველაფერი შედარებითია. მაგალითად, მილიონერისათვის 21 მანეთი არაფერია—მუშისათვის კი „ძალიან ბევრია". აქედან დასკვნა—21 მანეთი არც დაცინვაა და არც მოწყალება. არ დაივიწყოთ, რომ ამ პრემიას მადლობაც მოჰყვება. შეიძლებოდა თოლად წასულა მარტო მადლობითაც, მით უფრო, რომ პრესაში გამოთქმულია არა უბრალო მადლობა, არამედ „გულითადი მადლობა".

თქვენ ალბად მაინც გაინტერესებთ, რატომ 21 მანეთი მისცეს და არა 85, 150 ან 200 მანეთი.

ჩვეულებრივ, თანახმად წესისა, უნდა მოხდეს წლიური ეკონომიის გამოანგარიშება და პრემიათ გაცემული უნდა იქნეს ამ ეკონომიის 30 პროცენტამდე.

— არ იფიქროთ, რომ არ გამოიანგარიშეს! სულ ყველაფერი კაპეიკობით არის გამოანგარიშებული.

იანგარიშეს, მიიღეს ეკონომია, მაგრამ საჭიროა საკითხისადმი ყოველმხრივ მიდგომა, საჭიროა პერსპექტივის გათვალისწინება.

და ასეთი პერსპექტივა გადაიშალა მტკვრის ახლო მდებარე კოლოფის ფაბრიკის წინაშე.

1. ალბად მეტი დაკვეთა არ გვექნება, რომ სავსებით დავტვირთოთ გაუმჯობესებული დაზგა.

2. ან ვსთქვათ, მოხდა რამე. მაგალითად, ადიდდა მტკვარი, ხომ წაიღო ფაბრიკაც და დაზგაც! ან კიდევ მეხი რომ გავარდეს?... ხომ შეიძლება პირდაპირ ამ დაზგას დაეცეს? ყველაფერი შესაძლებელია.

ანგარიშიანობა, წინდახედულობა, გეგმიანობა, პერსპექტივა, სტიქიური უბედურება,—ყველაფერი ეს რომ „ჩოთქში ჩავაგდოთ", გაუმჯობესებული დაზგა არც ერთ კაპეიკს მომჭირნეობას არ იძლევა, პირიქით, ვღებულობთ ზედმეტ ხარჯს, რაც გაწეული იყო დაზგის დასამზადებლად, პრემიის მისაცემად. ამას უნდა მიემატოს გონებრივი ენერგია, რომელიც დაიხარჯა იმის დასამტკიცებლად, რომ გაუმჯობესებული დაზგა არავითარ მომჭირნეობას არ იძლევა.

— თქვენ იტყვით, რომ ყველა ეს მოსაზრებები ძალიან საგულისხმოა, მაგრამ არის საბჭოთა კავშირის სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს ბრძანება, რომელიც მოითხოვს, რომ პრემია (და არა მოწყალება) გაცემული იქნეს იმ შემთხვევაშიაც, როცა გამოგონება არ იძლევა ფულის მომჭირნეობას, მაგრამ ამსუბუქებს მუშის შრომას (ახალმაზოვმა ხომ დღეში 30.000 ჯერ ხელის დაკვრისაგან გაანთავისუფლა მუშა, რომელიც ამ დაზგასთან მუშაობდა).

მოიწვიეს დირექტორი მუშათა და გლეხთა ინსპექციაში. ამხ. იტრიევი განმარტავს, რომ დიდი მნიშვნელობა აქვს წახალისებას, მოჰყავს უამრავი საბუთები, იხსენებს, როგორ აქეზებდა 20 წლის წინად კურსები წარმოებული გამოგონებას.

მაგრამ დირექტორი და იმავე საბჭოთა დირექტორი, რისი დირექტორია, თუ სიმარჯვე არ გამოიჩინა. ის თანახმა ცოტა მოუმატოს, მეტი არ შეუძლია, უნდა ვიფრთხილდეთ საბჭოთა თვითეულ კაპეიკს!

—„ ლენინგრადის თამბაქოს ტრესტი ფულებს წაღმა-უკუღმა ჰყრის მუშა გამომგონებლების წასაქეზებლად. ამის შედეგია, რომ იქ გამომგონებელთა რიცხვი იზრდება და სულ ყველას თავზე ხელი უნდა უსვან. ზედმეტი „[illegible]" ყვირის. წვრილმან მაგალითებს ჩვენ არ გაუკვირვებივართ, ჩვენ [illegible] ხალხი ვართ"!

— წვრილმანებს მისდევთ,—ლაპარაკობს ტრესტის დირექტორი,—საქართველოს პრეზიდიუმს, რომელიც 180 ათას წევრს აერთიანებს, არ უნდა გამოეკიდოს ისეთ საკითხს, რომელიც ერთ მუშას შეეხება! ეს წვრილმანია! უფრო პრინციპიალურ და სერიოზულ საკითხებს მიჰკიდეთ ხელი?!

ს. გოგაბერიძე.

ბორჯომის სატკეჩე ქარხნის დეფექტები

ჩვენში ხშირია წიფლით მდიდარი ტყეები, რომელთა უფრო რაციონალურად გამოყენების მიზნით ბორჯომში 1927 წ. თებერვალში ამუშავებულ იქნა საკასრე ტკეჩების ქარხანა.

ვინაიდან საქართველოს ტკეჩმა, როგორც საექსპორტო ტარამ, სავსებით გაამართლა იმედები, რუსეთის ერბო-კარაქის წარმოების მოთხოვნილება მასზე საგრძნობლად გაიზარდა და ტკეჩის დამზადების გაფართოება მორიგ საკითხად გადაიქცა.

ამ რამდენიმე ხნის წინად ს. მ. უ. ს-ის პრეზიდიუმში ამ საკითხზე გაკეთებული იყო მოხსენება, რომლის შინაარსი მოკლედ ასეთია: რადგან ბორჯომის ქარხანა აკმაყოფილებს რუსეთის მოთხოვნილებას ტკეჩზე მხოლოდ 25—30 პროცენტით, საჭიროა მეორე საკასრე ქარხნის აგება და ამისათვის შესაფერ ადგილად უნდა მიჩნეულ იქნას ახმეტის რაიონი კახეთში.

საკითხის ასეთი დაყენება ჰქმნის ყალბ შთაბეჭდილებას, თითქოს ბორჯომის ქარხნის მუშაობა მიმდინარეობდეს ნორმალურ პირობებში, თითქოს ამ ქარხნის ერთი წლის მუშაობამ გაამართლა იქ შემოღებული საწარმოო-ტეხნიკური მეთოდები, ორგანიზაციული წყობა და ნედლეულის ვარაუდი.

შეცდომა თავიდანვე იყო დაშვებული

ბორჯომის ქარხანას გეგმის მიხედვით ყოველთვიურად უნდა დაემზადებინა 60.000 კომპლექტი ტკეჩი, ფაქტიურად ამზადებს ამის ნახევარს; ნედლეულის ხარჯი ნავარაუდევი იყო ერთ კომპლექტზე ერთი კუბ. ფუტი, ფაქტიურად მიდის ორი კუბ. ფუტი; ეს ერთი წლიწადი ხეების მოჭრა ხდებოდა შერჩევით და საღი მერქნის დიდი ნაწილი გამოვზიდეთ; ეხლა ვჭრით სატყეოების მიერ დადაღულ ხეებს, ამათში 40—50 პროც. საშეშე არის; წელიწადში ქარხანას სჭირდება 600—700 ათასი კუბ. ფუტი; ბორჯომის რაიონის წიფელა ქარხანას ეყოფა დაახლოებით 4 წლით; შემდეგ, ან ქარხანა უნდა გადავიტანოთ წიფლით მდიდარ სხვა რაიონში, ან წიფელა უნდა ვზიდოთ ამ რაიონიდან ბორჯომში.

პირველ შემთხვევაში საჭიროა კვლავ დიდი თანხები და მასთან შეჩერდება ტკეჩების გამომუშავება, დავკარგავთ მთელ სეზონს.

უეჭველია, რომ სამხრეთ-ოსეთიდან ან კახეთიდან მოზიდული ნედლეული უფრო ძვირად დაგვიჯდება, ვიდრე ბორჯომში დამზადებული, და ეს გარემოება კიდევ ასწევს ტკეჩის ისედაც მაღალ თვითღირებულებას.

მიმდინარე ზამთარმა ხელსაყრელი პირობები მოგვცა ნედლეულის დამზადებისათვის, თოვლი დიდ ხანს იდო, ხეების ჩამოზიდვა ადვილი იყო; მიუხედავად ამისა უახლოეს კვირეებში მოსალოდნელია დამზადებული ნედლეულის გამოლევა, შედეგად ამას მოჰყვება მთელი ცეხების გაცდენა. შემცდარი ნაბიჯი იყო ქარხნის ორ წყებად მუშაობაზე გადაყვანა, რაც გაგრძელდა 2 თვეს; მეორე წყებამ 35 პროცენტიც არ მოგვცა იმისი, რაც უნდა მოეცა, შეშა ბევრი გამოვიდა.

დამზადებული ნედლეული უნდა ინახებოდეს განსაკუთრებული პირობების დაცვით, წინააღმდეგ შემთხვევაში ხეებში სწრაფად ვითარდება, თბილ ამინდში მეტადრე, შინაგანი პროცესები, რომლებიც უვარგისად ხდიან წიფელს ტკეჩისათვის; ქარხნის ეზოში ნაწილი მორებისა ჰყრია მიწაზე, ტალახში, ხშირად დასახერხად მიდის უკანასკნელ დღეებში ჩამოზიდული ხეები და არა წინა დღეებში.

ქარხნის აგების დროს დაშვებულ იქნა კონსტრუქტიული დეფექტები, რაც აძნელებს სრული მექანიზაციის გატარებას; საშრობი განყოფილების, სატკეჩეს, და საშრობის იატაკები სხვადასხვა ჰორიზონტალებზეა. ეს კი შეუძლებლად ხდის „ვაგონეტკებით" სარგებლობას.

მუშების ძირითადმა კადრმა საკმაო კვალიფიკაცია შეიძლება ერთი წლის განმავლობაში; მცოდნე ხელმძღვანელებით კი ქარხანა ღარიბია; უკანასკნელნი ეხლა, მუშაობის პროცესში, იძენენ სტაჟს და გამოცდილებას.

ერთის ქარხნისათვის თუ გაგვიჭირდა სათანადო ხელმძღვანელების გამონახვა, მეორე ქარხნისათვის სად უნდა მოვიძებნოთ?

ბორჯომის სატკეჩე ქარხნის კონსტრუქტიული დეფექტები მუდამ შეაფერხებენ შრომის ნაყოფიერების ზრდას.

მტკივნეული ადგილი ქარხნისთვის არის საშრობი განყოფილება.

დახერხვის შემდეგ სველი ტკეჩი ჯერ შრება ჰაერზე, ზაფხულში 8—10 დღე, ზამთარში რამოდენიმე კვირა, ჰაერზედ ნახევრად გამშრალი ტკეჩი მიდის განსაკუთრებულ კამერებში, სადაც საბოლოოდ შრება ცხელი ჰაერის საშუალებით.

საზღვარგარეთ ტკეჩების წარმოებამ უდიდეს განვითარებას მიაღწია დანიაში და გერმანიაში, დანიაში შემოღებულია მხოლოდ ბუნებრივი შრობა ჰაერზე-გერმანიაში პირიქით მისდევენ მხოლოდ ხელოვნურ შრობას, იქ სველი ტკეჩი პირდაპირ ცხელ კამერებში მიდის.

ბორჯომის კლიმატიური პირობები არ არის ხელსაყრელი ბუნებრივი შრობისათვის; ზამთარი პირქუში, ღრმათოვლიანი; გაზაფხული წვიმიანი, იშვიათი მზიანი დღეებით; ზაფხულიც წვიმიანი და ნესტიანი; ბორჯომში საერთოდ ქარი არ იცის; ის ღელე კი, სადაც აგებულია საკასრე ქარხანა, მეტად დამყუდროებულია მაღალი მთებით, ნიავი არ იძვრის, ცხელ დღეებში იქ სდგას ნესტიანი მძიმე ბუღი; ტკეჩების ბუნებრივი შრობისათვის კი ჰაერის მოძრაობა აუცილებელია (მზემ ტკეჩს არ უნდა დაჰკრას).

ამ მიზეზით ბუნებრივი შრობა ვერ იძლევა სასურველ შედეგებს, საჭირო ხდება ხელოვნური შრობის ვადის გაგრძელება, რაც არღვევს ქარხნის მწყობრ მუშაობას, ადგილი აქვს მთელი ცეხების გაცდენას და სხვა.

ბუნებრივი შრობის ფარდული შეუფერებლად არის აშენებული, ორის მხრით მიბჯენილია მთავარ კორპუსზე, მზე ვერ უვლის, მის გარშემო მუდამ ჭინჭყი სდგას.

ხმებია, რომ ცენტრიდან ჩამოსულმა კომისიამ გამოიმუშავა გეგმა ქარხნის მექანიზაციის დამთავრებისა, მეორე ხელოვნური საშრობის აგებისა, ძალური დანადგამის გაძლიერებისა ახალი საორთქლო ქვაბის დადგმით და სხვა.

ერთის სიტყვით ქარხნის აგების დროს დაშვებული დეფექტების გამოსასწორებლად საჭირო ხდება ისეთი კაპიტალური გადაკეთებისა და ახალი ნაგებების წარმოება, რომ ისმება კითხვა: ღირს თუ არა კიდევ დიდი თანხები ჩაყროთ ამ შეკეთება-გადაკეთებაში? პასუხი შეიძლება მხოლოდ ასეთი:

შექმნილ პირობებში შეუძლებელია რაიმე რაციონალიზაციაზე ლაპარაკი; ადმინისტრაციის ყველა ცდები მხოლოდ აუარესებენ მდგომარეობას, ამ ცდებს აქვს „შინაურული" ხასიათი და იწვევენ ზედმეტ ხარჯებს.

ეს მდგომარეობა მხოლოდ ლოღიკური განვითარებაა თავიდანვე დაშვებული შეცდომებისა; სხვა მიზეზებს შორის უარყოფითი გავლენა იქონია აგრეთვე რაიონის საკასრე ქარხანასთან შეერთებამ; გამგე და მოადგილე თანაბარი უფლებით არიან აღჭურვილნი როგორც დამზადების, ისე წარმოების დარგებში; მათ მუშაობას აქვს უფრო მექანიკური კავშირი, ვიდრე ორგანიული-მიმდევრობითი; ამის წყალობით ზოგიერთი საკითხი სწყდება გადამეტებული სიფიცხით, ზოგი კიდევ ძალზედ ჭიანურდება; საკასრე ქარხანა თავისთავად რთული საქმეა და მისი ხელმძღვანელი თავისუფალი უნდა იყოს სხვა მოვალეობისაგან, რომ შეეძლოს მთელი დრო და ენერგია ქარხანას მოახმაროს; სხვაფრივ ჩვენ ტკეჩების სპეცებს ვერ მოვამზადებთ; ხელმძღვანელების ფუნქციების განსაზღვრა აუცილებელია.

გვაქვს რა მხედველობაში ბორჯომის ქარხნის არა-სასურველი მდგომარეობა, ვშიშობთ, რომ გამოუსწორებელი შეცდომა იქნება მეორე ამგვარი ქარხნის აგება ახმეტში ან სხვაგან.

ტკეჩის დამზადების დარგში მივუახლოვდით ზღვარს, რომლის იქით იწყება რაღაც, რაც შეცდომებზე და დაუდევრობაზე ცოტა მეტია.

საქმეს სხვაფრივ რომ მივუდგეთ, იქნებ შესაძლებელი გახდეს ბორჯომის ქარხნის მდგომარეობის გამოსწორება.

ტკეჩის დამზადება უნდა გავყოთ ორ ოპერაციად: პირველი—ძველი ტკეჩის დახერხვა, მეორე—შრობა და დამუშავება.

პირველი ოპერაცია უნდა სწარმოებდეს ადგილობრივ, წიფლის ტყეების რაიონებში, მეორე ოპერაცია უნდა მოვაწყოთ რესპუბლიკის მაგისტრალების კვანძთან—თბილისის მიდამოებში.

სველი ტკეჩის დასამზადებლად ადგილებზე მოეწყობა პატარა-პატარა სახერხი ქარხნები; ასეთი კომბინაცია საშუალებას მოგვცემს მთავარი ყურადღება მივაქციოთ ნედლეულის დამზადების აპარატს და მერქნის შერჩევას.

დახერხილი სველი ტკეჩი დაუყოვნებლივ იტვირთება რონოდებში და იგზავნება თბილისისკენ, სადაც სწარმოებს შრობა და შემდეგ დამუშავება.

ხელოვნურ შრობაზე უარი ვსთქვათ, დანიის წესით მთლიანად ბუნებრივ შრობაზე გადავიდეთ. თბილისის კლიმატიურ პირობებს აშკარა და უდავო უპირატესობა აქვს ამ მხრივ დანიასთან შედარებით. ხელოვნური შრობა სწარმოებს განუწყვეტლივ დღე-ღამის განმავლობაში; საჭიროა სპეციალური კამერები, აპარატურა, მცოდნე პირები; ხელოვნური შრობის განდევნით საგრძნობლად დავწევთ ტკეჩის თვითღირებულებას.

მშრალი ტკეჩის დამმუშავებელი განყოფილება იმუშავებს ზაჰესის ელდენით.

ეს რეორგანიზაცია შეიძლება ჩატარდეს ისე, რომ ბორჯომის ქარხნის მუშაობა არ შეჩერდეს; პირველ რიგში მოეწყობა თბილისის მიდამოებში ბუნებრივი შრობის ფარდულები, შემდეგ გადავიტანთ სატკეჩე განყოფილებას.

განვლილი ერთის წლის მუშაობა და შეძენილი გამოცდილება უნდა იყოს საწინდარი იმისი, რომ ეს საქმე მოვაწყოთ საღ საფუძველზე.

რა აფერხებს სახერხი ქარხნების მუშაობას

იმ ცვლილებასთან დაკავშირებით, რომელიც შეიძლება მოხდეს ტკეჩის წარმოებაში, განსაკუთრებული ყურადღება უნდა მივაქციოთ აგრეთვე სახერხ ქარხნებს.

ბორჯომ-ახალციხის რაიონს საკმაოდ დიდი ადგილი უჭირავს სატყეო ტრესტის საქმიანობაში და ამ რაიონის ავ-კარგიანობაზე ბევრად არის დამოკიდებული ტრესტის სიმტკიცე; უკანასკნელ წელში კი რაიონს ერთგვარი დაქვეითება ეტყობა; მთავარი მიზეზი ამისა, რასაკვირველია, საკასრე ქარხანაა, რომელმაც შეიწირა რაიონის მთელი ყურადღება, დრო და რესურსები; სახერხი ქარხნები დაიჩრდილნენ; ამათი მდგომარეობა კი ნაკლებ საფიქრებელი არ არის.

ბორჯომ-ახალციხის ნედლეულით იკვებება სულ 8 სახერხი ქარხანა: 1) აბასთუმნის—ეკუთვნის აბასთ. საკ. სამ.; 2) ახალციხის—ეკუთვნის სატყეო ტრესტს; 3) კიდევ ახალციხის,—ახალციხის მაზრამასკომს; 4) აგარის,—ახალციხის გლეხკომს; 5) აწყურის,—მასვე; 6) ახალდაბის,—სატყეო ტრესტს; 7) ხაშურის,—გორის მაზრამასკომს; 8) გორის,—მასვე;

ის, რასაც ვხედავთ ამ ქარხნების საქმიანობაში, შესაწყნარებელი მხოლოდ კაპიტალისტური ქიშპობის პირობებშია; გორის წარმომადგენლები „კვირაში 8 დღის" ეძებენ ნედლეულს; აგარის და აწყურის ქარხნები „ოლად" ნაპოვნ ნედლეულზე მუშაობენ.

ამ კინკლაობამ და კონკურენციამ ხელსაყრელი კონიუნქტურა შექმნა ტყეების დამცველ-მეპატრონე ორგანიზაციებისთვის, რომელნიც არალეგალური დამამზადებლის როლში გამოდიან და, როგორც კაპიტალისტ,კომერსანტები, თვით მონოპოლისტს სატყეო ტრესტს ევაჭრებიან.

გარდა აბასთუმნის ქარხნისა, ყველა ქარხნები, უკლებლივ და ყოველგვარი ხათრიანობის გარეშე, გადაცემულ უნდა იქნენ სატყეო ტრესტზე.

ტრესტმა თავის მხრით უნდა შეიმუშაოს ერთი მთლიანი გეგმა საამშენებლო, საყუთე და ბურბუშელის წარმოების დარგში; აღნუსხული უნდა იყოს ყველა ქარხნების გამოსადეგი მოწყობილობა და ეს მოწყობილობა უნდა განაწილდეს იმ ქარხნებს შორის, რომელთა არსებობა მიზანშეწონილად იქნება ცნობილი; მიკროსკოპიული ქარხნები, როგორიცაა აგარის, აწყურის, ახალციხის, (აღმასკომის) და ხაშურის, უნდა დაიხუროს. გორის ქარხნის არსებობასაც არ აქვს გამართლება. იმისაც ლიკვიდაცია უნდა ეყოს და მის ნაცვლად გაიხსნას იქ ტრესტის ხე-ტყის საწყობი.

აბასთუმნის ქარხანა უნდა დარჩეს იმ პირობით, რომ იმუშაოს მხოლოდ კურორტის საკუთარი საჭიროებისათვის.

ახალციხის ქარხანას უნდა დაეტოვოს მოწყობილობა იმ ვარაუდით, რომ მისი პროდუქცია მთლიანად საღდებოდეს ადგილობრივ, ახალციხის და ახალქალაქის მაზრებში; ზედმეტი ნედლეული ახალციხის მაზრიდან ჩამოცურდება ბორჯომში.

ბორჯომის საკასრე ქარხანაში ნაცვლად თბილისში გადატანილ სატკეჩე და საშრობი განყოფილებებისა მოეწყობა საამშენებლო, საყუთე და ბურბუშელის წარმოება.

საყუთე მასალის დამზადება აუცილებლივ ბორჯომში უნდა მოვაწყოთ, რომ გაგვიადვილდეს მისი მიწოდება ბორჯომის მინერ. წყალის ქარხნისთვის.

ამავე მოსაზრებით ბურბუშელის დამზადება, რომელიც დიდი რაოდენობით სჭირდება ბორჯომის წყალს, იწარმოებს ბორჯომშივე.

ამნაირად ბორჯომის ქარხანა სავსებით გამოიყენებს თავის ეხლანდელ ძალურ დანადგამს და შეინარჩუნებს მუშების ძირითად კადრს. ზედმეტი ნედლეული ბორჯომიდან ჩამოცურდება მცხეთაში.

მიმდინარე საოპერაციო წელი ბორჯომის რაიონისთვის პასიურ ბალანსით დამთავრდება; თუ გვსურს მომავალი 1-ლი ოქტომბრიდან მაინც თავი დავაღწიოთ იმ მძიმე მდგომარეობას, რომელსაც ეხლა უეჭველად განვიცდით, საჭიროა მტკიცე ხელით ჩავატაროთ გადახალისება-გადაჯგუფება.

გ—ვი.

ქურა-საზერველი, შარაბანი და წყალტუბოს კურორტების დირექტორი

„ლუკმა გიგარიდეს—ჯამში ჩავარდეს"—ასე იტყოდენ ჩვენი ძველები. ეს ანდაზა, რომელიც გამოხატავს მესაკუთრეობის ძლიერ ინსტინქტს და ძველ პატრიარქალურ ოჯახურ ურთიერთობას, ჩვენს პირობებში გამართლებას ვერ პოვებს. ჯამიც არის და ჯამიც. დღეს ჩვენ სხვა ინტერესები გვაქვს, სხვა მისწრაფება და შეხედულება საკუთრებაზე. მაგრამ გამონაკლისი ყველგან და ყველაფერშია. ასეთი მდგომარეობაა წყალტუბოს გარშემო. არავინ იფიქროს თითქოს ჩვენ განზრახვა გვქონდეს ამ შენიშვნაში მკითხველს ვესაუბროთ წყალტუბოს აბანოების რადიო აქტივობის შესახებ. გთხოვთ დროებით დაივიწყოთ წყალტუბოს წყლების სამკურნალო ძალა და ყურადღება შეაჩეროთ კურორტის დირექტორის სამა ქანტურიძეზე. ამისათვის ორიოდე სიტყვა ისევ ჯამის შესახებ.

სამას სწამს ეს ანდაზა. ის მას წარმატებით ახორციელებს. ოღონდ მას იმდენად დიდი ლუკმების ყლაპვა უყვარს, რომ საეჭვოა ამ ლუკმების ჩვეულებრივ ხის ჯამში მოთავსება. კურორტზე დიდი მშენებლობა მიდიოდა. საჭირო შეიქნა საკუთარი სამჭედლოს გახსნა. სამას ბედი თვით უძღვება ჯიბეში, მას მამა დახელოვნებული მჭედელი ჰყავს. აფრინა დეპეშა ქიათურაში. მეორე დღეს სამას მამა გაჩნდა წყალტუბოში ქურა-საზერველით. მაგრამ ჩამოტანილი სამჭედლო ხელსაწყო შვილს ას მანეთად დაუფასა. შვილმა, სამამ ეს იწყინა, მოხუცებულხარ, ანგარიში დაგვიწყნია, მიუგო მან მამას. სასწრაფოდ შეადგინა შემფასებელი კომისია, რომელმაც დირექტორის მამის საქონელი 200 მანეთად შეაფასა, თან მეტი მიუდგომლობისათვის 14 მანეთი ბუღალტრებით დაუმატა და სულ 214 მანეთი მისცა სამას მამას დახეულ და დაკრუნჩულ ქურა-საზერველში, რომელიც არავის არაფრად გამოუყენებია.

ქანტურიძე მარტო ასეთი ოსტატობით როდია ცნობილი. მას უყვარს საზოგადოდ განიერათ ცხოვრება. ჯერ იყო და თბილისიდან ჩამოსვლისთანავე ოჯახის გადმოსაყვანი 719 მანეთი აიღო. ეს ფული ქანტურიძეს გამოწერილი ჰქონდა 7 სულზე, ნამდვილად კი თბილისიდან ცოლი და ერთი ბავშვი ჩამოიყვანა. ეს კიდევ არაფერია. დირექტორს არ ასვენებს თავის თავისადმი პატივისცემის წყურვილი. ამიტომ მან შეიძინა მშვენიერი შარაბანი და [illegible] ცხენი ქუთაისში [illegible]. ეს მაშინ, როცა წყალტუბო—ქუთაისის შორის მთელი წლის განმავლობაში სწარმოებს ავტომობილების მიმოსვლა. მაგრამ სამას მარტო სამგზავროთ არ სჭირდება „დამაშნი ვიეზდი". ქუთაისში წასასვლელად, ვსთქვათ, საზოგადო ავტომობილით იმგზავრებს. რის ძმამ ძაშინ, თუ სადმე დღეობაში სარ წასასვლელი და ისიც ისეთ პატიოსან გვამთან, როგორიცაა წყალტუბოს ძველი პატრონი გველესიანი. აქ კაცს თავის მოწონება გინდა, რომ ფასი და იერი არ დაეკარგოს. ამიტომ იყო, რომ „ღვთისმშობლობას" კურორტის ქონებადელი დირექტორი ქანტურიძე ეწვია კურორტის ძველ მესაკუთრეს თავის შარაბანით და გათენებამდე მასთან ერთად ქეიფს ჰერზე ურტყამდა.

ბოროტება - ბოროტების მონათესავეა. თუ კაცში ერთმა სენმა გაიდგა ფეხი, მეორეც ხშირად თან მოჰყვება. ასეთია ქანტურიძის საქმეც. სამას გაგიჟებით უყვარს თავისიანები. ყვავი-ჩხიკვის მამიდამდე არავინ დაუტოვებია თავის უმუშევარი ნათესავებში, რომ წყალტუბოს კურორტზე არ მოეწყო. ჯერ ცოლის ძმა ეფრემიკა ელენტი მოიყვანა მოლარეთ, შემდეგ ის გადაიყვანა კიოსკის გამგეთ. ცოლისძმის სამას ბიძაშვილი პეტრე ქანტურიძე მოჰყვა, რომელიც კონტროლიორის თანამდებობაზე დაინიშნა წყალტუბოში, ბიძაშვილს დირექტორის ქვისლი, ქვისლს სამას კარგი მეგობარი მეტრეველის ქალი და ასე დაუსრულებლივ.

შეიძლებოდა კიდევ სხვა რამეც იყვეს აღსანიშნავი წყალტუბოს დირექტორის სახელოვანი მოღვაწეობიდან, მაგრამ ჯერ-ჯერობით ესეც კმარა. დანარჩენს ის გამოარკვევს, ვისაც ეს შეეხება.

Genosse.

„დამები" შრომის კომისარიატის ავტომობილში

ავტო № 67 ბევრ თქვენთაგანს შეიძლება დღემდე არც შეუმჩნევია. ვინ იცის რამდენი ავტო დაჰქრის გუგუნით თბილისის ქუჩებში? ყველას აბა, ვინ დაიხსომებს? თვალი შეეჩვია ტრანსპორტის ამ საუკეთესო საშუალებას, ერთ დროს ის გაკვირვებას იწვევდა. ეხლა კი წყნეთელი ურემი და მერსედესის მანქანა ისე შეეჩვივიან ერთმანეთს გვერდს, რომ გამვლელთა ყურადღებას არც კი მიიქცევენ. ჩვენ ვცხოვრობთ ელექტრონისა და რადიოს ხანაში. ტეხნიკის უკანასკნელი სიტყვა უნდა გამოვიყენოთ მეურნეობის ყოველ დარგში, ის უნდა შევიტანოთ ჩვენს ყოფა-ცხოვრებაში, ყოველდღიურ საქმიანობაში. ჩვენი იდეალია და რეალური იდეალი, რომ ყოველ მუშას სხვა მოწყობილობასთან ერთად საშუალება ჰქონდეს თავისუფლად ისარგებლოს ავტო-ტრანსპორტით. ჩვენ მივილტვით აქეთკენ. საბჭოთა კავშირის ავტომობილიზაციის საკითხი,



დღეს უკვე პრაქტიკულ ამოცანას წარმოადგენს.

მაგრამ სიჩქარე არაფერში ვარგა. ზოგიერთები კი მეტის მეტად სწრაფად მილტვიან აქეთკენ, მათ ავტო უკვე ოჯახურ საჭიროებების ჩვეულებრივ საგნად გადააქციეს. ასეთი ბედი ეწვია ავტო № 67, რომელიც ეკუთვნის შრომის სახალხო კომისარიატს.

იყო გაზაფხულის ჰაპანაქება დღე. ზამთრის სიგრილეს შეჩვეულ თბილისელებს აპრილის მცხუნვარე მზე სულს უხუთავდა. ავტოზე გაქანება ასეთ ამინდში გულს მალამოდ მოხვდება. კოჯორის გორაკების ახლად აბიბინებული ჯეჯილი სულს გაახარებს, გულს გაალაღებს. შრომის კომისარიატის ერთ-ერთ მუშაკის მეუღლე გასასეირნებლად ემზადება. კარებთან სდგას ავტო № 67. მაგრამ სეირნობაც არის და სეირნობაც. სად მარტო, იაქეთ გავლა და სად ამხანაგებში ერთამულ მხიარულით, სიცილ-კისკისით ქროლვა ავტოზე. ამხანაგების გულსაც მოიგებ და დროსაც საუკეთესოდ გაატარებ.

დაიძრა ავტო № 67, მოკაზმული დამით არსენალის აღმართისაკენ. აქ სცხოვრობს დამის „პოდრუგა", რომელიც სამწუხაროთ მოკაზმული არ აღმოჩნდა გასასეირნებლად. დაიწყო მორთვა-გაკოხტავება. ავტო დგას და უცდის პოდრუგებს: არსენალის ქუჩიდან ავტო მიჰქრის გრიბოედოვის ქუჩისაკენ, სადაც მესამე პოდრუგა ცხოვრობს. აქაც ისეთივე სურათი, როგორც არსენალის აღმართზე. გრიბოედოვის ქუჩიდან ავტო მიჰქრის ყოფილ ფრეილინის ქუჩისაკენ. აქ კამპანიას უერთდება მეოთხე პოდრუგა. ფრეილინის ქუჩიდან ავტო უტევს პლეხანოვის ქუჩისაკენ, სადაც ცხოვრობს მეხუთე პოდრუგა, ამრიგად ინტიმურ პოდრუგების სრული კომპლექტი, როგორც იქნა, შეივსო, რის შემდეგაც ქალებით დახუნძლული ავტო №67 ქაქან-ქაქანით მისრიალებს კოჯორის აღმართისაკენ. მაგრამ აქ მოხდა ერთი უსიამოვნება, შოფერს ბენზინი გამოელია. სასეირნოთ მომზადებულ დამებს გუნება გაუფუჭდათ. მაგრამ ისინი არ დაღონებულან. თუ კოჯორი არა, საკანდიტრო ხომ აქვეა, ამიტომ, შოფერო, მოაბრუნე მანქანა სალაყაის საკანდიტროსაკენ სოლოლაკის ქუჩაზე. შოფერს ეს ჭკუაში არ დაუჯდა. საბჭოთა ავტომობილი „დამებს" საკანდიტროს წინ ვერ მივიყვან, განაცხადა მან მორიდებით. დამები ერთხელ კიდევ აღელდნენ, მაგრამ მალე დამშვიდდნენ. ავტო ფრეილინის ქუჩაზე გააჩერებინეს, თვითონ კი ფეხით გაემართნენ სალაყაის საკანდიტროში დარდის ტკბილეულობით გასაქარვებლათ, მაგრამ ჯავრი მაინც თავისას შვრება. რადაც არ უნდა დაჯდეს, ჯინი უნდა მოიკლან სასეირნოთ განწყობილ დამებმა. ამიტომ, შოფერო, ფრეილინის ქუჩიდან გასწი საბურთალოსაკენ. მაგრამ შოფერი ურჩობას იჩენს, რის შემდეგაც დაღონებული, ხასიათმოშხამული დამები თავ-თავიანთ სახლებს დაუბრუნდნენ.

ასე გათავდა ავტო № 67-ზე გასეირნების ერთი ამბავი. კიდევ კარგი, რომ შოფერი თავის ადგილას აღმოჩნდა და სასეირნოთ განწყობილ დამებს „ხასიათი არ გაუსწორა". რამდენი საბჭოთა მანეთი დაიხარჯებოდა, ეს ხომ ასე არ მომხდარიყო?

დგება ავტომობილებით ბოროტად სარგებლობის სეზონი. პირველი მერცხალი უკვე მოხვდა ინსპექციის ფურცლის ბადეში. დანარჩენებიც ვერ ასცდება ალბათ ამ ბედს.

მეთვალყურე.

რატომ გარბიან დაზღვეულები კერძო საკურნალოში

არის ერთგვარი მავნე განწყობილება, რომელიც შემდეგში მდგომარეობს. ესაა უყურადღებობა წვრილმანებისადმი, ესაა ყველაფერზე იალბუზის მწვერვალიდან დახედვა. ამავე დროს ხშირად პატარა, ერთი შეხედვით შეუმჩნეველი არანორმალობანი, ქმნიან საზოგადოებრივ განწყობილებას, იწვევენ უარყოფით თუ დადებით დამოკიდებულებას ამა თუ იმ ფაქტისადმი.

ასეთი წინასიტყვაობა ჩვენ იმისათვის დაგვჭირდა, რომ ფაქტი, რომელიც აღნიშნულია ქვემოთ, ჩვეულებრივ შენიშვნის სახით იშვიათად თუ ვისიმე ყურადღებას მიიქცევდა. მას ბევრი ჩვენგანი იალბუზის მწვერვალიდან შეხედავდა. ნამდვილათ კი ეს არის „წვრილმანი", რომელიც უთუოდ ღირსია ყურადღების. ჩვენ ვლაპარაკობთ ავადმყოფებისადმი დამოკიდებულების შესახებ საბჭოთა სამკურნალო დაწესებულებებში. ყველასათვის ცხადია ავადმყოფის სულიერი განწყობილება. აქედან უდავოა, რომ დამოკიდებულება სამკურნალო დაწესებულებებში, უფრო მორიდებული და თავაზიანი უნდა იყვეს, ვიდრე სხვა ჩვეულებრივ დაწესებულებებში.

თუ ამ თვალსაზრისით მივუდგებით თბილისის ქალაქის სნეულებათა პოლიკლინიკის წესებს, უნდა აშკარად ითქვას, რომ ეს სამკურნალო დაწესებულება ავადმყოფებისადმი მოპყრობაში მაგალითად არავის გამოადგება. დავიწყოთ დასაწყისიდან. ავადმყოფთა რიცხვი ყოველთვის ბევრია. ამიტომ შემოღებულია ავადმყოფთათვის ნომრების დარიგების წესი, რათა მათ რიგში დგომა არ შეეხებოდეთ. მაგრამ უცნაური რამ ემართება ამ კლინიკის ნომრებს, ცისკრის ვარსკვლავის ამოსვლისთანავე რომ მიხვიდეთ პოლიკლინიკაში, პირველი 5—6 ნომერი არ დაგხვდებათ ისინი გადანახულია „თავის ხალხისათვის". ავადმყოფები დილიდან ნაშუადღევამდე ფეხზე დგომით იტანჯებიან, აქ კი გამოჩნდება ვინმე, ვისაც [illegible] ძმობილობა ან ნათესაობა [illegible] და კარების შემოღებისთანავე შედის ექიმთან გასასინჯად.

რეგისტრატორი ქალი ვინმე ნინო მეუნარგიაც ყოველნაირად ცდილობს, რომ ხელი შეუწყოს პოლიკლინიკაში გამეფებულ საერთო წესებს. ის თავმომწონე ქალი გახლავთ. ბუზსაც არ დაისვამს ცხვირზე. აზიზათ იღებს კალამს ხელში, ნაზად გაუსვ-გამოუსვამს. ხშირ-ხშირად წამოდგება და დასეირნობს, უხედავათ იმისა, რომ ავადმყოფები რიგში უცდიან.

იყო შემთხვევა, მოვიდა მასთან ჩერქეზიშვილის ქალი, რომელმაც მოიყვანა ავადმყოფი ბავშვი. ბავშს კბილების ტკივილისაგან ორივე ყბები დასივებული ჰქონდა. დედა სთხოვს რეგისტრატორს მიიღონ ბავშვი პირველ დახმარების აღმოსაჩენათ რიგის გარეშე. ნინო ცივ უარზეა. ის დისციპლინის და წესრიგის ქალია. არ შეიძლება რიგის დარღვევა, მაგრამ მიდიან რეგისტრატორის ნათესავ-მეგობრები და ექიმის კაბინეტის კარიც ღიაა მათთვის.

უკმაყოფილო ავადმყოფებმა შესჩივლეს გამგეს. მაგრამ გამგემ ასეთ შემთხვევისათვის მხოლოდ ხუთი სიტყვა იცის, სხვა ავიწყდება. „მე არაფერი ვიცი, ჰკითხეთ რეგისტრატორს".

თბილისის პოლიკლინიკის წესები, სამწუხაროდ, გამონაკლისს არ შეადგენს. ეს ნაცნობი ატმოსფერაა ბევრ ჩვენს სამკურნალო დაწესებულებისათვის. ამის შემდეგ განა კიდევ იკითხავთ, რატომ გაურბიან დაზღვეულები ზოგიერთ საბჭოთა სამკურნალოებს?

ხკარაფელი



ბადეც კარგი აქვს, მარჯვენაც,
მოქნევაც იცის ბადისა.
შიში არ იცის, ბიბოქარ
მდინარის ფსკერზე ჩადისა.

ბადემ თუ „თევზი" ვერ ზიდა,
ჩაუყვინთავს ყურყუმალითა,
მუდამ ნადავლით ბრუნდება,
ნახავდით თქვენი თვალითა!

გვარიშვილობის ხალხი

„ათასად გვარი დაფასდა, ათი ათასად ზრდილობა, თუ კაცი თვითონ არ ვარგა, ფუჭია გვარიშვილობა". ეს ჭეშმარიტება არავისათვის ახალ ამბავს არ წარმოადგენს. მით უფრო არ შეიძლება ახლად ჩავთვალოთ ის დღეს, როცა გვარიშვილობა არა თუ ათი ათასად, ჩირის ფასადაც არ ფასობს და ზოგიერთ შემთხვევაში, თუ საქმე ყოფილ მაღალ წოდების შთამომავლობას ეხება, მავნებელიც კი არის ამაზე ლაპარაკი. მაგრამ ზუგდიდის წითელ ჯვრის ხელმძღვანელ ანდრო დგებუაძეს შეუძლია თქვენ არც კი დაგეთანხმოს, შეუძლია, ასე ვთქვათ დამოუკიდებელი პოზიცია დაიკავოს ამ შემთხვევაში. და ისიც ასე იქცევა. დგას დამოუკიდებელ პოზიციაზე, დროისა და სინამდვილის გარეშე, როგორც ქვა გაუქრის, ისე მოქმედობს.

გახსნა ანდრო დგებუაძემ ზუგდიდში გასტრონომიული მაღაზია, აფთიაქის მაღაზია და სათამაშო კლუბი-კაზინო. ამ ახალ დაწესებულებებს ესაჭიროებოდა თანამშრომლები. პროფკავშირმა მაშინვე გაუგზავნა უმუშევრებიდან შესაფერი კანდიდატები. ანდრომ პროფკავშირის ქაღალდს ხელი გადაუსვა, ოთხად გაკეცა, მოკრძალებით აიღო და... სხვა ქაღალდებში ჩააყურყუმალავა. სამაგიეროთ მან გამოძებნა თავისი კანდიდატები. განსაკვირია ოღონდ ერთი რამ, ამ კანდიდატებში მტკიცეთ არის დაცული გვარიშვილობის პრინციპი. მათ შორის თქვენ ნახავთ ისეთ გვარებს, რომელთაც ზუგდიდის მაზრის გლეხკაცობა ეხლაც ხშირად „დიდის კურთხევით" იხსენიებს. მაგრამ ეს წითელი ჯვრის ხელმძღვანელს არ აფიქრებს. მას „ჩამტრიანგულში" ყავს თავის დაწესებულებაში ძველი თავად-აზნაურები: აფაქიძე, შელია, მესხი, საბახტარიშვილი, ქორქაშია, და სხვ.

მუშაობს ეს ხალხი „შვილებურათ, ჩვენებურათ". ჯერ ჯერობით საბახტარიშვილმა ექვსასი მანეთი „წაიმასნა". რა მოხდება მომავალში, ეს ალბად თვითონ ანდრო დგებუაძემ იცის. მაგრამ იცის თუ არა იმის შესახებ, რაც ხდება ზუგდიდის წითელი ჯვრის ორგანიზაციაში სათანადო ორგანოებმა? თუ იციან, სანამდე ფიქრობენ კიდევ დაცდას?

მახვილი.

სანამდი „იყივლებს" ჯაყელაშვილი

სასამართლო იმისთვის, რომ მომჩივან-მოპასუხის საქმე განიხილოს, გასამტყუნო გაამტყუნოს, მართალი გაამართლოს. ასეც ხდება. როცა საქმე სასამართლოში გადადის, ერთი მოელის საქმის მოგებას, მეორე წაგებას. ან ხშირად ორივე მხარე მოელის საქმის მოგებას, მაგრამ ერთ-ერთი უთუოდ წააგებს.

ეს საერთო წესი თურმე ყველასათვის საერთო არ ყოფილა. არის თითო-ოროლა, დელაბირები, რომ იტყვიან, „ბედნიერ ვარსკვლავზე" დაბადებული, რომელიც ყოველთვის თავ ნზეა. ოღონდ საქმე სასამართლოში გადავიდეს და წააგებს თუ მოიგებს ვინმე, მისთვის სულერთია, ის მაინც მოგებული რჩება. ასეთ „ბედნიერ ვარსკვლავოსანთა" რიცხვს ეკუთვნის ქიათურის უბნის ადვოკატი ა. ჯაყელაშვილი.

ის ჩვენი დროის ნამდვილი აბრუნდი-დაბრუნდის კაცია. მივა მოსარჩლესთან, ეტყვის: თუ საქმის მოგება გინდა, ამდენი და ამდენი მარჯვე და თავი ქუდში გექნებათ. თან ზედ გასამრჯელოს ნახევარს წინდაწინ ართმევს. ამის შემდეგ მივა მეორე მხარესთან და მელაკუდურად გადასჩურჩულებს, თუ საქმის მოგება გინდა, ცოტა ხელის ჭუჭყი გაიღე და ყველაფერი გაირიგდება. აქაც გასამრჯელოს ნახევარს [illegible] ხოლმე [illegible] ადვოკატი.

შემდეგ... შემდეგ ხდება ის, რაც საზოგადოთ ყოველ საქმის გარჩევის დროს ხდება. ან ერთი ან მეორე მხარე სასამართლოს მიერ დამნაშავედ არის აღიარებული. ჯაყელაშვილს ეს იმდენად აწუხებს, რამდენადაც მთვარეს ძაღლის ყეფა. წააგო, წააგო, რა უყოთ მერე სასამართლომ ასე სცნო საჭიროდ. მე რომ მოსამართლე ვყოფილიყავ გასამრჯელოს თავიდან მთლიანად ავიღებდი და საქმესაც ჩემს ჭკუაზე გადავჭრიდი. მე დამცველი ვარ, მე „ვიყივლე" და „გათენება" სასამართლოს ნებაა. არც თუ ისე ძნელი სათქმელია ვისი დამცველია ჯაყელაშვილი, თავისი ჯიბის, თუ გლეხკაცობის და ქიათურის მუშების. ეს საკითხი თითქმის ყველასათვის აშკარაა, მაგრამ გასაკვირი ისაა, რომ ეს კაცი ასე დაუსჯელად დადის დღემდე და მას საშუალება ეძლევა „იაბლაკატის" საბჭოთა სასამართლოში.

„ყივის" ჯაყელაშვილი სადღეშით შემონახულ მამალივით, ყივის და საჭენჭაც ბოლომდე შეუძლია. როდის უნდა დადგეს ამ „მამლის" განკითხვის დღე? ნუ თუ ამისათვისაც ყველიერია საჭირო?

სამნი.

რამ გამოიწვია

ტრამვაის მუშა-მოსამსახურეებს ძლივს ეღირსა ახლად აშენებულ სახლებში ჩასახლება, მაგრამ წარმოგიდგენიათ ისეთი პირი, რომელსაც არა აქვს იმედი ბინის გამოცვლისა? მემანქანე ქალი 10 წელია მუშაობს და სანთელივით გაყვითლებული სამი წლის და ძუძუმწოვარა 9 თვის ბავშვებით, ავადმყოფი ქმრით და მოხუცი დედით, სცხოვრობს სველ კედლიან, 8 მეტრიან ბინაში; მისი ბინა არა ერთ კომისიას შეუმოწმებია და დაუდგენია, რომ 1-ლ რიგში უნდა მიეცეს ბინა, მაგრამ დღესაც უბინაოდ დარჩა.

სახაზინო ბინიდან, მშვენიერ ოთახებში მცხოვრებ ეგოროვს აძლევენ ბინას, ვითომდა იმის ცხოვრება საშიშია წარმოებისათვის ცეცხლის მხრივ (ისიც ამ ზაფხულში). მის გვერდზე, ნესტიან ოთახში მცხოვრებ ქალს კი შვილებით სტოვებენ იმავე შენობაში.

საჭიროა ვიცოდეთ, თუ ეგოროვის ცხოვრება საშიშოა, იმ საუცხოვო ბინაში, სადაც ის ცხოვრობდა, რით არის უზრუნველყოფილი მეორე? ამაზე უნდა გვიპასუხოს ადგილკომის პასუხისმგებელმა მდივანმა ცაბაძემ, რომელიც განსაკუთრებულ თავ-გამოდებით ამართლებს ამ მოვლენას, მაშინაც კი, როცა ტრამვაის დირექცია გარკვევით ამბობს, რომ „წარმოებისათვის უმნიშვნელოა ერთი ოთახის დაცლა, რადგან მეორე დაკავებულია".

რამ გამოიწვია ყველა ეს? რატომ არ ცდილობს ადგილკომი პირველ რიგში ბინა მისცეს ისეთ პიროვნებას, რომელიც ყველაზე მეტ გაჭირვებას განიცდის ბინის მხრივ?

დარწმუნებული ვართ, რომ ორმოც ბინაში, ერთ მომუშავე ქალს, მიეცემა ბინა. ამას მოითხოვს, როგორც კერძოდ ხსენებული ქალის პირობები, ისე ქალთა უფლებებიც.

თბილი ქალი.

მიღების საათები საქ. მუშათა და გლეხთა ინსპექციაში

1. საქართველოს კომპარტიის (ბ) ც. ს. კ. თავმჯდომარე და მ.-გ. ინსპექციის სახალხო კომისარი ამხ. ა. დოლიძე ღებულობს მთხოვნელებს ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით 10—1 საათამდე. დანარჩენ დღეებში თავისუფალ დროის მიხედვით (რუსთაველის პროსპექტი, 24, მე-3-მე სართული, ოთახი 1).

დაწესებულებაში შესვლა ხდება ყოველგვარი სანებართვო ბარათის გარეშე.

—:—

2. საქართველოს მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისრის მოადგილე ამხ. მ. კვარაცხელია ღებულობს მთხოვნელებს სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით 10—2 საათამდე, (რუსთაველის პროსპექტი, 24, ოთახი 2).

3. განცხადებებისა და საჩივრების მიღება საქართველოს მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატში სწარმოებს ყოველ დღე, მთელი სამუშაო დღის განმავლობაში (რუსთაველის პროსპექტი, 24, ოთახი 11) გარდა უქმე და დასასვენებელი დღეებისა.

—:—

4. უქმე და დასასვენებელ დღეებში განცხადებებისა და საჩივრების მიღებას აწარმოებენ ც. ა. კ. პრეზიდიუმისა და მუშათა და გლეხთა სახალხო კომისარიატის კოლეგიის მორიგე წევრები (რუსთაველის პროსპექტი, 24, ოთახი 2) 10 საათიდან—1 საათამდე.

—:—

ყოველგვარი ცნობების გაცემა სწარმოებს სახალხო კომისარიატის კანცელარიაში მთელი სამუშაო დღის განმავლობაში.

პირველ მაისს ამუშავდება აბაშის ჰიდრო-ელექტრონული სადგური (აბჰესი)

როგორ შენდებოდა აბჰესი

„რუსეთის ყველა ელექტრო-ტეხნიკოსისა და მთელი დედამიწის საუკეთესო მოწინავე მეცნიერული ძალების, მუშებისა და მშრომელი გლეხების ავანგარდის გმირული თავგანწირულების შემწეობით, ჩვენს ამოცანას განვახორციელებთ და ჩვენი ქვეყნის ელექტროფიკაციის შევძლებთ".

ლენინი.

ელექტროფიკაცია სოციალისტურ მშენებლობის უუმნიშვნელოვანესი ელემენტია; ის სოციალიზმის შენების საფუძველია. ეს დებულება, რომელიც დღეს ყველასათვის გასაგები უნდა იყოს, ლენინმა გამოხატა შემდეგნაირად: „საბჭოთა ხელისუფლება ელექტროფიკაციის მიმატებით უდრის სოციალიზმს".

ამ სიტყვებიდან ნათლად ჩანს, რომ ლენინს არ ჰქონდა წარმოდგენილი საბჭოთა შენება გარეშე ელექტროფიკაციისა, არ ჰქონდა წარმოდგენილი საბჭოთა ხელისუფლების მუშაობა გარეშე ელექტრომშენებლობისა.

ელექტროფიკაციას ლენინი თვლიდა არა მარტო მრეწველობის საფუძვლად, არამედ სოფლის მეურნეობის გაუმჯობესების აუცილებელ პირობად და მისი სოციალისტურად გარდაქმნის ბერკეტად.

ეს ნათლად ჩანს იმ წერილიდან, რომელიც ლენინმა გამოუგზავნა საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველ დღეებში საქართველოს, აზერბეიჯანის, სომხეთის, დაღესტანის და მთიელთა რესპუბლიკების კომუნისტებს: „ერთბაშად უნდა ეცადოთ გლეხობის მდგომარეობის გაუმჯობესებას და დაიწყოთ მსხვილი მუშაობა ელექტროფიკაციისა და მიწების მორწყვისათვის".

საქართველოს კომუნისტები ენერგიულად შეუდგენ ლენინის დარიგების შესრულებას. მათ გაშალეს ფართო მუშაობა მიწების მორწყვისა (მაშველის, ტირიფონის, ალაზნის, დიმიტროვის, დიღომის, საბჭოთა და სხვა სარწყავი არხები) და ქვეყნის ელექტროფიკაციისათვის. მათ ააგეს და აამუშავეს საბჭოთა საქართველოს სიამაყე ზაჰესი; აშენებენ აბჰესს, რიონჰესს და სხვა ელექტრო-სადგურებს,— ააგეს აბჰესი, რომელიც პირველ მაისიდან დაიწყებს მუშაობას და ასეული კილომეტრის მანძილზე თავის უხილავ ძალას ელვის სისწრაფით გადასცემს ქალაქებს და სოფლებს, გაანათებს ქუჩებს და სახლებს, აამოძრავებს ფაბრიკა-ქარხნებს და მომავალში შეებმება გუთნებში ხარ-კამეჩ-ცხენების ნაცვლად.

აბჰესი ზაჰესთან და სხვა ელექტრო-ბუმბერაზებთან შედარებით პატარა სადგურია. ის 2.500 ცხ. ძალისაა. მაგრამ მას გრძელი და საინტერესო ისტორია აქვს, რადგანაც მისი მშენებლობა მიმდინარეობდა განსაკუთრებულ პირობებში. ამის გადმოცემა ერთ პატარა წერილში შეუძლებელია, შეუძლებელია აქ სრულად გადმოცემა იმ დიდი ეკონომიური მნიშვნელობისა, რომელიც აქვს ამ შედარებით პატარა სადგურს. აქ შეიძლება ამაზე ლაპარაკი მხოლოდ ზოგადათ.

აბჰესის აგების თაოსნობა ეკუთვნის სენაკის მაზრის აღმასრულებელ კომიტეტს, რომელიც თავის მოღვაწეობის პირველ დღეებიდანვე შეუდგა მშრომელი მოსახლეობის ეკონომიურ-კულტურულ ცხოვრების გარდაქმნას. ამ გარდაქმნის ერთ-ერთ საშუალებად მაზრაღმასკომმა სცნო ელექტრონის ენერგია, მაზრის ელექტროფიკაცია. ელექტროფიკაციამ მიიპყრო მაზრაღმასკომის განსაკუთრებული ყურადღება იმიტომ, რომ ამის მეტად ხელსაყრელ პირობებს იძლეოდა მაზრის ორი მდინარე ტეხური და აბაშა.

აღმასკომმა იცოდა, რომ ეს ორი მდინარე, განსაკუთრებით მდ. აბაშა თავისი შესანიშნავი ჩანჩქერებით იპყრობდა უცხოელების ყურადღებას ჯერ კიდევ მეფის რეჟიმის და შემდეგ მენშევიკური წესწყობილების დროს ჰიდრო-ელექტრონის სადგურის აგების მიზნით. მაგრამ ვერც მეფის და ვერც მენშევიკურმა რეჟიმმა ვერ ჰპოვა საკმაო ძალა იმისათვის, რომ აბაშის ჩანჩქერების მოუხმარებელი ძალა გადაექცია ელექტრონის ძალად. მხოლოდ საბჭოთა წყობილებას, რომელიც ეყრდნობოდა და ეყრდნობა ფართო მშრომელ მასების ნებისყოფაზე, აღმოაჩნდა ამისათვის საკმაო ძალაც და სურვილიც. ზოგიერთი წინასწარ სამუშაოს შესრულების შემდეგ უბრალო გამოკვლევის სახით, სენაკის მაზრის აღმასრულებელმა კომიტეტმა ცნო მდ. აბაშაზე ჰიდრო-ელექტრონის-სადგურის აშენება და 1922 წელს ერთ-ერთ თავის სხდომაზე გამოიტანა ამის შესახებ სათანადო დადგენილება.

მაზრის აღმასკომს არ მოეპოვებოდა არავითარი სახსარი ასეთი დიდი საქმის საწარმოებლად; მას არც საამისო ტეხნიკური ძალა ჰყავდა. სადგურის აშენებას მაზრაღმასკომი ფიქრობდა მაზრის მშრომელი გლეხების შრომით, მათ შორის შემოწირულებათა შეგროვებით და აგრეთვე სხვადასხვა ცენტრალური ორგანოების ნივთიერი დახმარებით.

მაზრის მთელი მშრომელი მოსახლეობა დიდის აღტაცებით შეხვდა სადგურის აგების იდეას. მთელს მაზრაში იმართებოდა კრებები, რომლებზედაც გლეხებს გამოჰქონდათ ერთსულოვანი დადგენილება სადგურის აგებისათვის ყოველგვარი დახმარების აღმოჩენის შესახებ. მთელი მაზრა მოიფინა გლეხების მიერ არჩეული სამეულებით, რომელნიც აგროვებდენ შემოწირულებას. გლეხებს გამოჰქონდათ, რაც კი შეეძლოთ: სიმინდი, ფული, ძვირფასი ნივთები და სხვა.

ცენტრიც თანაგრძნობით შეხვდა სადგურის აგების იდეას და დაჰპირდა ყოველგვარ დახმარებას.

1923 წ. 29 ნოემბერს, ცენტრალურ დაწესებულებების თანხმობით და ნებართვით სენაკის მაზრის რამოდენიმე ათას მშრომელ გლეხების მონაწილეობით მოხდა სადგურის საძირკვლის საზეიმო ჩაყრა.

ამხ. ს. მამულია

აბჰესკომის პირველი თავმჯდომარე და აბჰესის აგების ერთი ინიციატორთაგანი

ზეიმისა და საძირკვლის ჩაყრას თბილისიდან დაესწრენ მ. ცხაკაია, ხ. ორჯონიკიძე, მ. ორახელაშვილი, ბ. ლომინაძე, და ს. გეგეჭკორი. საძირკვლის ჩაყრა მთელს მაზრაში იქნა აღნიშნული მრავალრიცხოვანი მიტინგებით და რეზოლუციების გამოტანით, ყოველმხრივი დახმარების აღმოჩენის შესახებ.

ოთხ წელზე მეტი გაგრძელდა აბჰესის შენება. ეს ოთხი წელი, შეიძლება თამამად ითქვას, გმირული შრომის წლებია სენაკელი ამხანაგებისა და მშრომელი გლეხებისათვის. აბჰესის მშენებლობა არ იყო უზრუნველყოფილი საჭირო თანხებით უკანასკნელ დრომდე. აბჰესზე მუშაობა უსახსრობის გამო, უნდა შეწყვეტილიყო. მაგრამ ეს ასე არ მოხდა. არ მოხდა იმიტომ, რომ მტკიცე აღმოჩნდა სენაკის მაზრის ამხანაგების და მშრომელი გლეხების ნებისყოფა დაბრკოლებათა დასაძლევად.

მიწის მთელ სამუშაოთა შესრულება იკისრეს მარტვილის და სალხინოს რაიონების გლეხებმა, რომლებმაც თავიანთ კრებებზე გამოიტანეს დადგენილება ემუშავნათ თვითეულ მამაკაცს ორ-ორი კვირა სრულიად უსასყიდლოდ. ვისში არ გამოიწვევდა სიხარულს მარტვილის გლეხების მუშაობა აბჰესის არხზე აღმასკომის თავმჯდომარე ამხ. ვ. წოწორიას მეთაურობით?

ყველა სამუშაოები აბჰესზე სავსებით დასრულებული იქნა 1928 წ. მარტ-აპრილისათვის. 1928 წ. პირველ მაისს უკვე ამუშავდება აბჰესი. აბჰესის მშენებლობისათვის ნორმალურ პირობებში საჭირო იყო 1—1 ნახ. წელი. მას კი დასჭირდა, როგორც ზევით ვსთქვით, 4 წელი, რადგანაც მისი მშენებლობა მიმდინარეობდა უსახსრობის გამო მეტად მძიმე პირობებში. ამ პირობებმა გამოიწვიეს არასასურველი ზედმეტი ხარჯები. მიუხედავად ამისა, აბჰესი ხელსაყრელი ბუნებრივი პირობების გამო ერთ ერთი იაფი სადგურთაგანია მთელ საბჭოთა კავშირში. აბჰესი ეკონომიურად სავსებით გამართლებულია, მოთხოვნილება აღემატება მის ძალოვნებას.

3—4 თვეში დაიდგმება და ამუშავდება მანქანების მეორე ნაწილი, 6—9 თვეში კი დაიდგმება მესამე ორმაგძალოვანი მანქანები.

აბჰესის ენერგიაზე გადადის სენაკის მაზრის და ქ. ფოთის მთელი წარმოება. მისი ძალის გამოყენების ანგარიშით შენდება საცივარი ქ. ფოთში (600 ცხ. ძალა), აგურ-კრამიტის ქარხანა ნოსირში (200 ცხ. ძალა). აბჰესის ენერგიაზე იქნება გადაყვანილი ხონი, სამტრედია, სამტრედიის რკინისგზის დეპო, საცივარი, ნავთსადენი და წყალსაქაჩავი (600 ცხ. ძალა), აბჰესი მიაწვდის თავის ენერგიას ქუთაისს და მის წარმოებებს რიონჰესის დამთავრებამდე. თვით რიონჰესი თავისი მშენებლობის განმავლობაში მიიღებს აბჰესის ენერგიას. შემდეგ აბჰესი შეუერთდება რიონჰესს და გადაიქცევა მის განუყრელ ნაწილად.

აბჰესი იქნება მამოძრავებელი ძალა ყველა საწარმოო წამოწყებათა მის სამოქმედო რაიონში.

აბჰესი გარდაქმნის მის სამოქმედო რაიონის მთელს მეურნეობას და მოსახლეობის ყოფაცხოვრებას სოციალისტურ ყაიდაზე.

სულ მოკლე ხანში აბჰესი ზედმეტად დატვირთდება.

აბჰესის ზედმეტად დატვირთვა მოითხოვს მის გაფართოებას. ამისათვის მზათაა მასზე ახლო მდებარე მდინარე „წახურა", რომლის შეერთება მდინარე აბაშასთან მცირე თანხის გაღებით შესაძლებელია. ეს ახლო მომავლის საქმეა. თუ სენაკის მაზრის აღმასკომი თავის მიწვევებში 1923 წ. ნოემბრის თვეში აბჰესის საძირკვლის ჩაყრის გამო აცხადებდა, რომ 29 ნოემბერი ისტორიული დღე იქნება მთელი მაზრის მშრომელი მასისათვის, 29 ნოემბერი ოქროს ასოებით უნდა ჩაიწეროს სენაკის მაზრის მშრომელთა ცხოვრების ისტორიაში, ეს სიტყვები მეტის უფლებით ითქმის 1928 წელს 1 მაისს, აბჰესი უკვე ამუშავდება.

აბაშის ჰიდრო-ელექტრონის სადგურის აგების დაწყება ეკუთვნის ჩვენი მშენებლობის იმ პერიოდს, როდესაც არ გვქონდა მტკიცე სამეურნეო გეგმა და საჭირო სახსრები. ჩვენი აღმშენებლობა მაშინ, თითქმის სავსებით დამოკიდებული იყო ჩვენს აღფრთოვანებაზე, ჩვენს გატაცებაზე, ჩვენს სურვილზე, რაც შეიძლება მეტი გაგვეკეთებინა და მცირე ხნის განმავლობაში შეგვექმნა იმაზე მეტი, რაც წინედ სხვა წესწყობილების დროს, ათეული წლებითაც კი არ იქმნებოდა. ეს გასაკვირიც არ არის, ასეც უნდა ყოფილიყო. მუშურ-გლეხურ მასებს, რომლებსაც ოქტომბრის დიადმა რევოლუციამ ახსნა ბორკილები და ფართო გზა შეუხსნა შემოქმედებისაკენ, რომელსაც მან მისცა საშუალება აემოძრავებინა მანამდე დამშული და დახშული ძალები, არ შეეძლო უმოქმედობა და ვიწრო ფარგლებში მომწყვდევა.

დღეს ჩვენ ბევრი რამ გვაქვს ისეთი, რომელიც თამამად შეიძლება ჩაითვალოს მასების რევოლუციონურ აღფრთოვანების ნაყოფად.

უკვე დამთავრებული აბჰესიც სწორედ ამ რევოლუციონური აღფრთოვანების პირმშო შვილია.

ხ. მამულია.

აბჰესი იწყებს მუშაობას

ჩვენ საუკეთესოდ ვხედავთ რევოლუციონურ მოვალეობას საერთაშორისო პროლეტარიატის წინაშე იმით, რომ წლიდან წლამდის, აურაცხელ დაბრკოლებათა დაძლევით, მტკიცედ და გეგმაშეწონილად ვაშენებთ სოციალიზმს სამეურნეო საფუძვლებს ჩვენს ქვეყანაში.

წლევანდელი პირველი მაისიც ერთ-ერთი ბრწყინვალე ფურცელს ჩასწერს საბჭოთა სოციალისტური შემოქმედების ისტორიაში:

— ამუშავდება აბაშის ჰიდრო-ელექტრონული სადგური, სამეგრელოს მშრომელი, გლეხობის უკვე განხორციელებული ოცნება.

ჰიდრო-ელსადგურის აგებას მდინარე აბაშის ჩანჩქერზე (სენაკის მაზრა, მარტვილის თემი) საფუძველი ჩაეყარა 1923 წ. იანვარს, მასიური შაბათობის მოწყობით, მშენებლობა დაიწყო სრულიად უსახსროდ. მშენებლობის ტეხნიკური და ფინანსიური გეგმა არ იყო თავდაპირველად ჩამოყალიბებული, ის მუშავდებოდა მშენებლობის პროცესში. ასე „ანარქიულად" მარტო რევოლუციონური ენტუზიაზმის ამარა დაიწყო ეს საშვილიშვილო საქმე.

თავისთავად ცხადია, სენაკის მაზრის ხელისუფლებას არ შეეძლო საკუთარი სახსრის იმედით წამოეწყო ეს ძვირი საქმე, სენაკის მაზრა დეფიციტიანი ბიუჯეტის მქონე მაზრაა. საკმარისია ითქვას, რომ მთლიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადის საერთო ჯამი ჩვენს მაზრაში სადგურის მშენებლობის წლებში (1923—28 წ.) უდრის 303,000 მანეთს. მაშინ, როცა სადგურის აგება და ელექტრონის ქსელის მოწყობა დაჯდა დღემდის 1.450.000 მან. მხოლოდ საბჭოთა მთავრობის ძლიერი დახმარებით შეიძლებოდა ამ დიდი წამოწყების გამარჯვებით დაგვირგვინება.

აბჰესის გაჩირაღდნება ერთხელ კიდევ (მერამდენეჯერ?) ხილას გააწნავს იმ პოლიტიკურ არამზადებს, რომელნიც სტკენიან ევროპის სატახტო ქალაქების ქუჩებს და განაგრძობენ საქართველოს მშრომელ ხალხის სისხლით ვაჭრობას კაპიტალისტურ ბაზარზე.

აბჰესმა უნდა დაიწყოს ახალი ხანა სამეგრელოს მეურნეობის აღორძინებაში.

ინჟ. ბ. ა. ჭიჭინაძე

აბაშის ჰიდრო-ელსადგურის გამოკვლევის, დაგეგმვის და აშენების მთავარი ხელმძღვანელი (1924—1928 წ. წ.) თბილისის სახ. უნივერსიტეტის პოლიტეხნიკურ ფაკულტეტის პროფესორი და საქ. ს. მ. უ. ს. თავმჯდომარე.

ელექტროფიკაცია მთავარი საფუძველია ქვეყნის სამეურნეო დონის აღორძინებისათვის, მეურნეობის სოციალისტური ფორმების განმტკიცებისათვის.

ქვეყნის ინდუსტრიალიზაცია, რასაც საბჭოთა ხელისუფლება ახორციელებს, უნდა მოხდეს ელექტრონული ენერგიის გამოყენების ნიადაგზე. მძლავრი ჰიდრო-ელსადგური შემოიკრებს თავის გარშემო ახალ ფაბრიკა-ქარხნებს.

მეორე მხრით დიდი მომავალი აქვს უსათუოდ სასოფლო მეურნეობის ელექტროფიკაციასაც, რასაც შედეგად უნდა მოჰყვეს სასოფლო სამეურნეო წარმოების თანდათანობითი განსაზოგადოება. ამიტომ იყო, რომ ლენინი ელექტროფიკაციის გეგმას პარტიის მეორე პროგრამად აღიარებდა.

ყველას გვახსოვს აგრეთვე ლენინის ცნობილი ფორმულა: „კომუნიზმი—ეს არის საბჭოთა ხელისუფლება—მიუმატოთ ელექტროფიკაცია".

როგორია ამ მხრივ აბაშის ჰიდრო-ელსადგურის მომავალი?

აბჰესის მუდმივი ენერგია უდრის 2.500 ცხენის ძალას.

განზრახულია მდ. აბაშის კალაპოტში გადაყვანილ იქნას ჩანჩქერის გასაძლიერებლად მდ. წახურა, რაც საშუალებას მოგვცემს ჰიდრო-ელსადგურის სიმძლავრე ავიყვანოთ 5.000 ცხენის ძალამდე.

ამჟამად დადგმულია ერთი ტურბინა 750 ძალიანი. დადგმული იქნება უახლოეს მომავალში კიდევ ორი ტურბინა ასეთივე სიმძლავრის თვითეული. ხონი-სამტრედიისა და ქუთაისის ელექტროფიკაციისათვის, სულ პირველ ხანებში გამოყენებულ იქნება 2.260 ცხენის ძალა.

ელექტროდენის ხაზი გადის ისეთ მჭიდროდ დასახლებულ თემებში, როგორიცაა: მარტვილი, ბანძა, ნოქალაქევი, ძველი-სენაკი, ახალსენაკი, ახალ-სენაკიდან ხაზი გრძელდება ქალაქ ფოთამდის; სულ ელექტრონის ხაზის საერთო სიგრძე ამჟამად უდრის 70 კილომეტრს, ხოლო სამტრედია-ქუთაისის ხაზის დამთავრების შემდეგ იქნება 160 კილომეტრი.

ამრიგად, აბჰესის საექსპლოატაციო სამუშაო რაიონია სენაკის მაზრა, ქალაქი ფოთი და ხონის, სამტრედიის და ქუთაისის რაიონები. პირველ რიგში აბჰესი მიაწვდის სინათლეს ქუჩებსა და სახლებს, აგრეთვე აამოძრავებს ქალაქ ფოთსა, ახალსენაკსა, ხონსა, სამტრედიასა, ქუთაისსა და სენაკის მაზრის დაბა-თემებში არსებულ სხვადასხვა საწარმოოს.

აბჰესი, სხვათა შორის, მიაწვდის ენერგიას ხონში აბრეშუმის ძაფსახვევ ფაბრიკას, სამტრედიაში—ამიერ-კავკასიის რკინის გზის დეპოს, ქუთაისში—ბარიტის საფქვავ წისქვილს და რიონჰესის მშენებლობას.

აბჰესს უსათუოდ აქვს ბრწყინვალე მომავალი სენაკის მაზრის მდებარეობასთან დაკავშირებით. სენაკის მაზრას, ერთის მხრივ, გასავალი აქვს შავი ზღვისაკენ, მეორე მხრივ, ის ეკვრის ამიერ-კავკასიის რკინის გზის მთავარ ხაზს და შავი ზღვის რკინის გზას, ახალ-სენაკს აქვს შანსები გადაიქცეს ეკონომიურად მნიშვნელოვან საკვანძო სადგურად. სენაკის მაზრის ტერიტორიაზე გადის მდინარე რიონი, რომელზედაც ამჟამად განახლებულია ნაოსნობა. ეს საფუძველს ჩაუყრის სატყეო მრეწველობის ფართოდ დაყენებას.

ყველა ეს გარემოება საუკეთესო მომავალს უქადის სენაკის მაზრას და ამაღლებს აბჰესის როლს ამ მომავლის შექმნაში ახალი ფაბრიკა-ქარხნები, სახელოსნოები და სხვა საწარმონი გადაიქცევიან აბჰესის ენერგიის მოსახმარებლად. აბჰესმა უნდა ითამაშოს უდიდესი როლი ხელოსნური მრეწველობისა, მომგებიან ნედლეულ კულტურათა და სასოფლო-სამეურნეო ინდუსტრიის განვითარების საქმეში.

აქ პირველ რიგში შეიძლება დასახელებულ იქნას მეაბრეშუმეობა, რომელიც წარმოადგენს სენაკის მაზრის მოსახლეობისათვის არსებობის მნიშვნელოვან წყაროს, იაფი ელექტრონული ენერგია ხელს შეუწყობს აბრეშუმის ძაფის სახვევ და საქსოვ ქარხნების აღმოცენებას.

აბჰესი საუკეთესო მომავალს უქადის აგრეთვე მებამბეობის განვითარებას მაზრაში. სენაკის მაზრაში არის 5.000 დესეტინა მიწა, რომელიც შეიძლება მოვაქციოთ ბამბის კულტურის ქვეშ იმ პირობით, თუ მოეწყობა საირიგაციო, მოსარწყავ არხების ქსელი ხელოვნური მორწყვის გასატარებლად. საირიგაციო მოწყობილობათა ამუშავება ელექტრო-ენერგიით მეტად ხელსაყრელია.



ამხ. დ. ქუჩულორია

აბჰესკომის და სენაკის მაზრაღმასკომის თავმჯდომარე

მებამბეობის განვითარებასთან დაკავშირებით მოეწყობა ბამბის საწმენდი ქარხნები.

განზრახულია აგრეთვე ხილის სარჩევი, ზეკონის და სხვა ქარხნების მოწყობა უახლოეს წლებში.

აბჰესი იწყებს მუშაობას სასოფლო-სამეურნეო რაიონში, მისი ელექტროდენის ხაზი გაჭიმულია გლეხობის მიწა-წყალზე. რას გვავალებს ეს გარემოება?

აბჰესის ერთ-ერთ უმთავრეს დანიშნულებად უნდა გახდეს სასოფლო მეურნეობის ელექტროფიკაციის განხორციელება თავის სამოქმედო რაიონში.

სასოფლო-სამეურნეო წარმოება უნდა გადავიყვანოთ ელექტრომძრავის ენერგიაზე. ელექტროფიკაცია სრულიად გადაასხვაფერებს სასოფლო მეურნეობას და ჩამოაყალიბებს მას მსხვილ ტიპის საწარმოთა მსგავსად.

ელექტრომძრავი შეიძლება ფართოდ იქნას გამოყენებული სასოფლო მეურნეობაში. ის წარმოადგენს მეტად მოხერხებულ ძრავს მთელ რიგ მეტად მნიშვნელოვან სასოფლო-სამეურნეო მანქანებისათვის.

ელექტრონის გამოსაყენებლად თვით ყანებში, მაგალითად, მიწის მოხვნის დროს, საჭიროა, რათა ელექტრონის ქსელი ახლო უდგებოდეს ამ ყანებს. უნდა ითქვას, რომ ელექტრონის გამოყენებას უშუალოდ საყანე მუშაობაში მრავალი დაბრკოლება ხვდება. ჯერ ერთი, ელექტრომძრავის გამოყენება შეიძლება მხოლოდ ვაკე ადგილზე, შემდეგ—სასოფლო მეურნეობა წარმოადგენს ელექტროძალის მხოლოდ სეზონურ მომხმარებელს. აღნიშნულ სიძნელეთა მიუხედავად, შესაძლებელია და აუცილებლად საჭიროც, რომ მრეწველობის რკინის გზის ელექტროფიკაციის ქსელში, თუნდაც დამატებითი ხარჯების გაწევით, შევიყვანოთ სასოფლო-მეურნეობა, როგორც ელექტროძალის დამატებითი მომხმარებელი...

აბჰესი ამუშავდა.

აბჰესი მიმოაფრქვევს უჩვეულო სხივებს გლეხობის მინდორ-ველებზე.

აბჰესი შემოიჭრა ჩვენს სოფელში სოციალიზმის მედროშედ და არ დაისვენებს მანამდის, სანამ არ დაამთავრებს წვრილი და უმწეო გლეხური მეურნეობის გადაკეთებას მეცნიერულ-ტეხნიკურ საფუძველზე მოწყობილ მსხვილ კოლექტიურ წარმოებებად.

აბჰესი არის 1921 წ. თებერვლის საბჭოთა გადატრიალების პირმშო შვილი; ის არის გამოხატულება ჩვენი სარიოზული მუშაობისა სოციალისტური მშენებლობის გზაზე.

ვერავითარი ძალა ვერ მოსპობს საბჭოთა მოქმედების ამ ხელთქმნილ და ხელშეუხებ ძეგლს.

გაუმარჯოს აბჰესს!

გაუმარჯოს კომუნისტურ პარტიას და საბჭოთა ხელისუფლებას!

დ. ქუჩულორია.



სადგურის მთავარი ვაშხალი

აბჰეს [illegible]

(მისი ამუშავების გამო)

სად ზამთრის ქარი ჰკიოდა მჭახეთ
და ცრემლებს ღვრიდა შავი უკუნი,
აბაშის ჩანჩქერს ხმას სცემდა აქეთ
მარტვილის ტაძრის ზარის გუგუნი;
სადაც ქვიშიან გორებს და სერებს
თავს დასჩხაოდა ტურების ხროვა;
ნაყანულებში სიმინდის ღერებს
ძაძებს აცმევდა შავი ზღვის გლოვა;
სად თხილის წნელით ჩაწნული ფაცხა
მეგრელი გლეხის კერად ჰბოლავდა,
ფარეხს გარს ცხვარი უვლიდა და თხა,
ზანტი კამეჩი კი გზებს ჰფოლავდა,—
ახლა ამ მხარეს ჰქვია საბჭოთა,
აქვს შეგნებული თვისი ღირსება,
მუშაობს ბნელი ღამის ხამთროთა
და მზის სხივებით ნელ-ნელა ივსება!..
თუმცა აქ მუდამ იყო ბუნება
სილაღით სავსე და საუცხოვო,
მაგრამ აწ სულ სხვად გაიყურებს
აბაშის წყალი და ოფუცხოვო!..
მათ აქ სხვა ცეცხლი დაანთეს ახლა,
სოფელს რომ მოხვდა ოქტომბრის კვესი,
და აგუგუნებს მარტვილზეც მაღლა
ახალ ნაკადებს ირგვლივ აბჰესი!..
ცისკრის ზარია ეს ხმა და ცეცხლი,
ღამის მზედ ქმნილი ელექტრონობა,
მან ოქროდ დასწვა მდინარის ვერცხლი,
შესცვალა შვებად ხალხის მონობა!..
იქ გლეხის ფაცხას კვამლსა და მურში
ახლა მთვრალივით არ ეძინება,
აბაშა ლაღ ხმით ჩასძახის ყურში
და მზის ხვავებათ გულს ეფინება!..
და ორღობეში ბნელის მოყვარულს
ძველებრ ხალვათად არ გაევლება,
სინათლე ზვერავს ხევს, გადაბზარულს,
და გზა აანთეს მშვიდმა ელვებმა!..

ნ. ზომლეთელი.

აბჰესი

მეფის და შემდეგ მენშევიკების ბატონობის დროს არავის ახსოვდა და არც ზრუნავდა სოფელზე. პირიქით, სოფელს უყურებდენ, როგორც საწველ ფურს და გადასახადებ—გადასახადზე აწერდენ მას. და თუ სოფელი ბედავდა რამე სამართლიანი მოთხოვნილების წაყენებას, მას აწვიმებდენ მათრახით და, თუ საჭიროდ დაინახავდენ, არ იშურებდენ ტყვიასაც...

მაგრამ 1917 წლის ოქტომბერში რუსეთში და 1921 წლის თებერვალში საქართველოში დაჰბერა „წითელმა ქარმა", რომელმაც ერთხელ და სამუდამოთ მოუღო ბოლო ბურჟუაზიის, მემამულეების და მათ დამცველ ცრუ სოციალისტების ბატონობას.

დამყარდა მუშების და გლეხების მთავრობა, რომელმაც მუშებთან და გლეხებთან ერთად მთელი თავისი არსებით და შესაძლებლობით ჩასჭიდა ხელი როგორც ქალაქის, აგრეთვე სოფლის მეურნეობის აღდგენა-აყვავებას.

ამხ. ლენინს, რომელიც ასე დარწმუნებული იყო მეურნეობის მექანიზაციის საჭიროებაში და აუცილებლობაში, სოფლის მეურნეობის მექანიზაციის საუკეთესო საშუალებად მიაჩნდა ელექტროფიკაცია.

ამხ. ლენინის ხელმძღვანელობით კომპარტიის მიერ ჩატარებულმა პროპაგანდამ და საბჭოთა მთავრობის მიერ მიღებულმა ზომებმა და გადადგმულმა ნაბიჯებმა ელექტროფიკაციის საქმეში მოგვცა დიდი ნაყოფი, საბჭოთა რესპუბლიკების კავშირის მიწა-წყალი თანდათან ივსება დიდ და პატარა ძალის ელსადგურებით. 1926 წელში საბჭოთა რესპუბლიკების კავშირში ელსადგურების ენერგია (ძალა) იქნა აყვანილი 1.450.000 ცხენის ძალამდე.

1925-26 წელში იქნა ამუშავებული 3 დიდი სადგური: შატურის, ნიჟეგოროდის და „წითელი ოქტომბერი" და გრძელდებოდა 7 სადგურის აშენება, რომელთა ენერგია უდრიდა 252 ათასი ცხენის ძალას. იმავე 1925—26 წელში იქნა დაწყებული: ხარკოვის შახტის, კიევის, სარატოვის სადგურების აშენება, რომელთა ენერგია უდრის 77 ათასი ცხენის ძალას.

1926-27 წელში იქნა დაწყებული 267 ათასი ცხენის ძალის მქონე ახალი სადგურის აშენება მათ რიცხვში შედის დნეპროსტროის ელსადგური რომლის ენერგია უდრის 100.000 ცხენის ძალას და სხვ.

ახლა რამდენიმე სიტყვა საქართველოზე.

— უკვე დაიწყო მუშაობა ჩვენმა სიამაყე—ზემო ავჭალის ჰიდრო-ელსადგურმა —„ზაჰესი"-მა რომლის ენერგია უდრის 36 ათასი ცხენის ძალას ე. ი. „ზაჰეს"-ს აქვს 1.800.000 მუშა კაცის ძალა. გარდა ამისა საქართველოში შენდება მთელი რიგი ელსადგურებისა: აჭარის წყალზე; ახალციხეში; ახალქალაქში; აბასთუმანში; ცხინვალში; „რიონჰესი"—მდინარე რიონზე და სხვა.

1923 წლის ნოემბერში ელექტრომშენებლობის ფერხულში ჩაება სენაკის მაზრაც, დღეს 4 ნახ. წლის შემდეგ **მარტვილის მახლობლად, მდინარე აბაშაზე, დასრულდა ჰიდრო-ელექტრო სადგურის „აბჰესის" აშენება.**

რა სარგებლობის მოტანა შეუძლია „აბჰეს"-ს და რამდენი ძალა ექნება მას?

სასოფლო მეურნეობაში არ არის ისეთი სამუშაო, სადაც არ შეიძლებოდეს ელექტრონის ძალის მოხმარება, გამოყენება. „აბჰესის" ენერგია, აბჰესის ძალა შეიძლება გამოყენებულ იქნეს მიწის დასამუშავებლად. დღემდე გლეხობა მიწას ამუშავებს ცხენით, კამეჩით და ხარით. ცხენი, კამეჩი და ხარი თითქმის თვითონ ნთქავს იმას, რასაც გლეხობას მიწა აძლევს. გარდა ამისა, რამდენ მოვლას ითხოვს პირუტყვი პატრონისაგან!

დესეტინა მიწა საშუალოდ იძლევა 10—50 ფუთ სიმინდს. ევროპაში და ამერიკაში ფერმერებს (მეურნეთ) დესეტინა მიწა აძლევს დაახლოებით 90-200-210 ფუთ პურს. ეს იმიტომ, ევროპაში და ამერიკაში ფერმერები მიწას ცხენით, კამეჩით, ხარით და პირველყოფილი ადამიანის იარაღი — კავით კი არ ამუშავებენ, არამედ **მიწას ამუშავებენ ტრაქტორით და ელექტრონის გუთნით.** ელექტრონის გუთანი არ ითხოვს ბენზინს, ნავთს, წყალს, ხნავს სწრაფად, სუფთად, იაფად, ყველაზე უკეთესად აფხვიერებს მიწას; არ ეშინია აღმართის და დაღმართის. ელექტრონის გუთნით დამუშავებული დესეტინა მიწა მოგვცემს დაახლოვებით 200 ფუთამდე სიმინდს. არავითარ შესანახ ხარჯს არ ითხოვს.

ელექტრონის ძალის გამოყენება შეიძლება აგრეთვე ლეწვაში. ელექტრონის ძალის საშუალებით შეიძლება ჭაობების ამოშრობა, მინდვრების, ბოსტნების მორწყვა, სარეცხის დარეცხვა, საჭმელის მოხარშვა-დამზადება, სახლის გათბობა, ჭირნახულის გაწმენდა, საქონლისათვის საკვებ მასალის დაჭრა, შეშის და ხე-ტყის მასალის დახერხვა, გაწმენდა და ძროხის მოწველა, ყველის გაკეთება, ცხვრის გაკრეჭვა და სხვა.

აბაშის ჰიდრო-ელსადგური პირველ ხანებში იმუშავებს ერთი აგრეგატით, შემდეგ იქნება გადიდებული 2 აგრეგატით, სამივე აგრეგატის ამუშავების შემდეგ აბაშის ჰიდრო-ელსადგურს ექნება 3.200 ცხენის ძალა, რაც უდრის 160.000 მუშა-კაცის ძალას.

ამნაირად, აბაშის ჰიდრო-ელექტრო-სადგურის აშენებით სოფლის და ქალაქის მეურნეობას ემატება 160.000 ახალი მუშა-კაცის ძალა.

ი. გედია.

გადამცემ ხაზის გამოცდა დასრულდა

ს. მ. უ. ს. საელექტროფიკაციო განყოფილების ცნობით, უკვე დასრულდა აბაშის ჰიდრო-ელსადგურიდან სოფ. მარტვილამდე, ბანძამდე, სენაკამდე და ქ. ფოთამდე ელექტრო-დენის გადამცემი ხაზის გამოცდა. გუშინ დასრულდა აგრეთვე ბანძის, მარტვილის და სენაკის ქვე-სადგურების გამოცდა. ქვე-სადგურებს მიაწოდეს პირველი დენი და სინათლე გაშვებულ იქნა ქსელში.

გუშინვე სპეციალისტ-ინჟინერთა კომისია შეუდგა ფოთის მთავარი საქალაქო ქვე-სადგურის გამოცდას და ენერგიის საცდელ მიღებას.

ფოთის ქვე-სადგურის გამოცდაზე დასასწრებად გუშინ საღამოს თბილისიდან ფოთში გაემგზავრა ს. მ. უ. ს. თავმჯდომარე ინჟ. ბ. ჭიჭინაძე.

სამშაბათს, პირველ მაისს მოხდება აბაშის ჰიდრო-ელსადგურის ამუშავება და სინათლეს მიაწოდებენ სოფ. მარტვილს, ბანძას და ქალ. სენაკსა და ფოთს.

აბჰესი

I. ჰიდრო-სადგურის ზოგადი ტეხნიკური აღწერილობა

ჰიდროსადგური აგებულია სენაკის მაზრის სოფ. ლებაჩეს რაიონში, ს. მარტვილზე 4 კილომეტრით ზემოდ.

ჰიდროსადგურის იდეა მდგომარეობს მდ. აბაშის 3 წყალვარდნილის გამოყენებაში. ეს წყალვარდნილები მდებარეობენ მდინარის 1 ნახევარ კილომეტრიან მანძილზე, ხოლო მათი საერთო ვარდნა 46 მეტრს აღემატება.

სათავო ნაგენი, რომელიც გეგმაში მრუდე მოხაზულობის ტიპის საგუბრიდან შესდგება, მოთავსებულია უშუალოდ მდ. აბაშის 1-ლ წყალვარდნილის ზემოდ, წყალვარდნილზე გადაკიდებულ ძველ თაღოვან ხიდიდან 40 მეტრის მანძილზე. საგუბარი გამოანგარიშებულია მაქსიმალური 180 კუბ. მ.-წ. წყალდიდობის გათვალისწინებით. (პრაქტიკულად იგი შესძლებს მუშაობას წყლის მეტი ადიდების შემთხვევაშიდაც). ამ საგუბარს აქვს გამოსარეცხი ფსკერის რაბი, რომელიც დანიშნულია წყალსაცავის ზღურბლის ჩასარეცხად. წყალსაცავის თავში მოწყობილია ტლანქი გისოსი, ხოლო მის ბოლო ნაწილში მრეცხი ხვრეტი, რომელიც უშუალოდ არის მოთავსებული ე. წ. სარეგულაციო წყალსაშვის შემდეგ და დანიშნულია წყალსაცავიდან ზედმეტი წყლის გადასაგდებად.

ამ ადგილზე საგუბრის აგებისათვის მეტად ხელსაყრელი პირობები არსებობენ:

ა) მდინარის კალაპოტის მთელ სიგანეზე, უშუალოდ ზედაპირზე, მდებარეობს კლდოვანი ფუძე საგუბრისა (მჭიდრო ქვაკირი) და

ბ) წყლის ადიდების დროს წყლის ბუნებრივი ბალიში ჩნდება უშუალოდ საგუბრის ქვემოდ. ვინაიდან სივიწროვე იმ კანიონისა, რომელზედაც ეცემა წყალვარდნილი, საგუბრიდან გადადენის შემდეგ, არ აძლევს წყალს თავისუფალ ნაკადით გავლის საშუალებას და საგუბრის ქვემო ბიეფში ქმნის შენაგუბს, რომელიც წყლის 80—100 კუბ. მ.-წ.-ზე მეტად ადიდების შემთხვევაში იცავს მის ბუნებრივ კლდოვან ფლიუტბეტს წალეკვისა და დაშლისაგან.

მეტად სამწუხაროა, რომ ფილტრაციის მხრივ მთელ ამ რაიონის ქვაკირის არასაიმედო თვისება არ გვაძლევს აქ უფრო მაღალი საგუბრის და უფრო დიდ წყალსაცავის მოწყობის საშუალებას; ეს რომ არ ყოფილიყო, ა.-კ. მთის მდინარეთა პირობებში მდ. აბაშის წყლისა, იშვიათი სიწმინდე, (წყლის ადიდების დროსაც, მდინარე მხოლოდ ოდნავ იმღვრევა და შედარებით უმნიშვნელო რაოდენობის ნალექი მოაქვს) მოგვცემდა თაღოვან ხიდთან ხეობის სივიწროვის გამო (აქედან მისი ადგილობრივი სახელწოდება „გაჭედილი") მნიშვნელოვან სიდიდის წყალსაცავის შექმნის საშუალებას, ჰიდროსადგურის სიმძლავრის ხანგრძლივ რეგულაციისათვის.

პირველ ხანებში იძულებული ვიქნებით უარვყოთ სიმძლავრის ჰიდრავლიური (თუნდაც—დღე ღამური) რეგულაცია, ასეთ სამუშაოთა სირთულისა და სიძვირისა გამო. ქვემოდ მოკლეთ შევეხებით ამ საკითხის ზოგიერთ პერსპექტივებს.

წყალსაცავიდან წყალი მიმართება მჭიდრო ქვაკირში გაყვანილ [illegible] არხით და პირველ [illegible] პიკეტზე შედის იმავე ქანებში გათხრილ მოკლე გვირაბში, რომელსაც აქვს ნალისებრი კვეთი, ხოლო მისი სიგრძე 33 მეტრს უდრის. გვირაბიდან გამოსვლისთანავე არხი მიიმართება მდ. აბაშის მარჯვენა ნაპირის ქვაკირში ამოჭრილ თაროზე № 2+44,0 (საჯ.) პიკეტამდე, სადაც გეგმაში მრუდე 40 მეტრის სიგრძის აკვედუკით ჰკვეთს ხეურდის ღელის ხრამს. საწნეო აუზამდე, რომელიც იწყება № 14+23,0 (საჯ.) პიკეტთან, არხი მიიმართება ჭრილით მარჯვენა ნაპირის ფერდობით; თავის ზევითა ნაწილით იგი მდებარეობს მჭიდრო ხრეშნარევ თიხიან ნიადაგში, ხოლო ქვედა ნაწილით ქვაკირში.

არხის განივი კვეთი მის სიგრძეზე ყოველგან ერთნაირია, სახელდობრ: ფსკერზე—1,87 მ.; სიღრმე—1,80 მ.; ზედაპირზე—2,10 მ., დაქანებაც არხის მთელ სიგრძეზე თანაბარია 0,002, ხოლო წყლის დენის სიჩქარე უდრის—2,50 მ.-წ.

საწნეო აუზის მოცულობა გამოანგარიშებულია ჰიდროსადგურის სრული სიმძლავრით 10 წუთის მუშაობის მიხედვით ან და სამ ტურბინის რიცხვიდან ერთი მათგანის ნახევარ საათის მუშაობის ვარაუდით.

საწნეო აუზს აქვს ორი საწნეო კამერა, რომლიდან ერთი ამჟამად მიდენის წყალს საწნეო მილსადენისაკენ, ხოლო მეორე სათადარიგო, მეორე რიგში ასაგებ, მილსადენისათვის. საწნეო კამერების ხშირ გისოსების ზღურბლების ჩასარეცხად და საწნეო აუზის დასაცლელად გამართულია სპეციალური საფსკერო ხვრეტი. აქ არის აგრეთვე წყალსაშვი, ზედმეტი წყლის გადასაშვებად ჰიდროსადგურის დატვირთვის ცვალებადობის შემთხვევაში.

საწნეო აუზიდან მდინარეში ზედმეტი წყლის გადაგდება ტარდება საფეხურისებრ წყალსაგდების საშუალებით.

სათავო ნაგებობათა და საწნეო აუზის ფარების, ამწე მანქანების და გისოსების ლითონის კონსტრუქციები შესრულებულია საქართველოს ს. მ. უ. ს.-ის ლითონტრესტის მიერ.

გადავდივართ—რა საწნეო მილსადენის აღწერაზე, უნდა აღვნიშნოთ, რომ იგი შესდგება ორ შტოდან, რომლიდგან ერთი, 1,30 მ. დიამეტრით, ამჟამად უკვე გაყვანილია. ეს შტო გაუწევს სამსახურს ჰიდროსადგურის 1.700 ც. ძ. საერთო სიმძლავრის ორ აგრეგატს, ხოლო ტურბინებთან შესაერთებლად მილსადენის ბოლო ნაწილი გადადის რქისებრ განშტოებაში, რომლებიც უშუალოდ უდგებიან ტურბინების კლინკეტებს. ამჟამად ერთი ხვრეტი (მე-2 აგრეგატისათვის) ყრუდ არის დახურული.

წყლის საანგარიშო სიჩქარე მილსადენში უდრის 2,5 მ.-წ.

მილსადენი სიგრძეზე განიყოფება ორ სექციად:

ა) ზევითა სექცია—სიგრძით 64 მ.—11 მეტრ. სტატიურ წნევამდე, რკინა ბეტონისაა, 1,3 მ. დიამეტრით და ბოლოვდება წნევის სარეგულაციო რკინა-ბეტონის კოშკით, რომელიც იცავს მილსადენის ამ ნაწილს ჰიდრავლიურ დარტყმების გავრცელებისაგან, დატვირთვის ერთბაშად შემსუბუქების შემთხვევაში და

ბ) ქვედა—94 მ. სიგრძით, 47 მ. სტატიურ წნევამდე, მოქლონილი რკინის ფურცლებიდან იმავე დიამეტრით, რომელიც ქვემო ნაწილში ბოლოვდება ზემოდ აწერილი მოქლონილი კონსტრუქციის განშტოებით.

მილსადენის და სარეგულაციო კოშკის დეტალური პროექტი შესრულებულია „სეტ"-ის მიერ. მილსადენის რკინის ნაწილზე სპეციალურ კომპენსატორების მოწყობის თავიდან ასაცილებლად, მილსადენის ცალკეულ ნაწილების შეერთება დაგეგმარებულია ე. წ. ადამსონის რგოლების სახით.

მილსადენის ლითონის კონსტრუქციები შესრულებულია ნიკოლაევის ნავსაშენ ქარხანაზე (ЮМТ) და უნდა აღინიშნოს, რომ მილსადენის ორმაგ სტატიურ წნევის მიხედვით გამოცდის დროს მიღებული იყო სავსებით დამაკმაყოფილებელი შედეგები.

საგენერატორო შენობა მეტად მომარჯვებულად არის მოთავსებული ბუნებრივ კლდოვან ჭრილში და ეყრდნობა მტკიცე ქვაკირს, რომელიც ჩაფენილია ნარიყის ქვემოდ 4—5 მეტრის სიღრმეზე. ტურბინა, (750-850) ც. ძ. ლენინგრადის ლითონის ქარხანაშია გაკეთებული (ლენინგრ. „მაშინოსტროი") თარზულია, წყლის მოწოდება მაში ხვეულად სწარმოებს, ბრუნვა—600 ბრ./მ. უდრის. იგი შეერთებულია „სეტ"-ის ხარკოვის ქარხანაში დამზადებულ სამფაზიან 6.600 ვ. ძინვის გენერატორთან.

ტურბინის და გენერატორის შუა მოთავსებულია ფოლადის მქნევარი. აღმგზნებელი დადგმულია გენერატორის ღერძის გაგრძელებაზე.

განმრიგი ფარები და მთელი ელექტრიული აპარატურა მოთავსებულია მეორე სართულში, რომელიც აივნის მსგავსად გამოდის შენობის დარბაზში. მაღალი ძინვის სალტეები და 22.000 ძინვის გამოსასვლელები მოთავსებულია მე-3 სართულში. სამანქანო დარბაზს აქვს ხიდისებური ამწე, რომელიც ამუშავდება ქვემოდან ჯაჭვის შემწეობით.

ამჟამად დადგმულია ერთი ტურბოგენერატორი და ერთი ტრანსფორმატორი, მე-2 და მე-3-თვის კი დამზადებულია დასადგამი ადგილები. მე-2 აგრეგატის დასადგმელად გათვალისწინებულია, მილსადენის ტოტები, ამჟამად ყრუდ დახურული. აწყობა მეორე აგრეგატისა და ტრანსფორმატორისა, რომელიც შეკვეთილია „სეტ"-ში 1926 წელში, მოხდება მიმდინარე წლის შემოდგომისათვის.

ტურბინას აქვს ბრუნვის ავტომატიური ზეთის რეგულიატორი და აგრეთვე წნევის რეგულიატორიც.

ელგადამცემ ხაზის ძინვა არჩეულია 22.000 ვ., სოფლებისა და მცირე მოტორიან დანადგართათვის გამოსაყენებელ ელგადაცემის ხაზების დატვირთვასთან დაკავშირებით, რომლებიც მოითხოვენ უმარტივეს ტიპის სატრანსფორმატორო პუნქტებს.

ამჟამად გაყვანილია ელგადაცემის ერთი ხაზი: აბჰესი-ახალსენაკი-ფოთი სიგრძით 70 კლმ., რომელსაც გზაში აქვს რამდენიმე ქვესადგური: სოფ. ბანძაში, მარტვილში, ქ. ახალ სენაკში და ორი ქ. ფოთში: ერთი—ნავთსადგურში, ხოლო მეორე ქალაქში.

ელგადაცემა სწარმოებს ხის (მუხის ხის) ანძების საშუალებით, გარდა მდ. რიონზე გადასავალ ადგილისა და ელსადგურიდან გამოყვანისა, სადაც დიდ ანძებთან დაკავშირებით, დადგმულია ლითონის ცხრილოვანი ანძები.

1926—27 და 1927—28 წ. წ. ფინანსიურ დახმარების მოწოდებაში მომხდარ მრავალ დაბრკოლებათა და განსაკუთრებულად სუსხიან ზამთრისა გამო, ჰიდრო-სადგურის სამონტაჟო სამუშაონი და ელგადამცემ ხაზის გაყვანა ვერ დამთავრდა 1928 წ. გაზაფხულამდე. მხოლოდ მიმდინარე წლის აპრილის დასაწყისში მოხდა ტურბოგენერატორის და ტრანსფორმატორის საცდელი ამოქმედება.

11-დან 15 აპრილამდე გატარებული გამოცდები საშუალებას იძლევიან სადგური გაშვებული იქნეს 1-ლ მაისიდან სამუშაოდ დროებითი წესით, ვინაიდან მისი საბოლოოდ ექსპლოატაცია დაიწყება მაშინ, როდესაც, ერთის მხრივ, სადგურზე ერთ ტურბინაზე მეტი არა სდგას და იმაზედაც ტრესტს აქვს კიდევ დასამთავრებელი ზოგიერთი სამუშაოები, ხოლო, მეორე მხრივ, უსახსრობისა გამო ვერ არის დამთავრებული ელგადაცემანი ხონი-სამტრედიაზე და ქუთაისზე—არ იქნებოდა სწორი.

ჰიდრო-სადგურის მოქმედების დაწყება ასეთ დროებითი ექსპლოატაციის სახითაც მიზანშეწონილია, ვინაიდან შესაძლებლად ქმნის ენერგიის მოწოდებას ქ. ახალ-სენაკისათვის და ორ დიდ სოფლისათვის, როგორც არიან ს. ბანძა და მარტვილი, აგრეთვე ნაწილობრივად ქ. ფოთისათვის; გარდა ამისა, რაც მთავარია, საშუალება მიეცემა ჰიდრო-სადგურის პერსონალს ამ დროებითი ექსპლოატაციის განმავლობაში შეეჩვიონ მუშაობას და შეითვისონ სამსახურისათვის საჭირო გამოცდილება.

II. ცნობები აბჰესის ღირებულების შესახებ

აბჰესის პირველი რიგის აღმშენებლობის ხარჯები გამოიხატება 1.553.000 მანეთში, აბჰესი—ახალსენაკი-ფოთის ელგადამცემ ხაზის ღირებულების ჩათვლით. სახსრის გაღება ძლიერ შეზღუდულად წარმოებდა, განსაკუთრებით 1924—26 წ. წ. პერიოდში. 1926 წ. 1 ოქტომბრამდე სულ მიღებული იყო მხოლოდ 284.000 მანეთი.

1926—27 წ. მიღებული თანხა უდრიდა 543.000 მან. ხოლო 1927—28 წლისათვის განსაზღვრულია 726.000 მან. ფაქტიურად—კი მხოლოდ 520.000 მანეთია მოცემული, ასე რომ მოკლევადიან სესხის და ტრესტებისადმი აღმშენებლობის დავალიანების ანგარიშები მოითხოვენ დამატებით 206.000 მანეთს.

ხარჯების ძირითადი განაწილება, აბჰესის აღმშენებლობის თითქმის დამთავრებულ ტეხნიკურ ანგარიშის მიხედვით, გამოიხატება შემდეგ ციფრებში:

1. საგუბარი წყალმიმღებით და გამრეცხი რაბებით	98,852
2. არხი გვირაბებით და ხელოვნურ ნაშენებით	88,145
3. საწნეო აუზი	47,530
4. საწნეო მილსადენი სარეგულაციო კოშკით	55.000
5. წყალსაგდები	12.000
6. საგენერატორო შენობა	127,912
7. საგენერატორო შენობის ელექტრო-მექან. მოწყობილობა	156,293
8. საცხოვრებელი ბინები	23.103
9. ელგადაცემის ხაზი	344.350
10. ჭინვის დამწევ ქვესადგურები	58.200
11. დროებითი ნაგებობანი	24.413
12. მასალის და მოწყობილობის ტრანსპორტი	68.681
სულ . . .	1.104.482
13. მასალა და ინვენტარი	44.055
14. საადმინისტრაციო-სამეურნეო ხარჯები და ხარჯები ფინანსიურ ოპერაციებისა	404.463
სულ . . .	1.553.000

ამ ციფრებიდან ჩანს, რომ აღმშენებლობის საადმინისტრაციო-სამეურნეო ხარჯები დაახლოვებით 26 პროც. შეადგენენ. ეს ძლიერ დიდი ციფრია და თითქმის სამჯერ აღემატება ჩვეულებრივ ნორმას, რაც აიხსნება აღმშენებლობის დიდის გაჭიანურებით და მოკლევადიან საბანკო ოპერაციების ხშირი გამოყენებით.

ნაგებობათა ძირითადი ღირებულების თანხიდან, რომელიც უდრის 1.104.482 მან.—თვით ჰიდროსადგურზე (22.000 ვ. სალტემდე) მოდის 701.932 მ. (ანუ 64 პროც.), ხოლო ელგადაცემაზე და ქვე-სადგურებზე—402.550 მ. (ანუ 36 პროც.). საერთო ხარჯებიც, რომ იმავე პროპორციის მიხედვით გავანაწილოთ, მივიღებთ სრულს ღირებულებას:

ჰიდროსადგურისას	988.432 მ.
ელგადაცემისა და ქვე-სადგურისას	564.568 მ.
სულ . . .	1,553.000 მ.

მეორე აგრეგატის დადგმა გამოიწვევს შემდეგ ხარჯებს: 85000 მ. უნდა მიეცეს „სეტ"-ს, აგრეგატის დადგმაში, რომლიდანაც 18.750 მ. გადახდილია 1926—27 წ., ა.-კ. ს. ფ. ს. რ. სახკომსაბჭოს მიერ საამისოდ გაცემულ თანხებიდან,—25.000 მ. სამონტაჟო სამუშაონი და საადმინისტრაციო-სამეურნეო ხარჯები. სულ 110,000 მან.

ამდენივე დაჯდება მე-3 აგრეგატის დადგმაც. მეორე რიგის ელგადამცემ ხაზის გაყვანა ხონი-სამტრედია, ჭინვის დამწევ ქვე-სადგურით, მოითხოვს 180.000 მან. ხარჯებს.

აბჰეს-ხონი-ქუთაისის ელგადამცემი ხაზი, რომლის გაყვანას, ჭინვის დამწევ ქვე-სადგურის აგებასთან ერთად, საქართველოს ს. მ. უ. ს. აწარმოებს, მომავალში რიონჰესთან შესაკავშირებლად, ხოლო ამ უკანასკნელის ამოქმედებამდე—ქუთაისის ბარიტის ქარხნისა და აბრეშუმის ფაბრიკის დროებით და ნაწილობრივ საკვებად, დაჯდება 330.000 მ.

ამ ელგადაცემათა მნიშვნელობას ქვემოდ შევეხებით, როდესაც შეუდგებით აბაშის ჰიდრო-სადგურის დატვირთვის შესახებ საკითხის განხილვას.

ჰიდრო-სადგურის ღირებულება სიმძლავრის (2600 ც. ძ. მუდმივი სიმძლავრის) ერთეულზე ერთი ცხენის ძალისათვის იქნება

$$\frac{988.432+220.000}{2600}=465 \text{ მ.}$$

ანუ 1 კვტ.—630 მ.

ამ ღირებულებაში, რომ საადმინისტრაციო-სამეურნეო ხარჯებს ნორმაზე—10 პროც. არ გადაეჭარბებია (ფინანსიურ დახმარების ნორმალურად მოწოდების შემთხვევაში)—1 ცხ. ძალისათვის მივიღებდით

$$\frac{780.000+220.000}{2600}=385 \text{ მ.}$$

ანუ 1 კვტ.—520 მ.

III. ჰიდრო-სადგურის დატვირთვა

დატვირთვის მხრივ აბაშის ჰიდრო-სადგური უეჭველად უზრუნველყოფილად უნდა ჩაითვალოს, ვინაიდან უკვე ამოქმედების მომენტისათვის, მისი რაიონის მოთხოვნილება არა თუ მარტო დაფარავს მთელ მის პირველ რიგის სიმძლავრეს, არამედ კიდევაც მნიშვნელოვნად გადააჭარბებს მას.

მას მხოლოდ მოკლე დროის განმავლობაში (რიონჰესის გახსნამდე) მოუხდება მომხმარებელთა ერთ ნაწილისათვის ენერგიის შეზღუდულად გაცემა. ეს უმთავრესად ქუთაისის რაიონს ეხება, რომელსაც ენერგია ესაჭიროება მიმდინარე წელში დასამთავრებელ წარმოებათათვის და ქ. ქუთაისის განათებისათვის, ვინაიდან დიზელის დაძველებისა და გაფუჭების გამო, მისი სადგური ვეღარ მუშაობს; აგრეთვე რიონჰესის საალმშენებლო სამუშაოთათვის, რომელნიც პერიოდულად მოითხოვენ თავის დროებითი თბოსადგურის დამატებად 300—400 ც. ძ. სიმძლავრეს.

აბჰესს ექნება დატვირთვის 4 ძირითადი რაიონი: ფოთის, სენაკის, ხონი-ქუთაისის და სამტრედიისა; ხოლო ხაზების მზადყოფნის ვადების და იმ აბონენტების მიხედვით, რომლებიც ემზადებიან დენის მისაღებათ (მუდმივ დენიდან ცვალებად დენზე გადასვლა), სადგურის ნორმალურ მუშაობის დაწყების შემდეგ, პირველ წლის განმავლობაში გასაცემი ენერგიის საერთო რაოდენობა 600.000 კვტ. საათიდან უკვე მე-3 საექსპლოატაციო წლის დასაწყისში—4.290.000 კვტ. საათამდე გაიზრდება.

დატვირთვის ოდენობა და სახე წარმოდგენილია აქვე მოყვანილ ცხრილში, რომელიც დაყოფილია სამ პერიოდათ ელგადამცემ ხაზების და აბონენტების მზად ყოფნის მიხედვით.

აბჰესის დატვირთვის ცხრილი (კილოვატ—საათი წლის განმავლობაში).

დატვირთვის ხასიათი და ადგილი	1-ლი წელიწადი აბჰეს-სენაკი-ფოთის ხაზის მზად ყოფნა			მე-2 წელიწადი აბჰეს-ხონი-ქუთაისის ხაზის მზად ყოფნა			მე-3 წელიწადი ხონი-სამტრედიის ხაზის მზად ყოფნა		
	განათება	ძრავები	სულ	განათება	ძრავები	სულ	განათება	ძრავები	სულ
I. ფოთი									
ქალაქი	140.000	—	140.000	180.000	—	180.000	200.000	—	200.000
სადგური	20.000	10.000	30.000	20.000	10.000	30.000	22.000	10.000	32.000
ნავთსადგური	50.000	50.000	100.000	60.000	70.000	130.000	68.000	90.000	158.000
ძრავები	—	195.000	195.000	—	220.000	220.000	—	220.000	220.000
სულ	210.000	255.000	465.000	260.000	300.000	560.000	290.000	320.000	610.000
II. სენაკი									
ახ. სენაკი	90.000	25.000	115.000	120.000	40.000	160.000	135.000	50.000	185.000
ბანძა	10.000	—	10.000	10.000	—	10.000	—	—	—
მარტვილი	10.000	—	10.000	10.000	—	10.000	25.000	—	25.000
სულ	110.000	25.000	135.000	140.000	40.000	180.000	160.000	50.000	210.000
III. ხონი-ქუთაისი									
ქ. ქუთაისი	—	—	—	500.000	1.500.000	2.000.000	550.000	1.600.000	2.150.000
რიონჰესი	—	—	—	50.000	500.000	550.000	50.000	500.000	550.000
ხონი	—	—	—	100.000	100.000	200.000	110.00	110.000	220.000
სულ	—	—	—	650.000	2.100.000	2.750.000	710.000	2.210.000	2.920.000
IV. სამტრედია									
ქ. სამტრედია	—	—	—	—	—	—	80.000	20.000	100.000
რკ. გზ. წყალსადენი	—	—	—	—	—	—	—	200.000	200.000
სადგური	—	—	—	—	—	—	80.000	—	80.000
მაცივარი	—	—	—	—	—	—	—	100.000	100.000
რკ. გზ. დეპო	—	—	—	—	—	—	—	70.000	70.000
სულ	—	—	—	—	—	—	160.000	390.000	550.000
ხოლო მთლად	—	—	600.000	—	—	3.490.000	—	—	4.290.000

ცხრილში მოყვანილი დატვირთვა სრულებით რეალურია, ვინაიდან შეიცავს ან უკვე არსებულ ან მიმდინარე წელში დასამთავრებელ წარმოებათა მოთხოვნილებებს. აქ არ არის გათვალისწინებული ფოთის ნავთსადგურის მექანიკური მტვირთავი მოწყობილობანი და არც მაცივარი, რომელიც ამჟამად შენდება ფოთში, ვინაიდან მუშაობაში მათი ჩაბმა ამ ორი წლის განმავლობაში არ არის სავსებით გამორკვეული.

გარდა ამისა ამ ორ არა ნაკლებ 1500—1600 ც. ძ. დატვირთვის დაფარვას, აბჰესი ვერ მოახერხებს, თუ მას არ მიეშველა რიონჰესის პარალელური მუშაობა.

უკვე ქუთაისის რაიონის კვება ჰიდროსადგურისათვის შესაძლოა მხოლოდ მე-2 აგრეგატის დადგმის და რიონჰესის დროებითი თბოსადგურის (6.600 ვ. სამფაზიან დენის) დახმარების შემთხვევაში; აგრეთვე სამტრედიის რაიონის ჩართვისათვის საჭირო იქნება მესამე აგრეგატის დადგმა და რიონჰესის დროებითი თბოსადგურის საღამოობით ამუშავება. მაგრამ ასეთ შემთხვევაში მთელ ამ სისტემას აღარ ექნება არავითარი რეზერვი.

მეორე და მესამე საექსპლოტაციო წლისათვის, აღვრიცხავთ—რა კაპიტალის*), ამორტიზაციის და დანარჩენ ხარჯების პროც., მივიღებთ ელსადგურის ყოველწლიური ხარჯების სრულ თანხას 119.600—მ.; დენის თვით ღირებულებას ელსადგურის 22.000 ვ. სალტებზე იქნება: მე-2 წლისათვის წელიწადში 3.490.000 კვტ. ს. გაცემის შემთხვევაში 3,4 კაპ. მე-3 წლისათვის წელიწადში 4.290.000 კვტ. ს. გადაც. შემთხვევაში 2,8 კაპ.

მაგრამ თუ ანგარიშს გაუწევთ ექსპლოატაციის პირველ პერიოდის პირობებს, აგრეთვე გაუთვალისწინებელ და აღურიცხველ ხარჯებს, უფრო მიზანშეწონილი იქნება, რომ თვითღირებულება 22.000 ვ. სალტებზე ვივარაუდოთ 25 პროც. თადარიგით, სახელდობრ:

მე-2 წლისათვის—4,2 კაპ. კვტს.
მე-3 წლისათვის—3,5 კაპ. კვტ.

ჰიდროსადგურის ზემოაღნიშნულ დატვირთვათა განსახორციელებლად საჭიროა, როგორც ვსთქვათ, ორი ელგადამცემი ხაზი: ერთი—აბჰესი-ხონი-ქუთაისი —38 კლმტ. სიგრძისა, ხოლო მეორე ხონი-სამტრედია—22 კლმტრ.

პირველი მათგანი, რომლის ღირებულება უდრის 330.000 მ. ქვესადგურების შიგ ჩართვით—სრულდება ხარჯების გადატანით მის მომხმარებლებზე ქ. ქუთაისის ბარიტის და კირის ქარხნებზე, აბრეშუმის და მაუდის ფაბრიკებზე და რიონჰესზე, მათთვის საჭირო სიმძლავრისა და ენერგიის მოთხოვნილების მიხედვით.

მეორე, 180.000 მ. ღირებულებით, ქვესადგურის შიგ ჩართვით, უნდა განხორციელდეს ა. კ. რკინის გზასთან შეთანხმებით, ვინაიდან აბჰესი დიდ მნიშვნელობას წარმოადგენს სამტრედიის რკინის გზის კვანძისათვის.

იმავე დროს, დატვირთვის ზემოაღნიშნულ ცხრილის განსახორციელებლად აუცილებელ პირობას წარმოადგენს მე-2 აგრეგატის უკვე მიმდინარე საბიუჯეტო წელსვე დადგმა, ხოლო მე-3 აგრეგატისა—მომავალ საბიუჯეტო წელში.

ამ პირობის გარეშე ჰიდროსადგურის ნორმალური მუშაობის უზრუნველყოფა მოუხერხებელია და ასეთი შეიძლება წარმოებდეს სადგურის მხოლოდ დროებითი ექსპლოატაციის და ხანგრძლივ გამოცდის წესით.

IV. პერსპექტივები

1928 წ. 1 მაისი მშრომელთა დღესასწაული—აბჰესის ფაქტიურ ამუშავების პირველი დღე—ამოუშლელ თარიღად დარჩება სამეგრელოს მუშებისა და გლეხების მეხსიერებაში. ამ დღის მნიშვნელობა მოკლე ხანში აშკარა გახდება აგრეთვე სამტრედიის მთელ რაიონისათვის და საერთოდ ქუთაისის მაზრის საგრძნობ ნაწილისათვისაც.

საბჭოთა საქართველოს არ შეუძლია არ აღნიშნოს აბჰესის ამუშავების დღე, ვინაიდან აბჰესი ეს კიდევ 1 და მასთან მნიშვნელოვანი მიღწევა და ნაბიჯია სახალხო მეურნეობის აღორძინების ფრონტზე.

ეს მიღწევა მით უფრო მნიშვნელოვანია, რომ აბჰესის შესაძლებლობანი არ ამოიწურება იმ 2.660 ცხ. ძ. სიმძლავრით, რომლის დადგმა ამ ორ-სამ წელიწადში იქნება განხორციელებული.

ჩვენს წინაშე ისახება ასეთი პერსპექტივები: ერთის მხრივ—აბჰესის რიონჰესის ელგადაცემის ქსელში ჩართვა (რაც საგრძნობ გავლენას მოახდენს აბჰესის ეკონომიურ და ტეხნიკურ შესაძლებლობაზე) და, მეორე მხრივ—თვით აბჰესის სიმძლავრის შემდეგში მომატების საკითხი, რომელსაც ამჟამად ვამუშავებთ (რეგულიაციის შემოღება აბაშის ზემო ნაწილში წყალსაცავის მოწყობით, მიზობელ მდინარე—წახურის—აბაშაში გადაყვანით).

დიდია პერსპექტივები და შესაძლებლობანი სამეგრელოს და ხონი-სამტრედია-ქუთაისის რაიონისა—დიდი უნდა იქნეს აგრეთვე ჩვენი მშრომელი მასების და ჩვენი ტეხნიკურ-ეკონომიური ძალების მომუშავე ინტელიგენციის ენერგია ამ პერსპექტივების ცალკე ნაწილების დამუშავება-განხორციელების დროს. მხოლოდ ამ სახით გამოვალთ ჩვენ, ჩვენი რესპუბლიკა, იმ მტკიცე გზაზე, რომელსაც ვუწოდებთ [illegible].

ინჟ. ბეს. ჭიჭინაძე.

---

*) თუ ანგარიშს გაუწევთ ზემოაღნიშნულ საერთო და საადმინ.-სამეურნეო ხასიათის დიდ ხარჯებს, რომელიც გამოწვეულია აღმშენებლობის ხანგრძლივობით.

1905 წ. დაბადებულთა გაწვევა ტერშეკრებაზე

სრულიად საქართველოს ცენტრ. აღმასრულებელი კომიტეტის ცირკულიარი

აფხაზეთის მოკავშირე სსრ-ისა, აჭარისტანის ავტ. ს. ს. რ-ისა, სამხრეთ-ოსეთის ავტ. ოლქის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებს, ყველა მაზრაღმასკომებს და ფოთის ქ. საბჭოს.

მიმდინარე წლის მაისის 15-სათვის გაწვეულ უნდა იქნენ სამთვიანი შეკრების გასავლელად 1905 წელს დაბადებული მოქალაქენი, რომელნიც მიწერილ არიან ტერიტორიალურ ნაწილზე.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის ტერიტორიაზე ხსენებულ გაწვევას ჩაატარებს ამხ. ფრუნზეს სახელობის მე-2 ქართული მსროლელი დივიზია.

როგორც მაზრაღმასკომებმა, ისე საბჭოთა ძირეულმა ორგანოებმა ყოველგვარი ზომები უნდა იხმარონ რათა უზრუნველყოფილ იქნეს გასაწვევი ახალგაზრდობის თავის დროზე გამოცხადება.

მოსახლეობას ზედმიწევნით უნდა ეცნობოს—სად, რა დღეს და რომელ საათზე უნდა მოხდეს ახალწვეულების გამოცხადება, რისთვისაც დღე და საათი ახალწვეულების გამოცხადებისა სათანადო ტერიტორიალურმა ნაწილმა თავის დროზე უნდა გამოაცხადოს.

მაზრაღმასკომებისა და ქალაქებისა, აგრეთვე თემების საბჭოების მორიგ სხდომებზე და პლენუმებზე გაწვევის საკითხი გაშუქებულ უნდა იქნეს ინფორმაციის წესით, ხოლო მოქალაქეთა საერთო ყრილობაზე, სადაც ასეთი იქნება მოწვეული მაისის 15-მდე განხილულ უნდა იქნეს საკითხი გაწვევის წესისა და მნიშვნელობის შესახებ.

აღსანიშნავია, რომ წინა წლების გაწვევის განხორციელების საქმეში თავი იჩინა ზოგიერთმა ნაკლმა. იყო შემთხვევა, მაგალითად რომ ზოგიერთი დაწესებულებისა და ფაბრიკა-ქარხნის ადმინისტრაციამ გაწვეული ახალგაზრდები მოხსნა სამსახურიდან, რაც საკავშირო შრომის სახალხო კომისარიატის 1927 წლის 138 №-ის ინსტრუქციას ეწინააღმდეგება. ამ ინსტრუქციის ძალით გაწვეულ ახალგაზრდობას უნდა მიეცეს 15 დღის ხელფასი და შეინარჩუნოს სამსახური.

ზემოაღნიშნულის ზედმიწევნით განხორციელებისათვის ხელისუფლების ადგილობრივ ორგანოებს ევალებათ იხელმძღვანელონ ზემოხსენებული შრომის სახალხო კომისარიატის 1927 წლის ივნისის 20-ის თარიღით გამოცემულ 138 №-ის ინსტრუქციით განსაკუთრებით კი ამ ინსტრუქციის მე-5 თავით.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე—ფ. მახარაძე.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივნის მაგიერ—დ. აფციაური.

1928 წ. 28 აპრილი.

მკითხველთა წერილებიდან

მეთევზეობის საქმე ჩვენში

ამხ. ს. ლომიძე თავის წერილში—„ერთი კითხვის გამო“, ეხება საქართველოს ბუნებრივ სიმდიდრეების გამოუყენლობის საკითხს და ჩვენში სამეურნეო ორგანოების ყურადღებას მიაქცევს მეთევზეობის საქმის განვითარებაზე.

„ცნობილია, სწერს ავტორი, რომ საქართველო მდიდარია მდინარეებით, რომელნიც საქართველოსვე ტერიტორიაზე ერთვიან ზღვას. ასეთებია მაგალითად, სუფსა, ნატანები, რიონი, ენგური და სხვ.

მტკვარში, კასპიის ზღვის შესართავთან 80—100 კილომეტრის მანძილზე არსებობს თევზის სარეწაოები, რომელნიც დიდ. შემოსავალს აძლევენ სახელმწიფოს. რატომ არ შეიძლება ასეთივე სარეწაოების მოწყობა რიონზე, ენგურზედ, სუფსაზედ და სხვ? როგორც ვიცით, შავი ზღვა, რომელსაც ერთვის ეს უსახელები მდინარეები, არანაკლებ მდიდარია თევზით, ვიდრე კასპის ზღვა. თუ მტკვარის შესართავთან გაშენებული სარეწაოები უმთავრესად მუშაობენ კასპის ზღვიდან შემოსულ თევზზე, რატომ არ შეიძლება მუშაობა ასეთსავე სარეწაოებს შავი ზღვიდან შემოსულ თევზზე მდინარე რიონის, ნატანების, სუფსის და სხვების შესართავთან?

ავტორი შემდეგ აღნიშნავს, რომ შეიძლება ამ საქმის ორგანიზაციას აფერხებს ჩვენი ფინანსიური ხელმოკლეობა, მაგრამ აქვე დასკვნის:

„თუ ამჟამად არ მოხერხდება საქმის წამოწყება, ყოველ შემთხვევაში, წინასწარი მუშაობა მაინც უნდა იქნეს ჩატარებული, რომ შემდეგში, როცა ამის შესაძლებლობა იქნება, მეთევზეობის საქმე მტკიცე ნიადაგზე ჩაეყაროს ჩვენში“.

აზარტული სათამაშოების შესახებ

თავის წერილში აზარტულ სათამაშოების შესახებ შ. გ. აღნიშნავს, რომ მართალია „ლოტოები“, „პტიშვოები“ და სხვა, ერთგვარ მიზანს ემსახურებიან, სახელდობრ, ისინი წარმოადგენენ ინვალიდთა მატერიალურ უზრუნველყოფის ერთერთ წყაროს, მაგრამ საჭიროა ანგარიში გაეწიოს იმ უარყოფით შედეგებსაც, რომელსაც იწვევს აზარტულ თამაშობის ლეგალიზაცია იმ სახით, როგორც ეს დღეს წარმოუდგენიათ თვით ამ სათამაშოების ხელმძღვანელთ.

„სათამაშოების ადმინისტრაციას, სწერს შ. გ., აქვს გამოკრული განცხადება დიდი ასოებით: „აკრძალულია თამაშობა კომკავშირის და პროფკავშირის წევრებს“-ო. მაგრამ ეს განცხადება უბრალო ქაღალდად რჩება. სათამაშოებში მოსიარულე ხალხის, თუ მთელი ასი პროცენტი არა, 90 პროც. მაინც სწორედ პროფკავშირის წევრებია. ეს კარგად იცის ადმინისტრაციამ, მაგრამ ყურსაც არ იბერტყავს. ალბად იმიტომ. რომ თუ ეს ხალხი არ შევიდა აზარტულ სათამაშოებში, ისინი იმ სარგებელს ვერ მიიღებდნენ, რომელსაც დღეს ეს სათამაშოები აძლევს“.

შემდეგ შ. გ. აღნიშნავს, რომ აზარტულ სათამაშოებში დადიან უმუშევრებიც.

„ყველამ კარგად იცის, განაგრძობს, ავტორი, თუ რა უჯდება პროფკავშირებს უმუშევრების შენახვა. უმუშევრებს პროფკავშირი აძლევს დახმარებას იმისათვის, რომ შეუმსუბუქოს მათ მძიმე მატერიალური მდგომარეობა. ზოგიერთი მათგანი კი ამ ფულს სათამაშოებში აგებს“.

ავტორი დასასრულ მოითხოვს, რათა ამგვარ არანორმალურ მდგომარეობის წინააღმდეგ მიღებულ იქნეს გადამჭრელი ხასიათის ზომები.

მიწების დატაცების წინააღმდეგ

მიწების უგეგმოთ დატაცებამ თბილისის გარეუბნებში უკანასკნელი წლების განმავლობაში ფართე ხასიათი მიიღო. ეს მეტად აბრკოლებს ქალაქის გეგმიან მშენებლობისა და კეთილმოწყობის საქმეს, რაც განსაკუთრებით საჭიროა სწორეთ ქალაქის გარეუბნებში, რომელთაც რევოლიუციამდე ნაკლები ყურადღება ექცეოდა. ამ საკითხს ეხება თავის წერილში ამხ. ს. დოლიძე, რომელიც სწერს:

„თბილისის ქალაქის კომუნალურმა განყოფილებამ დაგეგმა თავისუფალი ადგილები. აქ ყველა მსურველს მშრომელთა წრეებიდან შეუძლია მიიღოს სამოსახლო მიწა. ეს უნდა იცოდეს ყველამ, ვინც ამას ანგარიშს არ გაუწევს და თვითნებურათ დაიტაცებს მიწებს, მისი შრომა უნაყოფოთ ჩაივლის, უნებართვოთ დაუფლებულ მიწაზე აგებული სახლი დაინგრევა.

ავტორის სიტყვით ამ გარემოებას კომუნალურ სექციის ბიურომ უკვე მიაქცია ყურადღება და გამოიტანა მთელი რიგი პრაქტიკული ხასიათის დადგენილებანი მიწების დატაცების წინააღმდეგ. ამ დადგენილებებში, რომელნიც წარდგენილი იქნება დასამტკიცებლად საბჭოში, სხვათა შორის შეტანილია მუხლი, რომლის თანახმად ავტორის სიტყვით:

„დაუყოვნებლივ დაინგრევა ის სახლები, რომელნიც აგებულია უგეგმოთ დატაცებულ მიწებზე. ასეთ სახლების პატრონებს სამაგიეროდ მიეცემათ სხვა თავისუფალი ადგილები სახლების ასაშენებლად“.

ამხ. ს. დოლიძის აზრით გადამჭრელი ხასიათის ღონისძიებამ უნდა იმოქმედოს იმათზე, რომელნიც, მიუხედავად არა ერთი გაფრთხილებისა, მაინც განაგრძობენ მიწების დატაცებას და ხელს უშლის მუშათა რაიონების კეთილმოწყობას.

საბინაო კოოპერაციის რწმუნებულთა მეორე ყრილობა

უკანასკნელი სხდომა

გუშინ დამთავრდა საქ. საბინაო კოოპერაციის რწმუნებულთა მეორე ყრილობა.

ყრილობამ ბინათ-კავშირის გამგეობის მუშაობა საანგარიშო პერიოდში სცნო დამაკმაყოფილებლად.

ბინათ-კავშირის მომავალი მუშაობისათვის

აზრთა გაცვლა-გამოცვლის შემდეგ ყრილობამ ბინათ-კავშირის მომავალი მუშაობის განამტკიცებლად საჭიროდ სცნო შემდეგი ღონისძიებების გატარება: ბინათ-კავშირის საერთო მუშაობის და მისი ფინანსიური ოპერაციების გაფართოების გამო გამგეობას ეძლევა უფლება ვადიანი კრედიტის რაოდენობა 500.000 მანეთამდე. გამგეობამ ზომები უნდა მიიღოს აგრეთვე, რომ საბინაო კოოპერაციის ფაქტიურ ზრდასთან, მისი საპაიო თანხის გადიდებასთან შეფარდებით გაფართოებულ იქნეს საბინაო კოოპერაციის ხვედრითი წონა საერთო მშენებლობაში. ადმინისტრატიულ სამეურნეო ხარჯების შემცირების მიზნით უნდა გაგრძელდეს ამხანაგობათა აპარატის რაციონალიზაცია, და აგრეთვე მუშაობა მშენებლობის გასაიაფებლად. ამ მიზნით მიღებული უნდა იქნეს ღონისძიებები სამშენებლო მუშაობათა გასაერთიანებლად, სახლების ახალ პროექტების ჩვენს ყოფა-ცხოვრების პირობებთან შესაფარდებლად, ორგანიზაციული ხარჯების შესამცირებლად, სამშენებლო მასალების სტანდარტიზაციით და მაღალი ხარისხის [illegible] გასამარტივებლად. საბინათ კოოპერაციის ფინანსიური მდგომარეობის განამტკიცებლად ყრილობა საჭიროდ სცნობს საპაიო დავალიანების სრულ ლიკვიდაციას და აგრეთვე შუამდგომლობის აღძვრას მთავრობის წინაშე იმის შესახებ, რომ ბინათ-კავშირი ყოველწლიურად შეტანილ იქნეს კოოპერაციის გრძელვადიანი საკრედიტო ფონდის განაწილების გეგმაში.

ბინათ-კავშირის 1928 წლის სამუშაო გეგმის დამტკიცება ყრილობამ მიანდო ახალ საბჭოს.

ბინათ-კავშირის სამმართველოს და საკონტროლო ორგანოების არჩევა

დასასრულ ყრილობამ აირჩია ბინათ-კავშირის სამმართველო და საკონტროლო ორგანოები.

ბინათ-კავშირის საბჭოში არჩეულ იქნენ: ამხ. ხვედელიძე, ბაბუნაშვილი, ბასილია, ათაბეგოვი, ელიაშვილი, მელიძე, ვოლკოვი; ტარიტაძე, ოდიშელიძე, თედეშვილი, დუგლაძე, შ. ნადირაძე, გაბისონოვი, ქადეიშვილი, მურატოვი, ჯაიანი; ჟიგალცევა, თენიეიშვილი ს., ლევიცკი კ., დავლიანიძე კ., ბრეგვაძე, ბახტაძე, ხარიძე, და თითო წარმომადგენელი სამხრეთ-ოსეთიდან და აფხაზეთიდან.

გამგეობაში არჩეული არიან: გარიშვილი, ბუჯიაშვილი, მინტინი, ბაკურაძე, ხელაძე, სახოკია, რაზმაძე, დევდარიანი; ჩხაიძე; ფერაძე და ტატულაშვილი; სარევიზიო კომისიაში: ქობულია, არაბაჯიანი, თუხარელი, ზღუდიაშვილი და კვიტაძე.

თავდაცვა-ავიაქიმის თბ. საქალაქო კონფერენცია

კონფერენციის უკანასკნელ სხდომაზე, რომელიც შესდგა 28 აპრილს საღამოს 7 საათზე, გრძელდებოდა კამათი თბილისის საბჭოს საანგარიშო მოხსენების გარშემო. კამათში გამოსული ამხანაგები აღნიშნავდნენ, რომ აუცილებლად საჭიროა ავიაქიმის უჯრედების პრაქტიკულ მუშაობაში სპეციალისტების ფართოდ ჩაბმა, საჭიროა ყურადღება მიექცეს სოფლად მუშაობას, რადგან დღევანდლამდის ავიაქიმის მუშაობა სოფლად საგრძნობლად ჩამორჩებოდა. აღნიშნულ იყო აგრეთვე ლიტერატურის სიმცირე ქვედა უჯრედებისათვის.

კამათის დასრულების და საბოლოო სიტყვების შემდეგ მიღებულ იქნა რეზოლიუციები კონფერენციაზე გაკეთებულ მოხსენების ირგვლივ.

დასასრულ, კონფერენციამ აირჩია თბილისის საბჭო 59 კაცის და სარევიზიო კომისია 19 კაცის შემადგენლობით.

ამხ. ლ. აბაშიძის საბოლოო სიტყვის შემდეგ კონფერენცია დაიხურა.

საზაფხულო ექსკურსიები

ექსკურსიებისათვის ხელმძღვანელობის გასაწევად, წელს თბილისში იმუშავებს რუსეთის განათლების სახ. კომისარიატის გაერთიანებულ საექსკურსიო ბიუროს თბილისის განყოფილება, საქ. განათლების კომისარიატის პოლიტგანათლების სამმართველოს და პროფკავშირთა საბჭოს საექსკურსიო ბიუროები.

გარდა ამისა, საექსკურსიო საქმის გასაცხოველებლად თბილისში არსდება საქართველოს საექსკურსიო ტურისტული საზოგადოება, რომელიც ამჟამად ორგანიზაციული ჩამოყალიბების პროცესშია.

საექსკურსიო სეზონი გაიხსნება 10 ივნისს. ამჟამად სწარმოებს საექსკურსიო ბაზების მოწყობა, ლექტორებისა და ხელმძღვანელების შერჩევა.

წელს საქართველოში ექსკურსიები მოეწყობა 5 მიმართულებით. მათ შორის ოთხი საქართველოს სამხედრო გზა-ტკეცილზე და მეხუთე—სოხუმის სამხედრო გზატკეცილის მიმართულებით.

აღნიშნულ გზებზე რუსეთის საექსკურსიო ბიუროს მიერ მოწყობილი იქნება საექსკურსიო ბაზები, სადაც ექსკურსიის მონაწილენი მიიღებენ საკვებს და დაისვენებენ. ამავე ბაზებთან მოეწყობა სამედიცინო პუნქტები ექსკურსანტებისათვის საჭირო დახმარების აღმოსაჩენად.

ასეთი ბაზები გაიხსნება ყაზბეგში, ფასანაურში, თბილისში და ბათომში.

სოხუმის სამხედრო გზაზე მოეწყობა ორი საექსკურსიო ბანაკი, ერთი უღელტეხილის სამხრეთ ნაწილში, მეორე ჩრდილოეთის ნაწილში.

პოლიტგანათლების სამმართველოსთან არსებული საექსკურსიო ბიურო თავის მხრივ აწყობს 7 ბაზას საქართველოს სამხედრო გზა-ტკეცილზე: ქვეშეთში, ყაზბეგში, გუდაურში, ფასანაურში, ანანურში, დუშეთში და მცხეთაში. გარდა ამისა ბიურო ბაზებს აწყობს თბილისში, ქუთაისში, ბორჯომში, ბათომში, სოხუმში და გაგრაში.

ბიუროს აგრეთვე განზრახული აქვს მოაწყოს ექსკურსიები საქართველოდან საბჭოთა კავშირის მსხვილ სამრეწველო ცენტრებში.

საექსკურსიო მუშაობას წელს განსაკუთრებული ყურადღებით ეკიდება პროფკავშირთა საბჭო, რომელსაც ექსკურსიების ჩასატარებლად გამომუშავებული აქვს შესაფერი დაწვრილებითი გეგმა.

პროფკავშირების საექსკურსიო მუშაობის ძირითადი ამოცანაა მუშებისათვის საქართველოს და მეზობელ რესპუბლიკების მრეწველობის მიღწევების და საერთო მდგომარეობის გაცნობა: პროფკავშირთა საექსკურსიო ბიურო ექსკურსიებს მოაწყობს, როგორც საქართველოში, ისე აზერბეიჯანში, სომხეთში და საბჭოთა კავშირის სხვა სამრეწველო რაიონებში. პირველი ექსკურსია პროფკავშირთა საექსკურსიო ბიუროს ხელმძღვანელობით უკვე გაემგზავრა გუშინ ბაქოში. ექსკურსიაში შედის 50 კაცი.

ექსკურსიაში მონაწილე პროფკავშირის წევრებს მიეცემათ რკინის გზის შეღავათიანი ბილეთები. პროფკავშირების ექსკურსიები ისარგებლებენ პოლიტგანათლების საექსკურსიო ბაზებით.

ასფალტის მადნეში შირაქის ველზე

ამ ერთი კვირის წინად სიღნაღის სამაზრო აღმასკომმა შეატყობინა ს. მ. უ. ს. სამთო სამმართველოს, რომ შირაქის ველზე აღმოჩენილია ასფალტის მადნები, აღმასკომი ითხოვდა მადნების ადგილობრივ დასათვალიერებლად და გამოსაკვლევად გეოლოგის გამოგზავნას.

სამთო განყოფილებამ მადნების შესასწავლად მიავლინა გეოლოგი ბახტაძე, რომელიც გუშინ დილით დაბრუნდა თბილისში.

გეოლოგ ბახტაძის ცნობით, შირაქის ასფალტი წარმოადგენს ბუნებრივ ასფალტს, რაც ძალიან იშვიათია. ასფალტის მადანი შირაქის ველზე დიდ სივრცეზე მოიპოება და მარაგიც დიდია.

ს. მ. უ. ს. სამთო განყოფილებაში ამჟამად სწარმოებს შირაქის ველზე ასფალტის მადნების დამუშავების გეგმის შედგენა.

გრიგოლ ვეშაპელის ნეშთის ჩამოსვენება

პარიზიდან მიღებული ცნობების თანახმად, ა. წ. პირველ მაისს ბათომში ჩამოასვენებენ ცნობილ საზოგადო მოღვაწის გრიგოლ ვეშაპელის ნეშთს.

ამის გამო, საქ. მწერალთა ფედერაციის საბჭოს პრეზიდიუმმა თავის სასწრაფო სხდომაზე იქონია თათბირი, სადაც გადაწყდა, რომ ტრაგიულად გარდაცვალებულ საზოგადო მოღვაწის დაკრძალვა თბილისში გადაიქცეს საზოგადოებრივ ძალთა დემონსტრაციად იმ ვერაგულ საქციელის წინააღმდეგ, რომელიც ჩადენილ იქნა ცნობილ პოლიტიკურ მოღვაწის მიმართ ემიგრაციის ბნელი ძალებისაგან.

სხდომამ აირჩია კომისია ი. გრიშაშვილის, ტ. ტაბიძის, და ს. შანშიაშვილის შემადგენლობით, რომელიც დღეს, საღამოთი გაემგზავრება ნეშთის მისაგებებლად ბათომში.

თბილისში სამგლოვიარო არჩეულ იქნა კომიტეტი, რომელშიაც შედიან: **ს. აბაშელი, გრ. რობაქიძე, ლ. ჯაფარიძე, შ. დადიანი, ნ. მიწიშვილი, ვ. ბერიძე, პ. გოთუა; მ. ჯავახიშვილი, ი. გრიშაშვილი, ტ. ტაბიძე; ს. შანშიაშვილი, ბ. ჟღენტი; ვ. კოტეტიშვილი** და სხ.

დაკრძალვის დღე ცალკე იქნება გამოცხადებული.

მზადება პირველ მაისის დღესასწაულისათვის

მეორე რაიონში

1 მაისს დილის 8 საათზე მეორე რაიონის მუშა-მოსამსახურენი იკრიბებიან თავიანთ წარმოება-დაწესებულებებში.

დემონსტრაციის წინა ნაწილი ეწყობა პარტიის რაიონულ კომიტეტთან.

დემონსტრაციის მარცხენა მხარეზე—პლეხანოვის პრ. „აპოლოს“ გასწვრივ—ეწყობა მთიელები 800 კაცის შემადგენლობით: მე-7, 8 და მე-9 ჯგუფის მოსწავლეები და ტექნიკუმების მსმენელები.

მარჯვენა მხარეზე—პლეხ. პრ., „აპოლოს“ გასწვრივ—კომუნალური დარგის მუშაკები, მელითონეები, გამო-კვების და ტრანსპორტის მუშაკები.

კარლ მარქსის ხიდის გასწვრივ მარცხენა მხარეზე ეწყობიან განათლების მუშაკები, საბჭოთა და სავაჭრო დაწესებულებების მუშაკები, შინამრეწველები; მარჯვენა მხარეზე—მკერავები, მედიკოსანიტრული მუშაკები, ფიზკულტურის წრეები და მოტოციკლეტები.

1 მაისობა უნივერსიტეტში

სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა კლუბში, ხვალ, 30 აპრილს საღამოს 7 საათზე მუშათა საერთაშორისო დღის—1 მაისის დღესასწაულის აღსანიშნავად შესდგება სტუდენტთა და პედაგოგიურ პერსონალის საზეიმო კრება, რომელზედაც 1 მაისის დღესასწაულის მნიშვნელობის შესახებ მოხსენებას გააკეთებს უნივერსიტეტის რექტორი მალაქია ტოროშელიძე.

მოხსენების შემდეგ ნაჩვენები იქნება კინო-სურათი.

1-ლ მაისს, დილის 8 ს. სტუდენტობა და პედაგოგიური პერსონალი თავს იყრის უნივერსიტეტის ეზოში დემონსტრაციაში მონაწილეობის მისაღებათ.

განათლების მუშაკთა სახლში

ორშაბათს, 30 აპრილს, საღამოს 7 საათზე, განათლების მუშაკთა სახლში შესდგება მოხსენება 1 მაისის შესახებ. მოხსენების შემდეგ—უფასო კინო.

250.000 მანეთი მალარიასთან საბრძოლველად

ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატმა შეიმუშავა 1928—29 საანგარიშო წლის განმავლობაში მალარიასთან ბრძოლის გეგმა. გეგმით გათვალისწინებულია სპეციალური ფონდის შექმნა მალარიასთან საბრძოლველად. ფონდი განსაზღვრულია 250.000 მანეთით. ეს თანხა გამოთხოვილია მომავალი წლისათვის და მთლიანად მოხმარდება მალარიასთან ბრძოლას.

ჯანმრთელობის კომისარიატის გეგმას დართული აქვს ცნობები მალარიის გავრცელების შესახებ საქართველოში. ამ ცნობებით, რესპუბლიკის 10 მაზრა წარმოადგენენ მალარიის გავრცელების რაიონებს. მარტო სენაკის, ზუგდიდის, ოზურგეთის, ქუთაისის, თელავის, სიღნაღის და ბორჩალოს მაზრებში და აჭარისტანსა და აფხაზეთში ყოველწლიურად მალარიით ავათ ხდება 100.000 მეტი კაცი. მალარიით დაავადმყოფება დიდ გავლენას ახდენს სასოფლო-მეურნეობის განვითარებაზე, ვინაიდან მალარიით დაავადებული წელიწადში აცდენს 30 სამუშაო დღეს. გაცდენილი დღეების ფულზე გადაყვანა გვიჩვენებს, რომ სოფლის მეურნეობა მალარიის წყალობით ყოველწლიურად ზარალობს 8 მილიონ მანეთს.

უკანასკნელი აღწერის თანახმად, რესპუბლიკაში სულ აღრიცხულია 30.918 მალარიკი. მთელი რიგი სოფლები მალარიამ გადაშენების გზაზე დააყენა. ასეთი სოფლებია, მაგალითად ჭიკაანი, კუჭატანი, ხაშმიანი და ალავერდი (თელავის მაზრაში), სოფ. ეკალა, ორპირი, სანავარდო და სხ. (ქუთაისის მაზრაში).

მომავალი საბიუჯეტო წლის განმავლობაში მოწყობილი იქნება 15 რაზმი, რომლებიც გაიგზავნება ადგილებზე მალარიასთან საბრძოლველად.

საქართველოს სახკომსაბჭოში

სახელგამის ფინანსიური მდგომარეობის გაჯანსაღება.

სახელგამის ფინანსიურ მდგომარეობის გაჯანსაღების მიზნით სახკომსაბჭომ საჭიროდ სცნო შეტანილ იქნეს მომავალ 1928—29 წ. ბიუჯეტში—500.000 მან. საგამომცემლო სახელგამისათვის დახმარების აღმოსაჩენად.

საექსკურსიო-ტურისტული სააქციო საზოგადოების მოწყობა.

სახკომსაბჭომ მიზანშეწონილად სცნო საქართველოს საექსკურსიო-ტურისტული სააქციო საზოგადოების მოწყობა. განათლების სახალხო კომისარიატს წინადადება მიეცა დეტალურად შეიმუშაოს საექსკურსიო-ტურისტული სააქციო საზოგადოების მოწყობის საკითხი.

საქ. ცაკის სოც. უზრუნველყოფის განყოფილებაში

ნადი „მასწავლებელთა კავშირი“

საქართველოს ცაკის სოც. უზრუნველყოფის განყოფილებამ გუშინ რამოდენიმე ძველ დამსახურებულ პენსიონერ-მასწავლებელს ნება დართო მოაწყონ თბილისში ინვალიდთა კოოპერატიული ნადი (არტელი) „მასწავლებელთა კავშირი“ სახელწოდებით.

გლეხის სახლი ლიუქსემბურგში

ბორჩალოს სამაზ. გლეხკომმა მიიღო დადგენილება ახლო მომავალში ლიუქსემბურგში გლეხის სახლის მოწყობის შესახებ.

ბავშვთა უპატრონობასთან საბრძოლველი ფონდის გასაძლიერებლად

საქართველოს ცაკის სოც. უზრუნველყოფის განყოფილებამ ბავშვთა უპატრონობასთან საბრძოლველი ფონდის გასაძლიერებლად ბავშვთა დახმარების სამდღიურის გამო თავის სპეციალურ საშუალებებიდან აღნიშნულ ფონდში გადარიცხა 1.284 მან. და 50 კაპ.

პენსიები და დახმარებები

საქართველოს ცაკის სოც. უზრუნველყოფის განყოფილებაში წარმოდგენილი ანგარიშების მიხედვით—იანვარში, თებერვალში და მარტში რაჭის სამაზრო აღმასკომის სოც. უზრუნველყოფის განყოფილებამ ინვალიდებს და ნივთიერად გაჭირვებულ მდგომარეობაში ჩავარდნილ პირებს დაურიგა პენსიების და დახმარებების სახით 1.311 მანეთი, ამავე დროს განმავლობაში ახალქალაქის სამაზრო აღმასკომმა მაზრაში სოციალურ უზრუნველყოფის საქმეზე დახარჯა 1.236 მანეთი.

რამდენი დაჯდა საინვალიდო სახლების შენახვა

საქართველოს ცაკის სოც. უზრუნველყოფის განყოფილებამ (აპრილში) თბილისში არსებულ საინვალიდო სახლების შესანახად დახარჯა 5.225 მანეთი და 50 კაპეიკი.

ახალი სამუშაოები ტყვარჩელში

ახალი გზატკეცილის გაყვანა

ტყვარჩელის კომისიამ განიხილა ინჟ. სიმონსონის მიერ წარმოდგენილი გეგმა ოჩამჩირედან ტყვარჩელის მომავალ მაღაროების რაიონამდე ახალი გზატკეცილის გაყვანის შესახებ. გზატკეცილის გაყვანა სულ დაჯდება 130.000 მანეთი, რასაც გაიღებს ტყვარჩელის კომისია საკუთარი თანხებიდან.

ტყვარჩელის კომისიამ ამასთანავე დაავალა გზატკეცილების სამმართველოს დაჩქარებით გამოგზავნოს ტექნიკოსთა პარტია და შეუდგეს გზის გასაყვან სამუშაოებს. პირველ რიგში გზა გაყვანილ უნდა იქნეს ხრეშის დაუყოვნებლივ, რომ ამავე შესაძლებელი გახდეს ზოგიერთი მანქანების და მოწყობილობის გადაზიდვა მომავალ მაღაროების ადგილას.

სამუშაოთა საორიენტაციო გეგმა

მომავალი წლის განმავლობაში ტყვარჩელის კომისიის გეგმაში განზრახულია ჩატარდეს ტყვარჩელის სამრეწველო რაიონში, შემდეგი სამუშაოები: გზების გაყვანა, მაღაროების ამოღების დაწყება, ადგილობრივი ჰიდრო-ელსადგურის აგება, ტყვარჩელის რკინის გზის ხაზის გაყვანა და ნავთსადგურის ასაგები სამუშაოები ქალ. ფოთში.

საგზაო აღმშენებლობისათვის გამოთხოვილია 600.000 მან., მაღაროების სამუშაოთათვის—2.500.000 მან., ჰიდრო-ელსადგურის ასაგებათ—1 მილიონი მანეთი, ნავთსადგურის ასაგებათ—1 მილიონი მანეთი, სულ მომავალი წლის სამუშაოთათვის გამოთხოვილი საორიენტაციო თანხა უდრის 9.500.000 მანეთს.

კურორტების მომარაგება სურსათ-სანოვაგით

საქართველოს ვაჭრობის სახ. კომისარიატი შეუდგა კურორტების და საგარაკო ადგილების სურსათ-სანოვაგით მომარაგების მოწესრიგებას. ვაჭრობის კომისარიატის გამოკვლევით, საკურორტო სამმართველოს თავისი დაწესებულებებისათვის (სავადმყოფოები, სანატორიუმები და დასასვენებელი სახლები) აბასთუმანში მთელი სეზონის განმავლობაში დასჭირდება: — საქონლის ხორცი — 45 ტონა, ცხვრის ხორცი—7,5 ტონა, ერბო—3,4 ტონა, კარაქი—2,5 ტონა, ხაჭო—0,6 ტონა, არაჟანი—0,6 ტონა და ყველი 0,9 ტონა; ბორჯომში: საქონლის ხორცი 14,5 ტონა, ცხვრის ხორცი—2 ტონა, ერბო—2,5 ტონა, კარაქი—1,8 ტონა, ხაჭო—0,35, არაჟანი—0,35 ტონა და ყველი 0,5 ტონა. ბორჯომსა და აბასთუმანს კვერცხი დასჭირდება 270.000 ცალი.

გარდა ამისა, ვაჭრობის სახ. კომისარიატმა დანარჩენ საკურორტო და საგარაკო ადგილების სამაზრო აღმასკომებს დაავალა დაჩქარებით გადმოგზავნონ ცნობები, თუ რამდენი მოაგარაკე იყრის თავს თვითეულ კურორტზე და მათთვის რამდენია საჭირო სურსათ - სანოვაგე. მიღებული ცნობების მიხედვით შემუშავებული იქნება მომარაგების გეგმა და მაისის დამლევიდან ორგანიზაციები შეუდგებიან კურორტების მომარაგებას. ხორცს კურორტებს მიაწვდის „მწყემსი“ და „მაასსპროდუქტი“, კვერცხს „ზაგოსტორგი“ და რძის ნაწარმოებს—„სოფლის კავშირი“.

ქრონიკა

ხორცის ბაზარზე

ორშაბათს, 30 აპრილს, „მასხოტორგ“-ი ბაზარზე გამოუშვებს 600 ფუთ ხორცს, ხოლო „მწყემსი“—200 ფუთს. ხორცს გაჰყიდის კოოპერაციის საყასბოები. მომავალ კვირაში ჩამორეკენ საქონელს და ხორცის ბაზარი დაკმაყოფილებული იქნება.

ორშაბათს, 30 აპრილს, ხორცის გაყიდვა იწარმოებს; საყასბოების მუშაკთა დასასვენებელი დღე გადატანილი იქნება პარასკევისათვის.

პურით ვაჭრობა უქმე—დღეებში

ვაჭრობის სახალხო კომისარიატის რწმუნებულმა საქართველოში ამხ. საკიანმა ჩვენს თანამშრომელს აცნობა, რომ მომავალ უქმე-დღეებში (ინტერნაციონალის დღე—1 და 2 მაისი) თბილისი სავსებით უზრუნველყოფილი იქნება გამომცხვარი პურით.

30 აპრილს ბაზარზე პური გამოშვებული იქნება ორი დღის (30 აპრილის და 1 მაისის), ნორმის რაოდენობით. 1 მაისს ფურნეები დახურული იქნება, ხოლო 2 მაისს პურით ვაჭრობა იწარმოებს ნორმალურათ.

თბილისის აღმასკომში

◆ „წითელი თებერვლის თემი“. თბილისის აღმასკომის დადგენილებით, მცხოვრებთა შუამდგომლობის თანახმად, აგტაბლის თემს ამიერიდან ეწოდება „წითელი თებერვლის თემი“.

◆ პოლიტგანათლების საქმის გასაფართოებლად—პოლიტგანათლების განყოფილება ებრაელთა უბანში აწყობს პოლიტგანათლების კლუბს.

◆ განათლების განყოფილების მუშაობის გასაფართოებლად მე-3 კვარტლის ანგარიშში გადაეცა 902.000 მანეთი.

◆ „პარიზის კომუნის სახ. დისპანსერი“. ტუბდისპანსერს ამიერიდან ეწოდება „პარიზის კომუნის სახელობის დისპანსერი“.

◆ ახალ წამოწყებათა დასამთავრებლად ადგილობრივ მრეწველობის განკარგულებაში თბ. აღმასკომმა გადასცა 17.000 მანეთი.

◆ სასოფლო მეურნეობის გასაძლიერებლად და აგრონომიულ ორგანიზაციების მუშაობის გასაფართოებლად თბილისსა და მის მაზრაში თბ. აღმასკომმა გადასცა 91 ათასი მანეთი.

მეურნეობა

◆ ნამყენი [illegible] ამხანაგობებს გლეხებს შორის გასანაწილებლად გადაეცა 200.000 მეტრი ნამყენი ვაზის ლერწი.

◆ მიწის განოყიერება. კახეთის და საქარის სადგურებში დაიწყო საცდელი მუშაობა სავენახე მიწების მინერალური სასუქებით გასანოყიერებლად.

სხვადასხვა

◆ 1 მაისს დახურული იქნება ყველა სავაჭროები, გარდა მორიგეთ დანიშნულ სანოვაგის სავაჭროებისა. 2 მაისს ყველა სავაჭროებში მუშაობა იწარმოებს ჩვეულებრივად.

◆ დოღი. დღეს, იპოდრომზე გაიმართება დოღი საუკეთესო ჯიშის ცხენების მონაწილეობით.

◆ მუშაობა დაიწყება დილის 8 ს. 1 მაისიდან ყველა სახელმწიფო და კოოპერატიულ დაწესებულებებში მუშაობა დაიწყება დილის 8 ს. და შეწყდება ნაშუადღევის 2 ნახ. ს.

◆ დასასვენებელ სახლებში გასაგზავნად სამედიცინო კომისიაში მუშა-მოსამსახურეთა გატარება დაიწყება 15 მაისიდან.

კრებები და მოხსენებები

◆ მეჯვრისხეველთა კრება. დღეს დილის 10 ს. ლ. სუხიშვილის სახ. კლუბში დანიშნულია მეჯვრისხეველთა საერთო კრება, რომელზედაც განხილული იქნება ქუცხურის წყაროს გაყვანის საკითხი.

◆ სასოფლო-სამ. საზოგადოებაში კვირას, 29 აპრილს საღამოს 7 ს. სახ. უნივერსიტეტის აგრ. ფაკულტეტის დეკანი ვ. კანდელაკი წაიკითხავს მოხსენებას: „როგორი აგრონომი ესაჭიროება საქართველოს სოფლის მეურნეობას“.

◆ „გლავრეზა“-ს წევრთა კრება. დღეს, დღის 9 ს. მუშათა თეატრში შესდგება ინვალიდთა კოოპ. ნადის „გლავრეზა“-ს წევრთა ნახევარწლიური კრება.

◆ საქალაქთაშორისო ტელეფონით შეერთებლობის თბ. კვანძის მოსალაპარაკებელი სადგური გადადის ახალ ბინაზე—რუსთაველის გამზირი № 35, სადგური მუშაობას დაიწყებს 1 მაისიდან.

შემთხვევები

თავის მოწამვლა

გუშინ დილით იოდით თავი მოიწამლა ტონსია ქარდინაროვის ქალმა (მცხ. არარატის ქ., 2) ქარდინაროვა სიკვდილს გადაარჩინეს.

—:—

გუშინ, დილით იაკობ ივანეს ძე გაგილაძემ (მცხ. არსენალის გზატკეცილზე), თვითმკვლელობის მიზნით დალია ნიშადურის სპირტი. გაგილაძე სიკვდილს გადაარჩინეს. თავის მოწამვლის მიზეზი — ოჯახური უსიამოვნება.

უბედური შემთხვევა

გუშინ, დილით, პლეხანოვის პროსპექტზე მოთავსებულ სამჭედლოს თანამშრომელი ალექსი გრიადნოვი (21 წლისა) ავიდა სამჭედლოს შენობის სახურავზე ბრეზენტის გადასაფარებლად. შენობის ბოძზე მან გაება თოკი და დაიწყო ფიზიკური ვარჯიშობა. თოკი გაწყდა და გრიადნოვი ჩამოვარდა მიწაზე და თავი დაასხვია ქვებზე. გრიადნოვს აღმოუჩინეს სასწრაფო სამედიცინო დახმარება და გაგზავნეს რესპუბლიკის საავადმყოფოში.

სავადმყოფოში მიყვანისას გრიადნოვი გარდაიცვალა.

ტრამვაის ქვეშ

გუშინწინ, ღამით თათრის მოედანზე, ქუჩაზე გადასვლის დროს ტრამვაის ვაგონის ქვეშ მოჰყვა 4 წლის ბაჩო ისარბეგოვი (მცხ. ვიზიროვის ქ., 5), რომელიც მძიმედ დაშავდა.

გამოძიებით გამოირკვა, რომ უბედური შემთხვევა არ ყოფილა გამოწვეული ვატმანის დაუდევრობით.

ქურდობა

თბილისის სისხლის სამართლის მილიციამ დააპატიმრა არშაკ ამაზპარისძე ტრონსიაკი და ბაგრატ ბაღდასარისძე ეგიაზაროვი, რომლებსაც ბრალდებათ ჯიბგირობა და ქურდობა.

—:—

ამ რამოდენიმე ხნის წინად გაქურდეს ამიერ-კავკასიის სამხედრო კოოპერატივის მაღაზია (მდებარე აღმასკომის ქუჩაზე) ქურდი დააპატიმრეს სისხლის სამართლის თანამშრომლებმა. იგი აღმოჩნდა ანდრია ივანეს ძე ზაქარეზი;—გაქურდეს ფეხსაცმლების სახელოსნო (მოსკოვის ქ. № 12), წაიღეს 100 მანეთის საოჯახო ნივთები;—გაქურდეს თამარ ჭეჭინაძის ბინა (კერესელიძის ქ. № 4), წაიღეს სხვადასხვა ნივთები.

ბრძოლა წყალდიდობასთან

მტკვრის დონე

გუშინ, თბილისის ჰიდრომეტრიული სადგურის ცნობით, მდინარე მტკვრის დონემ დაიკლო 41 სანტიმეტრით.

ბორჯომში მტკვრის დონე უდრის 283 სანტიმეტრს.

მიმოსვლის აღდგენა

წყალდიდობასთან მებრძოლ საგანგებო კომისიას ქუთაისის მაზრიდან ატყობინებენ: მდ. რიონზე წყალმა დაიკლო 10 სანტიმეტრით. მდინარის წალეკილი ნაპირები გამაგრებულია. დაწყებულია ქუთაის-ბაღდადის გზატკეცილის შეკეთება. გზაზე მიმოსვლა აღდგენილია.

ზუგდიდის მაზრაში

ზუგდიდის მაზრიდან მოსული ცნობებით მდ. ინგურის ნაპირების გასამაგრებლათ ამჟამად მუშაობს 3.000 კაცი. სამუშაოები შესრულებულია 70 პროცენტით.

მდ. ხობის ნაპირების გასამაგრებლად მუშაობს 3.100 კაცი.

ახალციხის მაზრაში

წყალდიდობასთან მებრძოლ ახალციხის სამაზრო სამეულის ცნობით მდ. ქობლიან-ჩაის ეტყობა თანდათანი კლება. დაზიანებული ჯებირები შეკეთებულია.

სატრიკოტაჟო ფაბრიკა ამიერ-კავკასიაში

წელს ამიერ-კავკასიაში განზრახულია ახალი სატრიკოტაჟო ფაბრიკის აგება. ფაბრიკა პირველ ხანებში შეუდგება ქალთა და მამაკაცთა მაღალ ხარისხოვანი წინდების დამზადებას.

საკავშირო ვაჭრობის სახ. კომისარიატმა ფაბრიკის გასახსნელად ამიერ-კავკასიაში გამოყო 45.000 მანეთის საიმპორტო კონტინგენტი. ეს თანხა და შესაფერი მანქანების შემოზიდვის ლიცენზიები გადაეცემა იმ რესპუბლიკის ს. მ. უ. საბჭოს, სადაც დაიწყება ფაბრიკის აგება. ფაბრიკის ასაგებ ადგილის ამორჩევის შესახებ ამ რამოდენიმე დღის წინად ა. კ. საგეგმო კომისიასთან შესდგა სპეციალური თათბირი, რომელზედაც მოხსენებებით გამოვიდნენ—საქართველოს, სომხეთის და აზერბეიჯანის ს. მ. უ. საბჭოების წარმომადგენლები.

თათბირზე წარმოდგენილი მასალები, თუ რომელ რესპუბლიკაში უნდა გაიხსნას ფაბრიკა ცნობილი იქნა არადამაკმაყოფილებლად და გადაწყვეტილ იქნა ს. მ. უ. საბჭოებმა ხელახლა წარმოადგინონ სრული მასალები 5 მაისისათვის.

ცნობებთან ერთად წარმოდგენილი უნდა იქნეს ნედლი მასალის ნიმუშები (აბრეშუმი, ბამბა), ძაფები და თუ შესაძლებელია ნახევარი ფაბრიკატები. ახალი ფაბრიკის პროდუქცია უნდა აკმაყოფილებდეს ყველა იმ მოთხოვნილებებს, რომლებიც შემუშავებულია კონტრაბანდასთან ბრძოლის მიზნით გახსნილ ახალი ფაბრიკების პროდუქციისათვის. ფაბრიკამ პირველ რიგში უნდა გამოუშვას „ვიქტორიას“ მსგავსი ქალთა და ვაჟთა წინდები, რომლებიც არც სიმტკიცით და არც სილამაზით არ უნდა ჩამოუვარდებოდეს კონტრაბანდულ საქონელს.

სოფლის კლასობრივი დიფერენციაცია ახალციხის მაზრაში *)

პარტიისა და კერძოდ ადგილობრივ ორგანიზაციების წინაშე მდგარ ერთ-ერთ კარდინალურ საკითხს, სოფლად მუშაობასთან დაკავშირებით, წარმოადგენს სოფლის კლასობრივი დიფერენციაციის გამორკვევა. იმ პროცესის ანალიზის დროს, რომელსაც ადგილი აქვს გლეხობის სამეურნეო ცხოვრებაში და რომელსაც კაპიტალისტური და სოციალისტური ტენდენციების ბრძოლა ახასიათებს, ჩვენ ერთი მხრით უნდა გამოვარკვიოთ სოფლის განვითარების საერთო ხაზი და მეორე მხრით დავსახოთ აღნიშნულ ორი ტენდენციის ბრძოლიდან გამომდინარე ამოცანები მე-15 პარტყრილობის იმ გადაწყვეტილებათა მიხედვით, რომლებიც შეეხება სოციალისტური ტენდენციის გაძლიერებას.

საჭიროა აღინიშნოს, რომ ჩვენი სოფლის დიფერენციაცია ხდება სულ სხვა პირობებში, ვიდრე კაპიტალისტურ ქვეყნებში და ის ტენდენციები, რომელთაც ადგილი აქვთ ჩვენი სოფლის დიფერენციაციის დროს, პრინციპიალურად განსხვავდება კაპიტალისტურ ტენდენციებისაგან. ეს ტენდენციები, როგორც შემდეგ დავინახავთ, იწვევენ ღარიბი გლეხობის გადასვლას მატერიალურად არა უფრო სუსტ, არამედ უფრო ძლიერ ფენებში და აგრეთვე კულაკობის ზრდის ტემპის შესუსტებას.

როგორც კრიტერიუმს ჩვენ ვღებულობთ სასოფლო-სამეურნეო ფაქტორების ეკონომიური სიძლიერის ფარგლებს. პირველ ელემენტს წარმოადგენს სათესი მოედანი, მისი სივრცე, მაგრამ სამწუხაროდ ეს საზომი არ გვეძლევს ჩვენ მეურნეობის სიძლიერის გამორკვევის შესაძლებლობას, ჯერ ერთი იმიტომ, რომ აქ არ შედის: საწარმოო საშუალებათა იჯარა, შემოსავლის სხვადასხვა წყაროები—შრომის გაქირავება და სხ. ამიტომ სოფლად მომხდარ გადაჯგუფებისა და სოფლის კლასობრივი სტრუქტურის გამოსარკვევად აუცილებლად საჭიროა მეურნეობის სიძლიერის განმსაზღვრელ ყველა ნიშნების აღნუსხვა.

უნდა ითქვას, რომ საერთოდ, საქართველოს თითქმის ყველა მაზრაში სტატისტიკა მოიკოჭლებს და ეს გარემოება დიდათ აძნელებს ზემოაღნიშნულ ამოცანების ზედმიწევნით განხორციელებას. მიუხედავად სიძნელისა, ჩვენ მაინც შევეცდებით, ჩვენ ორგანიზაციებში ინტერესის გასაღვიძებლად, დავხატოთ ჩვენი სოფლის სამეურნეო პროცესების დაახლოვებითი სურათი.

ზოგიერთები იტყვიან, რომ არ მოიპოვება საკმაო მასალა, მარტო სასოფლო-სამეურნეო გადასახადის მიხედვით დასკვნების გამოყვანა არ შეიძლება და სხვ.

მაგრამ, ვიღებთ რა მხედველობაში ზოგიერთი რაიონების ცალკე გამოკვლევებს და აგრეთვე 10 პროც. არჩევითი გამოკვლევიდან მიღებულ მასალას, ვფიქრობთ, რომ პირველ ხანებში მაინც ჩვენი ცდა ინტერესს მოკლებული არ იქნება. არსებულ ცნობების მიხედვით მთელ მაზრაში (ახალციხის მაზრა) სათესი მოედნის სივრცე 1913 წ. უდრიდა 20.499 დეს., 1917 წ.—14.966 დეს. და 1927 წ.—21.392 დეს. როგორც ვხედავთ 1927 წ. სათესი მოედნის სივრცე 1917 წ. შედარებით 30 პროც. გადიდებულა, ხოლო 1913 წ. შედარებით— 4,2 პროცენტით.

თუ მაზრაში არსებულ ყველა მეურნეობას დავყოფთ რამდენიმე ჯგუფებათ ნათესისა და მუშა საქონლის რაოდენობის მიხედვით, მივიღებთ შემდეგ სურათს: 1926 წ. ახალციხის მაზრაში იყო სულ 12.665 მეურნეობა, აქედან: 3,5 პროცენტს ჰქონდა 0—0,1 დეს. ნათესი, 29,6 პროც.—0,2—0,9 დეს., 61,5 პროც.—1,0—3,9 დეს. მუშა საქონელი ჰყავდა—5,4 პროც.—4 სული და მეტი, 23,5 პროც.—სრულიად არ ჰყოლია, 42,6 პროც.—1—2 სული, 27,9 პროც.—3 სული და მეტი. 1927 წ. იყო სულ 12995 მეურნეობა, აქედან 3,8 პროც. ჰქონდა 0,—0,1 დეს. ნათესი. 28,0 პროც.—0,2—0,9 პროც., 62,4 პროც.-1,0—3,9 პროც. მუშა საქონელი ჰყავდა—5,8 პროც.—4 სული და მეტი. 18,5 პროც., სრულიად არ ყოლია 45,5 პროც.—1-2 სული და 36 პროც. 3 სული და მეტი. ჩვენ ვხედავთ, რომ მეურნეობათა ყველაზე უფრო დიდი პროცენტი მოდის იმ ჯგუფზე, რომელსაც ჰქონდა 1,0—3,9 დეს. ნათესი (1926 წ.—61,5 პროც. და 1927 წ.—62,4 პროც.) და ჰყავდა 1—2 სული მუშა საქონელი (48,6 პროც. და 45,5 პროც.).

მაგრამ მასალების დეტალურად შესწავლამ დაგვანახვა, რომ ეს ორი ძირითადი ელემენტი სრულიად არაა საკმაო გლეხობის კლასობრივი დიფერენციაციის დასახასიათებლად, თუნდაც ჩვენი მაზრის ფარგლებში.

გამოირკვა, რომ არის ბევრი მეურნეობა, რომელთაც აქვთ 4 დეს. მეტი ნათესი, მაგრამ მათი შემოსავალი არ სცილდება ღარიბ მეურნეობათა შემოსავალს (ალბათ ცუდი მოსავლის გამო) და პირიქით,—არის ისეთი მეურნეობანი, რომელთაც არც ნათესი აქვთ და არც მუშა საქონელი ჰყავთ, მაგრამ ეკუთვნიან შეძლებულ მეურნეობათა ჯგუფს, მათ აქვთ ან უფრო ინტენსიური კულტურის მეურნეობა ან და გარეშე შემოსავალი.

ამ გარემოებამ გვაიძულა ჩვენ მეურნეობათა დაჯგუფების საფუძვლად აგველო მათი შემოსავალი.

მაგრამ აქ წინასწარ საჭირო იყო არსებითად მეტად მნიშვნელოვანი საკითხის გადაწყვეტა საჭირო იყო შემოსავლიანობის შედარებითი ფარგლების გამორკვევა თვითეული ჯგუფისთვის ცალკე. კულაკურ და ნაწილობრივ ღარიბ მეურნეობათა არჩევითმა გამოკვლევამ გვაჩვენა, რომ სინამდვილიდან დიდათ დაშორებული არ იქნება, თუ ყველა მეურნეობას შემოსავლიანობის მიხედვით დავყოფთ სამ ჯგუფად:

I. 149 მან.-მდე შემოს.—ღარ. მეურნ.—1927 წ.—6.033.
II. 150—449 მან. შემოს. —საშ. მეურნ.—1927 წ. —6.174.
III. 450 მან. და მეტი შემოს. კულაკ. მეურ.—1927 წ.—788.
I. 149 მან.-მდე შემოს.—ღარ. მეურნ.—1926 წ.—6.735.
II. 150—449 შემოს. საშ. მეურ.—1926წ.—5.481.
III. 450 მან. და მეტი შემოს. კულაკ. მეურ.—1926 წ. 449.

შემდეგში ამ წესით დამუშავებულ ცალკე ხიებს ჩვენ ვამოწმებდით, რა თქმა უნდა არჩევითი მეთოდით, ადგილებზე და მეტ წილად ეს შემოწმება სავსებით ამართლებდა ჩვენ ანგარიშს.

ამრიგად, თუ ყველა მეურნეობას დავყოფთ აღნიშნულ სამ ჯგუფად, მივიღებთ:

წლები	სულ მეურნეობანი პროც.-ში შემოსავლიანობით		
	149 მან.-დე	150—449 მან.	450 მან. და მეტი
1926	53,2	43,3	3,5
1927	46,4	47,5	6,1

როგორც ამ ცხრილიდან სჩანს ჩვენი მაზრის მეურნეობათა მეტი ნაწილი ეკუთვნის ღარიბ და საშუალო შეძლების მეურნეობათა ჯგუფებს, ხოლო კულაკურ მეურნეობათა რაოდენობა უმნიშვნელო პროცენტს შეადგენს.

ღარიბ გლეხობის მეურნეობათა პროცენტი 1927 წ. 1926 წ. შედარებით შემცირდა და გაიზარდა საშუალო ჯგუფის პროცენტი, გაიზარდა აგრეთვე კულაკურ მეურნეობათა პროცენტიც.

განვიხილოთ ეხლა თვითეული ჯგუფი ცალკე სათესი მოედნისა და მუშა საქონლის განაწილების მიხედვით.

ცხრილი № 3

წლები	1-ლ ჯგუფის მეურნეობანი პროც.-ში შემოსავ. 149 მან.-მდე						
	ნათესის რაოდენობა დესეტ.			მუშა საქონლის რაოდენობა			
	0—0,1	0,2—0,9	1,0—3,9	4 სული და მეტი	0	1—2	3 სული და მეტი
1926	5,2	49,0	45,7	0,1	58,7	55,3	6,0
1927	7,3	52,2	40,4	0,1	34,5	57,6	7,9

ყველაზე დიდი პროცენტი მოდის იმ მეურნეობებზე, რომელთაც აქვთ 0,2—0,9 დესეტ. ნათესი (490—52,2 პროც.) საშუალო გლეხის მეურნეობათა ჯგუფის ცხრილი (იხ. ცხრ № 4) შემდეგ სურათს გვაძლევს:

ცხრილი № 4

წლები	მე-2 ჯგუფის მეურნეობანი პროც.-ში შემოსავლით 150-449 მან.-დე						
	ნათესის რაოდენობა დესეტ.			მუშა საქონლის რაოდენობა			
	00,1	0,2—0,9	1,0—3,9	4 სული და მეტი	0	1—2	3 სული და მეტი
1926	1,7	8,3	83,9	6,1	6,5	44,3	49,2
1927	0,8	7,2	86,0	6,0	5,3	38,6	56,1

დიდი უმრავლესობა (83,9—86,0 პროც.) ეკუთვნის იმ მეურნეობათ, რომელთაც აქვთ 1,0—3,9 დეს. ნათესი, უკანასკნელი კულაკურ მეურნეობათა ჯგუფი ასეთ სურათს წარმოადგენს (იხ. ცხრ. № 5).

ცხრილი № 5

წლები	მე-3 ჯგუფის მეურნეობანი პროც.-ში 450 მან. და მეტი შემოსავლით						
	ნათესის რაოდენობა დესეტ.			მუშა საქონლის რაოდენობა			
	0—0,1	0,2—0,9	1,0—3,9	4 სული და მეტი	0	1—2	3 სული და მეტი
1926	2,0	1,3	24,5	72,2	1,5	1,4	97,1
1927	1,0	4,0	46,0	49,0	0,8	5,1	94,1

ამ ცხრილიდან სჩანს, რომ პირველი ადგილი უკავია (72,2—49,0 პროც.) იმ მეურნეობათ, რომელთაც 4 დესეტინაზე მეტი ნათესი აქვთ.

ისეთი მეურნეობანი, რომელთაც სრულიად არა აქვთ ნათესი, რა თქმა უნდა, ყველაზე უფრო მეტი ღარიბ გლეხების მეურნეობათა ჯგუფშია (5,2—7,3 პროც.), შემდეგ მიდის კულაკურ მეურნეობათა ჯგუფი (2,0—1,0 პროც.) და უკანასკნელი ადგილი უკავიათ საშუალო შეძლების გლეხებს.

ის გარემოება, რომ კულაკურ ჯგუფში არის ისეთი მეურნეობანი, რომელთაც არა აქვთ ნათესი და აგრეთვე არ ჰყავთ მუშა საქონელი აიხსნება იმით, რომ კულაკურ მეურნეობათა ამ უმნიშვნელო ნაწილს აქვთ ან გარეშე შემოსავალი ან და ინტენსიური კულტურის მეურნეობა (ბაღები და სხ.).

მოყვანილ ცხრილებიდან (№ 3, 4 და 5) სჩანს რომ ისეთი მეურნეობანი, რომელთაც არა ჰყავთ მუშა საქონელი, ყველაზე უფრო მეტი არის ღარიბ გლეხების ჯგუფში (58,7—34,5 პროც.)., შემდეგ მიდის საშუალო შეძლების გლეხთა ჯგუფი (6,5—5,3 პროც.) და ბოლოს—კულაკები (1,5—0,8 პროც.).

ყველაზე მეტი მეურნეობა, რომელთაც სამ სულ მუშა საქონელზე მეტი ჰყავთ, არის კულაკურ ჯგუფში (97,1—94,1 პროც.), მეორე ადგილი ამ მხრით უკავია საშუალო შეძლების გლეხებს (49,2—56,1 პროც.) და უკანასკნელი—ღარიბ გლეხებს (6,0—7,9 პროც.)

ნათესის რაოდენობის შედარება დასახელებულ ორი წლის განმავლობაში იხ. ცხრ. № 3, 4, 5) გვიჩვენებს, რომ იმ მეურნეობათა პროცენტი, რომელთაც სრულიად არ ჰქონდათ ნათესი, 1927 წელში 1926 წ. შედარებით შემცირდა ყველა ჯგუფებში, გარდა ღარიბ გლეხების ჯგუფისა და გაიზარდა საშუალო რაოდენობის ნათესის (0,2—3,9 დეს.) მქონე მეურნეობათა რიცხვი. ღარიბ გლეხების ჯგუფში იმ მეურნეობათა პროცენტი, რომელთაც არ ჰქონდათ ნათესი, 1927 წ. არამც თუ გაიზარდა 5,2 პროცენტიდან 7,3 პროცენტამდე, არამედ იმ მეურნეობათა რაოდენობამაც, რომელთაც 1926 წ. ჰქონდათ 1,0—3,9 დეს. ნათესი 45,7 პროცენტიდან 1927 წ. შემცირდა 40,4 პროცენტამდე, ცხადია, რომ აქ ჩვენ საქმე გვაქვს არასასურველ მოვლენასთან, რასაც სერიოზული ყურადღება უნდა მიექცეს.

ღარიბ გლეხების მეურნეობათა სათესი მოედნის შემცირება, ჩემი აზრით, გამოწვეულია მიწის გაყიდვით, რომელსაც ადგილი აქვს სინამდვილეში. გაყიდული მიწის პროცენტი ჯერ-ჯერობით არაა შესწავლილი. აუცილებელია მისი შესწავლა და აქედან ნათელი სურათის მიღება.

იმ მეურნეობათა პროცენტი, რომელთაც 4 დეს. მეტი ნათესი ჰქონდა, ღარიბ და საშუალო გლეხების ჯგუფში უცვლელი დარჩა, კულაკების ჯგუფში კი 72,2 პროცენტიდან (1926 წ.) შემცირდა 49,0 პროც.-დე (1927 წ.), გაიზარდა ნათესის საშუალო რაოდენობის (0,2—3,9 დეს.) მქონე მეურნეობათა პროცენტი.

დაბოლოს მუშა-საქონლის რაოდენობის გადიდებას 1927 წ. 1926 წელთან შედარებით ყველა ჯგუფებში (იხ. ცხრ. 3, 4 და 5) ადასტურებს სასოფლო-მეურნეობის 10 პროცენტიანი არჩევითი გამოკვლევაც. ამ გამოკვლევიდან სჩანს, რომ დიდათ გაიზარდა საქონლის საერთო რაოდენობა მთელ მაზრაში.

ვფიქრობ ზედმეტი არ იქნება მოვიყვანოთ ცხრილი (№ 6), საიდანაც ირკვევა, თუ როგორ ნაწილდება სამივე ჯგუფის მეურნეობანი მაზრის ყველა თემებში.

შემოსავლიანობა	წლები	პროცენტული დამოკიდებულება თემის მეურნეობათა საერთო რაოდენობის მიმართ											
		ადიგენის თემი	ასპინძის	აწყურის	ახალციხის	ვალის	ვარხანის	ღრელის	ნიალის	ტოლოშის	უდეს	ურავლის	ზველის
0—149 მან.-დე	1926	47,0	63,4	63,7	58,5	51,6	50,1	48,4	37,7	52,3	55,9	42,2	35,4
	1927	27,2	61,7	59,5	50,4	43,9	44,2	47,1	33,2	49,7	48,1	31,1	40,6
150 მან.-დან 449 მან.-დე	1926	49,8	32,8	34,7	37,2	45,7	47,0	47,1	55,6	43,7	41,7	52,2	57,2
	1927	59,9	34,1	38,7	42,0	50,8	53,1	46,8	54,2	43,3	48,4	57,5	53,9
450 მან. და მეტი	1926	3,2	3,8	1,6	4,3	2,7	2,9	4,5	6,7	4,0	2,4	5,6	7,4
	1927	12,9	4,2	1,8	7,6	5,3	2,7	6,1	12,6	7,0	3,5	11,4	5,5
	1926	100	100	100	100	100	100	100	100	100	100	100	100
	1927	100	100	100	100	100	100	100	100	100	100	100	100

როგორც ცხრილიდან სჩანს ღარიბ გლეხების ყველაზე დიდი პროცენტი 1927 წ. მოდის ასპინძის თემზე (61,7 პროც.), ყველაზე ნაკლები ადიგენის თემზე (27,2 პროც.). ეს ორი თემი დამახასიათებელია დანარჩენ თემებისათვისაც.

საშუალო შეძლების გლეხთა ჯგუფში დამახასიათებელია ისევ ასპინძა და ადიგენის თემები, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ პირველ თემში უკვე საშუალო მეურნეობათა ყველაზე ნაკლები პროცენტია (34,1 პროც.), ხოლო მეორეში—ყველაზე მეტი (59,9 პროც.).

კულაკურ ჯგუფში პირველი ადგილი უკავია ადიგენის თემს (12,9 პროც.), ყველაზე უკანასკნელი—აწყურის თემს (1,8 პროც.).

თუ 1926 წ. და 1927 წ. მეურნეობებს შევადარებთ, დავინახავთ არა ერთხელ შემჩნეულ კანონზომიერების განმეორებას: თითქმის ყველა თემებში ღარიბ გლეხების მეურნეობათა პროცენტი მცირდება და იზრდება მეორე ჯგუფის პროცენტი. გამონაკლისს შეადგენს მხოლოდ ერთი თემი, სადაც, ალბად საერთო შემოსავლიანობის შემცირების გამო, მოხდა საწინააღმდეგო გადაჯგუფება, ე. ი. ღარიბ გლეხების მეურნეობათა რაოდენობა 35,4 პროცენტიდან გაიზარდა 40,6 პროცენტამდე და შემცირდა საშუალო და კულაკურ მეურნეობათა რაოდენობა.

შემდეგ № 6 ცხრილში თვალში გვეცემათ კულაკურ მეურნეობათა პროცენტის არაჩვეულებრივი გადიდება 1927 წ. შემდეგ თემებში: ადიგენის თემში—3,2 პროცენტიდან—12,9 პროცენტამდე, ნიალის თემში—6,7 პროცენტიდან—12,6 პროცენტამდე და ურავლის თემში—5,6 პროც.-დან—11,4 პროცენტამდე.

ყველა ამ თემებში გლეხები უმთავრესად მისდევენ მესაქონლეობას და მუშაობას სატყეო დარგში. „სასოფლო მეურნეობის ამ დარგების საერთო განვითარებამ ერთი მხრით და აგრეთვე იმ გარემოებამ, რომ ადგილობრივი ორგანიზაციები საკმაო დახმარებას არ უწევდნენ ღარიბ-გლეხობას,— გამოიწვია კულაკური ნაწილის გაძლიერება.

ორიოდე სიტყვა მუშა-ხელის დაქირავებაზე, მიწის, საქონლის და ინვენტარის გაცემასა და იჯარაზე.

იმ მეურნეობათა პროცენტი, რომლებიც ჩვენს მაზრაში მუშა-ხელს ქირაობენ წლობით უდრის—0,6 პროც., განსაზღვრული ვადით—20,3 პროც., დღიურად —37,9 პროც., ნარდათ—0, 2 პროც.

იმ მეურნეობათა პროცენტი, რომლებიც მუშა-ხელს აქირავებენ: წლობით უდრის—1,2 პროც., განსაზღვრული ვადით—21,3 პროც., დღიურად—57,2, ნარდათ—0,9 პროც.

სულ მთელ მაზრაში სახნავ მიწებს იჯარით ღებულობს 0, 1 პროც., სათიბებს—3,0 პროც.

საკუთარი საქონლით ამუშავებს მიწას მეურნეობათა 25,9 პროც., საკუთარი ინვენტარით—25,6 პროც., დაქირავებული საქონლით—21,3 პროც., დაქირავებული ინვენტარით—24,6 პროც.

რამდენიმე სიტყვა იმ მიზეზების შესახებ, რომლებიც იწვევენ კულაკობის გაძლიერებას ჩვენ მაზრის ზოგიერთ თემებში. საერთო ნაკლს წარმოადგენს ის გარემოება, რომ ჩვენ საკმაო ყურადღებას არ ვაქცევთ პარტიის სწორი პოლიტიკისა და ხაზის გატარებას სოფლად. ამ ნაკლის თავიდან ასაცილებლად უნდა დავრაზმოთ მთელი ჩვენი ძალები.

ზოგიერთ რაიონებში თემკომები, უჯრედები და სამეურნეო ორგანოები ფიქრობენ, რომ მხოლოდ ლაპარაკით შეიძლება კულაკობის შესუსტება. მაგალითად, დამახასიათებელია აწყურის თემაღმასკომის თავმჯდომარის განცხადება ღარიბ გლეხების პირველ სამაზრო თათბირზე: „ჩვენ ვხედავთ,—ამბობს ის,—რომ კულაკი თანდათან ძლიერდება, მაშასადამე ყველა გლეხები უნდა გახდნენ კულაკები, მაშ რა საჭიროა ბრძოლა კულაკობის წინააღმდეგ“-ო.

არსებობს ორი ტენდენცია:: ერთი—ფორმალური ბრძოლისათვის რეზოლიუციების გამოტანა კულაკობის წინააღმდეგ და მეორე—კლასობრივი ხაზის მიჩქმალვა სოფლად და მაშასადამე კულაკობის წინააღმდეგ ბრძოლის შეწყვეტა.

მნიშვნელოვან როლს თამაშობს აგრეთვე სატყეო ტრესტის პოლიტიკა ხე-ტყის მასალის დამზადების ოპერაციებში. ავიღოთ მაგალითად, ადიგენის თემი, სადაც ყველაზე უფრო ძლიერდება კულაკობა და ამას ხელს უწყობს სატყეო ტრესტი. შეიძლება იკითხოთ—როგორ? სულ ადვილად. სატყეო ტრესტის ლოზუნგი ასეთია: „მე კი დამიმზადე ხე-ტყის მასალა და ჩემთვის სულერთია, ვინ დაამზადებს ამ მასალას“-ო. რომ ჩვენ ამ ლოზუნგებს გავყვეთ, ერთი წლის შემდეგ კულაკობა ორჯერ გაიზრდება. რატომ? იმიტომ, რომ „როგორც მოყვანილი ცხრილიდან სჩანს, კულაკებს უფრო მეტი საქონელი ყავთ და მაშასადამე ტყეში მუშაობაც მათ უფრო შეუძლიათ.

აი, ამიტომაა, რომ ადიგენისა და ვარხანის თემებში ხე-ტყის მასალის დამზადებაში ყველაზე მეტ მონაწილეობას კულაკები ღებულობენ.

იბადება კითხვა,—შეეძლო თუ არა სატყეო ტრესტს შესაფერის ორგანიზაციების შემწეობით ეშოვნა კრედიტი ღარიბი გლეხებისათვის, მოეწყო არტელი და გაეჩაღებია ბრძოლა კულაკობის წინააღმდეგ? რა თქმა უნდა შეეძლო. რატომ არ მოხდა ასე? იმიტომ, რომ რაიონების სათავეში სატყეო ტრესტს ისეთი პირები ჰყავს ჩაყენებული, რომელთაც არ აინტერესებს ღარიბი გლეხობა. მაგრამ ეს კიდევ ცოტაა. სატყეო ტრესტის ყველაზე უფრო დაუშვებელი მოქმედება გამოიხატება იმაში, რომ მან ადიგენის კულაკებს გაუხსნა კრედიტი.

ამრიგად პარტიული ხაზის გადამახინჯება ფაქტია. საჭიროა ამ ხაზის გამოსწორება. მაგრამ უწინარეს ყოვლისა საჭიროა იმ ვაჟბატონების თავიდან მოცილება, რომელთაც შეცდომაში შეჰყავთ ორგანიზაციები და ხელს უშლიან ნორმალურ მუშაობას ღარიბ გლეხობაში.

კულაკობის გაძლიერების მესამე ფაქტორს წარმოადგენს მიწის ყიდვა-გაყიდვა, რომელსაც ადგილი აქვს ჩვენს მაზრაში. ამის შესახებ ბევრი ითქვა და დაიწერა, მაგრამ აღმასკომები და სასამართლო ორგანოები ამ გარემოებას არ აქცევენ სათანადო ყურადღებას.

მარტო სოფელ თემალაში ადგილი ჰქონდა მიწის გაყიდვის 80 შემთხვევას. ამრიგად გარდა საერთო შესაძლებლობისა, ჩვენს მაზრაში არსებობს კიდევ ზემოაღნიშნული სამი ფაქტორი, რომლებიც ხელს უწყობენ კულაკის გაძლიერებას.

ამრიგად სოფლის განვითარების საერთო სურათი შემდეგი სახით წარმოგვიდგება: მცირდება ღარიბი გლეხების პროცენტი. 1926 წ. იყო 53,2 პროც., 1927 წ. კი 46,4 პროცენტი. იზრდება საშუალო შეძლების გლეხების რაოდენობა: 1926 წ. იყო 43,3 პროც., 1927 წ. არის 47,5 პროც., მაგრამ ამასთანავე ერთად იზრდება კულაკობაც, ზოგიერთ თემებში კი, სამეურნეო ორგანიზაციების არა სწორი პოლიტიკის მეოხებით, ადგილი აქვს კულაკების გაძლიერების სწრაფ ტემპს. მაგალითად ადიგენში კულაკობა შეადგენს 12 პროც. ჩვენი ამოცანაა დავეხმაროთ ეკონომიურად ღარიბ გლეხებს და გავაძლიეროთ ისინი მატერიალურად.

დასასრულ იმედს გამოვსთქვამ, რომ ცენტრში მომუშავე ამხანაგები მიმითითებენ, თუ წერილში აღმოაჩენენ არა სწორ მიდგომას საკითხისადმი.

ა. ცეხაძე.

---

*) უაღრესად მნიშვნელოვანი საკითხი საბჭოთა სოფლის სოციალურ ფენებად დაყოფის შესწავლის შესახებ ჯერ თითქმის ხელუხლებელია ჩვენში. ამიტომ ღირსია წაქეზების ყოველი ინიციატივა ამ ნაკლის გამოსასწორებლად, კიდევაც რომ ახლდეს ასეთ ცდას პირველ ხანებში რაიმე შეცდომა, იქნება ის მეთოდოლოგიური თუ ფაქტიური ხასიათის.

ამჟამად ჩვენ ვაძლევთ ადგილს ამხ. ცეხაძის წერილს, რომლის მასალა შეეხება ერთ მაზრას.

რედ.

ხელოვნება

როგორ უნდა შევაგროვოთ ხალხური სიმღერები

გაზეთებში იყო პატარა შენიშვნა, რომელიც გვაცნობდა, რომ მომავალ ზაფხულს სხვადასხვა კუთხეში დაიგზავნებიან მუსიკოსები ხალხური სიმღერების ჩასაწერად. თქმა არ უნდა, ეს სასიამოვნო ამბავია. ამისთანა მუშაობა აქამდისაც უნდა გაჩაღებულიყო და ეხლა ხომ დროა და დრო, რომ ხალხურ ზეპირსიტყვაობას სერიოზული ყურადღება მიექცეს.

ამ მოკლე შენიშვნით სასურველად მიგვაჩნია ერთი რამეში გავაფრთხილოთ ინიციატორები სიმღერების შეკრებისა, სახელდობრ იმაში, რომ გამეორებულ არ იქნეს ის შეცდომა, რასაც ადგილი ჰქონდა წარსულში და რის გამოსწორებაც ამჟამად თითქმის შეუძლებელი ხდება.

ორი გზით შეიძლება ჩაიწეროს ესა თუ ის სიმღერა, ფონოგრაფით და პირდაპირ მთქმელის მოსმენით ქაღალდზე გადმოწერით. ვიკითხოთ: რა ინსტრუქცია ეძლევათ დაგზავნილ მუსიკოსებს. ჩაწერენ სიმღერებს მთქმელებისაგან მოსმენით პირდაპირ ქაღალდზე, თუ სიმღერებს შეკრებენ ფონოგრაფით. ამ ორში, ცხადია, უნდა ვისარგებლოთ იმით, რაც მოგვცემს დადებითი და ნამდვილ ნამუშევარს.

ჩემის აზრით, მიზანშეწონილი და უნაკლო მუშაობა იქნებოდა, თუ სიმღერების ჩამწერნი გადმოიტანენ ჰანგებს მთქმელისაგან პირდაპირ ქაღალდზე მოსმენით, და აი რათა: 1) მთქმელს არამც თუ მთელ სიმღერას, არამედ ერთსა და იმავე ფიგურას სიმღერისას, რომელიც ეგრე ადვილად არ ედება სმენას, რამდენჯერმე გაამეორებინებ, მიმდინარე მელოდიას ფეხდაფეხ მისდევ და გადმოაქვს ქაღალდზე ისევე, როგორიცაა სტენოგრაფის საშუალებით ორატორის სიტყვა. 2) როდესაც გაათავე სიმღერის ჩაწერა, იქვე ხელმეორედ ათქმევინებ მთქმელებს, კვალდაკვალ მისდევ ამა თუ იმ ხმას; და ეს ერთნაირი შემოწმებაა შენივე ჩანაწერისა. 3) ამისთანავე ჩაწერა სამთავე ხმას თითონვე მღერის რიგ-რიგად და ამნაირად მთქმელებს ასმენინებ მათივე ნათქვამს სიმღერას და, მაშასადამე, მთქმელებივე გიდასტურებენ და შენც რწმუნდები ხმის გრეხილების სინამდვილეში. 4) დაუმატეთ ამას ისიც, რომ იქვე აკრებავ იმავე სიტყვებს, რასაც მომღერლები აწყობენ სიმღერაზე. და ყველა ეს გაწეული პროცესი გამიდებთ, რომ თქვენ მიერ ჩაწერილი სიმღერა ზედმიწევნით არის გადმოღებული.

ახლა ვიკითხოთ: ფონოგრაფით ჩაწერილ სიმღერებს შერჩებათ ყველა ეს ღირსებები და მისი საშუალებით გადმოიწერ ყველა იმ თავისებურებას, რასაც იძლევიან მთქმელები სიმღერის დროს? ფონოგრაფით ჩაწერილ სიმღერას აუარებელი მოულოდნელობა სდევს თან, რომელიც ჩამწერის სურვილისა და ღონის გარეშე მდებარეობენ. 1) ფონოგრაფმა, რომ კარგად ჩაისახოს სიმღერა, იგულისხმება იდეალური სისუფთავე რგოლის, რომელიც ლერძზე ტრიალებს. თუ ვინიცობაა, რგოლი ოდნავ მაინც გაფხაჭნილია (თუნდაც ბეწვისოდენად თვალის უხილავადაც კი), მაშინ სიმღერას რგოლი ნაწყვეტ-ნაწყვეტად იძლევა, თითქოს მომღერალი მუჯლუგუნ წაკრული მღერისო. 2) იშვიათია, რომ ფონოგრაფმა სიმღერის სიტყვები მთლიანად მოგაწოდოთ. მაშასადამე, ფონოგრაფი მელოდიას გაწვდით უსიტყვოდ. 3) სიმღერის მკაფიობა ფონოგრაფზე ბევრად დამოკიდებულია მემბრანზედაც; ვინ იცის, შეგხვდებათ წმინდა კალმიანი მემბრანი თუ არა, და მაშინ თქვენი ნამუშევარი გაფარწყლებულია. 4) ვთქვათ, რომელიმე სოფელში ჩაწერეთ ფონოგრაფით სიმღერა და ჩამოიტანეთ თბილისში. იქნებ ვინმეს ეგონოს: აგ არის სიმღერები შეიკრიბა და ჩაიწერაო. არა, აი აქ იწყება მუშაობა. ამ სიმღერებს გადმოწერა უნდა ქაღალდზე სწორედ. სწორედ აქ შეხვდებით იმ ნაკლს და დაბრკოლებებს, რაც ზემოთ აღვნიშნეთ. თუ რა ძნელი ყოფილა, რა სმენის დაძაბვა სდომებია ფონოგრაფიდან სიმღერების გადმოწერას და რა მოთმინების პატრონი უნდა იყოს ამაზე მომუშავე, ამას დაამოწმებენ ყველა ისინი, ვისაც ამისთანა მუშაობა უწარმოებია.

ერთიც არის საკითხი: ვსთქვათ, ფონოგრაფით ჩაწერილი სიმღერები ჩამოიტანეთ თბილისში; შეგიწყობთ კი გარემოება ხელს, რომ ხელმეორედ მიუბრუნდეთ უკვე წარსულში წარმოებულ ნამუშევარს? ამჟამად ჩვენ ვაწარმოებთ სწორედ ამისთანა მუშაობას. 22—25 წ. წინეთ ქართულ ისტ.-ეთნოგრაფიულ საზოგადოების დავალებით ქართველი მუსიკოსები დაიარებოდნენ ფონოგრაფით საქართველოს სხვადასხვა კუთხეში ხალხური სიმღერების ჩასაწერად; მას აქეთ ეს მასალა აწყვია ასე ხელშეუხლებლად და რა ვიცით, რომ ამა ზაფხულს ფონოგრაფით ჩაწერილ სასიმღერო მასალასაც ასეთივე ბედი არ ეწევა. იქნებ კიდეც სცადეს სიმღერების გადმოწერა ქაღალდზე და სწორედ ზემოაღნიშნულ სიძნელეებმა აიძულა ამაზე მომუშავენი მიეწყოთ ისევ კუთხეში დასამუშავებელი მასალა. ეხლა, სიმღერების გადმოწერის დროს ფონოგრაფიდან, ვაწყდებით იმისთანა ადგილებს, სადაც ზოგიერთი ხმის ესა თუ ის მიხვრა-მოხვრა მკაფიოდ არ ისმის. ამხანაგების რჩევით ჩვენ ამ ადგილებს თეთრად ვტოვებთ და განა ეს მთლიანი ჩაწერაა სიმღერისა. რა თქმა უნდა, არა, მაგრამ სხვა გამოსავალი რომ არ არის! ხომ არ შევთხზავთ ხმის მიხვრა-მოხვრას ჩვენებურად!

ფონოგრაფით მუშაობის სიძნელეებზე ჩვენ ამ ოცდა ხუთი წლის წინადაც ვუთითებდით, მაგრამ ამას მაშინ არავინ გაუწია ანგარიში. აი, ეხლა გვიხდება მაშინდელი გართულებული საქმის გამოსწორება. ჩვენ ვერ წარმოგვიდგენია, რომ ცოტად თუ ბევრად მუსიკის ანბანის მცოდნე კაცი მიადგეს გარემოებამ სიმღერაზე და იმან ცოდნა კი არა, ფონოგრაფი მოიხმაროს მის ჩასაწერად. ფონოგრაფი აუცილებელ ატრიბუტს შეადგენს მოგზაურისას, რომელიც სწავლობს და ეცნობა ამა თუ იმ ხალხის ზნე-ჩვეულებებს; მაგალ., რომელიმე მოგზაური ფრანგი წაადგა ქართველ გლეხებს გაშლილ სუფრას მინდორში მკის დროს და ესმის „გლესავ და გლესავ ნამგალო" ან „სუფრული" და სხვა; ამ შემთხვევაში, რა თქმა უნდა, მოგზაური დაუდგამს ფონოგრაფს, აამოძრავებს რგოლს და ჩაიწერს,—ამაზედ ადვილი არაფერია. ფონოგრაფს ხმარობენ კიდევ ვითომ იმიტომ, რომ მეტი მასალა ჩაიწერონ და შეაგროვონ. თუ ვიგულისხმებთ ზემოთჩამოთვლილ სიძნელეებს და იმას, რომ ამისთანა მუშაობაში არა სიჩქარე და სიბევრე, არამედ სიდინჯე და ნამუშევარის სინამდვილეა საჭირო, მაშინ ეს ვითომდა, დადებითი მხარე ფონოგრაფისა არც კია მხედველობაში მისაღები.

ამ მოსაზრებების მიხედვით ჩვენ ვფიქრობთ, რომ თუ მართლა მომავალ ზაფხულს დაიგზავნებიან მუსიკოსნი სოფლად ხალხური სიმღერების ჩასაწერად, ჰანგები გადმოწერილი უნდა იქნეს პირდაპირ მთქმელიდან ქაღალდზე იმავე სიტყვის თანამავლობით, რასაც აწყობს მთქმელი სიმღერის დროს. პირადათ ჩვენ ჩაგვიტარებია პატარა მუშაობა სიმღერების ჩაწერის დროს და ჩვენის აზრით, მხოლოდ ამისთანა მუშაობით შეიძლება თავიდან ავიცილოთ ის სამწუხარო და გამოუსწორებელი შეცდომები, რასაც ადგილი ჰქონდა წარსულში.

ი. კარგარეთელი.

ხელოვნების ქრონიკა

მ. გორკის იუბილეს გამო

მ. გორკის იუბილეო კამპანიისათვის სახელგამმა გამოსცა შემდეგი წიგნები ქართულ ენაზე: ვ. ი. ლენინის წერილები მაქსიმ გორკისადმი, გვ. 215, ფასი 65 კ. ივ. გომართელის წიგნი: „მაქსიმ გორკის ცხოვრება და შემოქმედება" გვ 64. ფასი 35 კაპ.; წიგნები იყიდება სახელგამის ყველა მაღაზიებში.

◆ **სალიტერატურო საღამო.** დღეს, 29 აპრილს რუსთაველის საკონცერტო დარბაზში გაიმართება სალიტერატურო საუბარი რომანზე: „ჯაყოს ხიზნები" ავტორის—მიხ. ჯავახიშვილის მონაწილეობით. მომხსენებელი სეით დევდარიანი, თავმჯდომარე—გრ. რობაქიძე, საუბარში მონაწილეობას მიიღებენ: ს. ამაღლობელი. ი. გომართელი, შ. დუდუჩავა, კ. კაპანელი და სხ.

◆ **კომკავშირელ მწერალთა წრეში.** დღეს საღამოს 6 საათზე (ხელოვნების სასახლეში მაჩაბლის ქუჩა № 13) შესდგება კომკ. მწერ. წრის მორიგი ლიტერატურული სხდომა. დღის წესრიგშია: 1) მასალების განხილვა. 2) ლიტ. საღ. გამართვა.

◆ **თაიროვის მოხსენება.** ორშაბათს, ოპერის თეატრში კამერ. თეატრის რეჟისორი თაიროვი წაიკითხავს მოხსენებას თეატრზე.

◆ **„კრაზანა".** ხვალიდან თბ. კინოებში დაიწყება სახკინმრეწვის ახალი სურათის „გორა"-ს ჩვენება. დადგმა კ. მარჯანიშვილის.

◆ **რუსთაველის თეატრის სეზონი დაიხურება** დღეს. წარმოდგენილი იქნება „რღვევა".

◆ **რუსთაველის თეატრის ტეხნიკურ პერსონალის** სასარგებლოდ, ორშაბათს, 30 აპრილს წარმოდგენილი იქნება „ამერიკელი ძია".

◆ **დ. კაკაბაძის სურათების გამოფენა.** 2 მაისს ქართ. მხატვართა საზ-ბის დარბაზში („ორიანტი"-ს შენობაში) გაიხსნება მხატვარ დ. კაკაბაძის სურათების გამოფენა.

◆ **უიხარევას გასტროლები.** 2 მაისიდან რუსთაველის თეატრში დაიწყება უიხარევას გასტროლები ბაქოს მუშათა თეატრის ანსამბლის მონაწილეობით. წარმოდგენილი იქნება „იდიოტი".

◆ **სახ. ოპერის მსახიობთა კოლექტივი** ამჟამად წარმოდგენებს მართავს ბათომში. ორკესტრს დირიჟორობს ი. ფალიაშვილი.

რკინის გზებზე

12 ახალი სადგური

მიმდინარე წელს ა.-კ. რკ. გზ. მთავარ ხაზზე გადაწყვეტილია 12 ახალი პატარა სადგურების გახსნა.

მუშაობა სადგურების გასახსნელად უკვე დაწყებულია.

რკ. გზის ახალი შტო

ა.-კ. რკ. გზ. გამგეობას გადაწყვეტილი აქვს სომხეთში—ლენინაკანიდან სოფ. არტიკამდე რკინის გზის ახალი შტოს გაყვანა.

საჭირო მოსამზადებელი მუშაობა დაიწყება ახლო ხანში.

გზის მუშაობა მაისში

ა.-კ. რკინის გზების ტვირთზიდვა მაისში გამოიხატება 1.450 ვაგონში. აქედან დღე-ღამეში მშრალი ტვირთი გადაზიდული იქნება—325 ვაგონის რაოდენობით, ნავთის პროდუქტები—475 ცისტერნის რაოდენობით და მეზობელ გზებიდან მიიღებენ —325 ვაგონს.

ევლახის ხიდის გახსნა

დღეს, 29 აპრილს მოხდება ახლად აგებულ ევლახის ხიდის საზეიმო გახსნა. ხიდის გახსნაზე მიემგზავრებიან: ა.-კ. რკ. გზ. გამგეობის თავმჯდომარე ამხ. პოზდეევი და მთავრობის და სხვადასხვა ორგანიზაციების წარმომადგენლები.

საექსკურსიო მატარებლები

დღეს, 29 აპრილს, თბილისიდან მცხეთამდე დანიშნულია ორი საექსკურსიო მატარებელი. პირველი მატარებელი თბილისიდან გავა დილის 9 საათზე და 25 წუთზე. მეორე მატარებელი გავა რამოდენიმე ხნის შემდეგ.

მატარებლები უკან დაბრუნდება საღამოს.

სასამართლო

როგორ ებრძოდა ფეშტევანი „კუდიანებს"

სოფელ ურავში (რაჭის მაზრა) არსებობდა „კუდიანებთან და ეშმაკებთან მებრძოლი სამეული". სამეულში შედიოდენ ცოლ-ქმარი **ფეშტევან და იასონ რეხვიაშვილები.** აგრეთვე მათი ქალიშვილი ვერიჩკა.

აქტიური მებრძოლი და სამეულის თავმჯდომარეც იყო ფეშტევანი. იასონი ცნობებს აგროვებდა, ხოლო ვერიჩკა „ანგელოსებისაგან" იღებდა რჩევა-დარიგებებს და აწვდიდა სამეულის თავმჯდომარეს ფეშტევანს.

— გუშინ ვერიჩკას ანგელოსი გამოცხადებია, გაიგე?

— მერე, რა უთქვამს, ქალო?

— რა უთქვამს და კუდიანები გამრავლდა თქვენს სოფელშიო. ხალხს დაღუპვა ელისო. ილოცეთ მუხლ-მოდრეკით. იწირეთ პირჯვარი. აღადგინეთ ეკლესიები, თორემ ღვთის რისხვა დაგატყდებათო. კიდევ ბევრი რამე უთქვამს.

— რას ამბობ ქალო! მოდი ერთი წავიდეთ ფეშტევანთან ის მოგვიყვება დაწვრილებით ამბავს.

შეიკრიბებოდენ გამოყრუებული დედაკაცები და ეწვეოდენ „წმინდა" ოჯახს.

ვერიჩკა იწვა ლოგინში, როგორც ავადმყოფი.

ფეშტევანი უყვებოდა ხალხს „ანგელოსის" ნაამბობს. ისინი ასკილივით თავს აქნევდა ფეშტევანის ნათქვამის დასადასტურებლად.

— კიდევ ვინ ყოფილა კუდიანი? მეტი არა ვინ დაუსახელებია?—აძლევენ შეკითხვას ფეშტევანს.

— ვინ ყოფილა და ეგ ჩვენი კარგი მეზობელი! კიდევ ბევრი ყოფილა სხვებიც, მაგრამ ვერიჩკამ ვერ მოასწრო გამოკითხვა. ანგელოსს ეჩქარებოდა.

— ნეტავი კიდევ არ გამოეცხადება?

— როგორ არა, დღეში სამჯერ ნახულობს.

— თუ ქალი ხარ, სთხოვე ვერიჩკას, კარგად გამოკითხოს კუდიანების გვარები,—დედაბრებმა იშოვეს საქმე!

— მერე, თურმე, კუდიანები კატებათ იქცევიან.

— დიდება შენს სახელს, ღმერთო! კატებისაც უნდა გვეშინოდეს?

— აბა რა გგონიათ თქვენ!—ფეშტევანს იასონი ემოწმება. მოდით და ნუ დაუჯერებთ!

— რა ვუყოთ, როგორ დავიფაროთ თავი ამ კუდიანებისაგან! არაფერი უთქვამს ანგელოსს ამის შესახებ?

— ამას რათ უნდა ანგელოსი. ეს მეც კარგად ვიცი, როგორ ვებრძოლოთ კუდიანებს. ერთი უებარი საშუალებაა დადაღვა.

და მართლაც ფეშტევანს ამ საქმეში დიდი პრაქტიკა ჰქონდა მიღებული. მეზობლის კატები არ გაუშვა დაუდაღავი. გახურებდა შამფურს დააკრავდა კატას კუდზე. გამწარებული კატის ჭყივილი თითქმის ყოველდღე ისმოდა რეხვიაშვილების ოჯახში.

კატების დადაღვა ეს კიდევ არაფერია. ფეშტევანს მიზანში ჰყავს ამოღებული ერთი ქალი, რომელიც რაც არ უნდა დაუჯდეს უნდა დადაღოს. ტასო ჩალაძე უნდა დადაღოს, როგორც „კუდიანი"!

ფეშტევანმა შეადგინა გეგმა. შედო შამფური ცეცხლში და კაცი გაგზავნა ტასოს დასაპატიჟებლად.

— ფეშტევანმა შემოგითვალა, ჩემი ავადმყოფი ქალიშვილი ნახე, ძალიან ენატრებიო,—გადასცა ტასოს ჩალაძეს გაგზავნილმა მოციქულმა.

ჩალაძის ქალი მაშინვე ადგა და წავიდა.

ტასომ გამოჰკითხა ავადმყოფს, რა სატკივარი აქვს, როგორ გრძნობს თავს. მისცა ნუგეში.

ამ დროს ფეშტევანი შამფურს უტრიალებდა ცეცხლში. ჯერ კიდევ არ იყო კარგად გახურებული.

ჩალაძის ქალმა წასვლა დააპირა. ფეშტევანმა მოიმარჯვა გახურებული შამფური და დაარტყა ქალს ტუჩებზე. ქალმა იკივლა სიმწარისაგან. ფეშტევანმა მეორეჯერ დაჰკრა შამფური და ქალი დაეცა.

დადაღული ტასო ჩალაძის ქალი მეზობლებმა გრძნობა დაკარგული გამოიტანეს რეხვიაშვილების ხელიდან. უწამლეს და მოარჩინეს.

ეს ამბავი მოედო მთელს სოფელს. აღშფოთდა ხალხი. გლეხებმა აღძრეს საჩივარი რეხვიაშვილების წინააღმდეგ. ურავის თემაღმასკომმა პასუხისგებაში მისცა „კუდიანებთან" მებრძოლი ცოლ-ქმარი.

— მართლა ნახულობს შენი ქალიშვილი ანგელოსს?—სიცილით ეკითხება მოსამართლე ფეშტევანს.

— ნახულობს მა! ერთხელ კი არა სამჯერ დღეში,—დაბეჯითებით ლაპარაკობს ფეშტევანი სასამართლოში. (სასამართლოს დარბაზში სიცილია).

— რას ერჩოდით ჩალაძის ქალს, რატომ დაასახიჩრეთ?..

— არ მცილდებოდა ოჯახიდან. ყოველთვის ჩემსას იყო. ამით მოვიცილე,—ლაპარაკობს ფეშტევანი.

— რადა მაინცა და მაინც გახურებული შამფური დაარტყი და არა ჯოხი, ან თუნდაც შამფური გაუხურებელი,—ეკითხება მოსამართლე.

ფეშტევანი არაფერს ამბობს.

სასამართლოს გამოაქვს განაჩენი. ფეშტევან რეხვიაშვილს მიესაჯა 3 თვით თავისუფლების აღკვეთა. მის ქმარს იასონს ერთი თვით იძულებითი მუშაობა.

მერ.

ავიაქიმში

ავიაქიმის საბჭოს პლენუმი

საქ. თავდაცვა-ავიაქიმის პრეზიდიუმის დადგენილების თანახმად, თავდაცვა - ავიაქიმის სრულიად საქართველოს პირველი ყრილობის მოწვევა გადადებულია მომავალი წლის შემოდგომამდის.

მაისის 20 მოწვეული იქნება თავდაცვა-ავიაქიმის საბჭოს გაფართოებული პლენუმი ადგილებზე მომუშავე ამხანაგებთან ერთად.

პლაკატების გამოცემა

საქ. თავდაცვა-ავიაქიმის პრეზიდიუმმა დაადგინა ახლო ხანში ქართულ ენაზე გამოსცეს მხატვრული პლაკატები შემდეგი შინაარსით: ქიმია სასოფლო მეურნეობაში, სამოქალაქო ავიაცია და მისი მნიშვნელობა და სხვ.

ჟურნალის გამოცემა

საქ. თავდაცვა - ავიაქიმის პრეზიდიუმმა თავის უკანასკნელ სხდომაზე საჭიროთ სცნო ავიაქიმის ჟურნალის გამოცემა. პრეზიდიუმმა დაადგინა შეუთანხმდეს ფიზკულტურის უმაღლეს საბჭოს და მასთან ერთად გამოსცეს ჟურნალი სახელწოდებით „ფიზკულტურის უმაღლეს საბჭოს და თავდაცვა - ავიაქიმის ჟურნალი".

თოფების მიღება

საქ. თავდაცვა - ავიაქიმი ამ დღეებში მოსკოვიდან მიიღებს „გეკო"-ს სისტემის თოფების დიდ რაოდენობას. თოფების გასანაწილებლად ავიაქიმის უჯრედებს შორის გამოყოფილია კომისია.

რადიო-გადაცემა

კვირა, 29 აპრილი

დღეს, 29 აპრილს, თბილისის 4 კილოვატიან რადიო-სადგურიდან 870 მეტრიან ტალღაზე გადაცემული იქნება:

პიონერთა გაზეთი და პიონერების გამოსვლა.

მოხსენება პირველ მაისზე—რუსულ ენაზე.

საუბარი აგრონომიაზე—ქართულ ენაზე.

მ. გორკის ნაწერების მხატვრული კითხვა—ქართულ ენაზე.

საბჭოთა კინოს ამოცანები და კულტურული რევოლუცია—მოხსენება რუსულ ენაზე.

ტეხნიკური კონსულტაცია.

გეოფიზიკურ ობსერვატორიის ცნობები.

კონცერტი ან და ტრანსლიაცია.

ა.-კ. დეპეშათა სააგენტოს ინფორმაცია.

ორშაბათი, 30 აპრილი

მოხსენებები 1-ლ მაისზე—რუსულ, ქართულ სომხურ, თურქულ, აფხაზურ და ოსურ ენებზე.

კომკავშირის გაზეთი რუსულ ენაზე და მუსიკალური წრის გამოსვლა.

ობსერვატორიის ცნობები; კონცერტი ან და ტრანსლიაცია.

ა.-კ. დეპეშათა სააგენტოს ინფორმაცია.

ფიზკულტურა

შეჯიბრები ფეხბურთში

დღეს, 29 აპრილს, გაიმართება პირველი კატეგორიის გუნდების სამი კალენდარული შეჯიბრი.

დილის 1-ლ საათზე „დინამო"-ს სტადიონზე თამაშობენ „კვების მუშაკები" და „საქართველოს სატყეო მრეწველობის ტრესტი".

ნაშუადღევის 3 საათზე იქვე გაიმართება „დინამო-პირველის" და „საბჭოთა მუშაკების" შეჯიბრი.

მესამე შეჯიბრი შესდგება ლენინის სახელობის სტადიონზე ნაშუადღევის 5 საათზე. თამაშობენ „დინამო—ბ" და „არხრაიონი".

ფიზკულტურელების მონაწილეობა 1-ლი მაისის დღესასწაულში

პირველ მაისს ყველა ფიზკულტურელებმა თავი უნდა მოიყარონ ლენინის სახელობის სტადიონზე დილის 8 ნახ. საათზე.

9 საათზე იწყება ფიზკულტურელთა მსვლელობა; ფიზკულტურელები იკავებენ ადგილს მეორე და მესამე რაიონებს შორის. სასროლი წრეები გამოდიან თავდაცვა-ავიაქიმის წრეებთან ერთად და თავს იყრიან აგრეთვე ლენინის სახელობის სტადიონზე. მოჭიდავეებისა და მოტო-ველო სპორტსმენებისაგან შედგენილი იქნება ცალკე საკავშირთაშორისო კოლონა.

ფიზკულტურელების კოლონის მეთაურად პირველი მაისის დემონსტრაციაში დანიშნულია ეგნატაშვილი.

შრომის ბირჟაში

მოთხოვნილება მუშა-ხელზე

ხვალ, 30 აპრილს, თბილისის შრომის ბირჟე სამუშაოზე იწვევს შემდეგ უმუშევრებს: **გონებრივ მუშაკთა მეორე სექციიდან:** ანნა მახარაშვილი და ვერა ვიხელიშვილი; **მშენებელ მუშაკთა მეხუთე სექციიდან:** ვასილ ამანათაძე, მაგნე ძროთიაიშვილი, სარქის ყასაბიანცი; **შავ მუშათა მესამე სექციიდან:** ნინო ტურიშვილი, ელენტინა გროსი, მარგარიტა ჯემი, მარიამ ჩარკვიაშვილი, ტატიანა ხიტკია, მარიამ ლაზიანი, სოფიო მელიქოვა, ვიგან საფაროვი და სიმონ მელიქიანცი; **რკინისგზელთა მეშვიდე სექციიდან:** ჩიქოვანი, ბერიშვილი, ტერტერაშვილი, სოკოლოვი, ხაზარაძე, უგულავაშვილი; შაგატაშვილი, გამცემლიძე, ხითარიშვილი, გვირამაძე, ხონელი, გოგორიშვილი; მგალობლიშვილი და ბარბაქაძე.

იურიდიული დახმარება

კავშირის წევრს № 2787

კითხვა

ვმსახურობ სახელმწიფო დაწესებულებაში, თვიური ჯამაგირის, დატვირთვით ვღებულობ 250 მანეთს. მიჭირავს ორი ოთახი სივრცით 35 კვ. მეტრი. ჩემს კმაყოფაზე იმყოფება 5 სული.

გთხოვთ მაცნობოთ ვრცელდება თუ არა ჩემზე ბინის ქირის დებულების მე-6-ე მუხლის გარდა მუხლი 23. ა) დებულებისა.

პასუხი

თქვენ შეგიძლიათ იმ შეღავათის გარდა, რაც დაწესებულია მე-6 მუხლით, ისარგებლოთ აგრეთვე შეღავათით 23 მუხლის თანახმად.

ხელოვნების კავშირის წევრს ვ. მახარაძეს № 37695

კითხვა:

გასულ წელს ვმუშაობდი ოპერის თეატრის გრიმიორის მოწაფედ. სეზონის დახურვის გამო დაგვითხოვეს ყველა, მაგრამ წელს, სეზონის განახლებისას, ჩემს გარდა ყველა მიიღეს. მე კი, როგორც მოწაფე, არ მღებულობენ უკან, თუმცა ადგილი თავისუფალია. გთხოვთ გვიპასუხოთ ვრცელდება თუ არა შტატის შემცირება მოწაფეზე, ან ვის შეუძლია სამართლიანი დახმარება.

პასუხი:

თანახმად შრომის კანონთა კოდექსის მე-47 მუხლის „ბ" წერტისა, შრომის ხელშეკრულება შეიძლება დარღვეულ იქნეს, თუ მუშაობა შეჩერდა ერთ თვეზე მეტი წარმოებითი ხასიათის მიზეზებისა გამო. ამიტომ თქვენი დათხოვნა სეზონის დახურვის გამო, კანონიერად უნდა ჩაითვალოს. ამის შემდეგ თქვენი მიღება უნდა მოხდეს ახალი შრომის ხელშეკრულების დადებით, ეს კი სავსებით დამოკიდებულია თეატრის ადმინისტრაციისაგან.

ოფიც. განყოფილება

დადგენილება № 24

სრულიად საქართველოს საბჭ. ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მიერ „სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმში დეკრეტებისა და დადგენილებების პროექტების განხილვის წესის შესახებ" 1923 წლ. მაისის 26-ს თარიღითა და 41 №-ით გამოცემული დადგენილების მე-5 და მე-6 მუხლის გაუქმების შესახებ.

„საქართველოს ს. ს. რ. მთავრობის კანონთა და განკარგულებათა გამოქვეყნების წესის შესახებ" სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს ს. ს. რ. სახალხო კომისართა საბჭოს 1928 წლის აპრილის 25 თარიღისა და 22 №-რის დადგენილების გამოცემასთან დაკავშირებით, სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ადგენს:

გაუქმებულ იქნეს სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მიერ „სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმში დეკრეტებისა და დადგენილებების განხილვის წესის შესახებ" 1923 წლ. მაისის 26-ს თარიღით და 41 №-ით გამოცემული (კან. კრ. 1923 წლ. 1-ლი № მუხ. 21) დადგენილების მე-5 და მე-6 მუხლი.

ხელს აწ. სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანის მაგ. **დ. აფციაური.**

1928 წ. აპრილის 25.

თბილისი—სასახლე

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

საპირველმაისო ტრიბუნებზე

პირველი მაისის დღესასწაულის ჩამტარებელი კომისია დემონსტრაციის მისალმებებში მონაწილეობის მისაღებად პირველ მაისს დილის 10 ნახ. საათზე ტრიბუნაზე (სასახლის წინ) იწვევს შემდეგ ამხანაგებს: მ. ორახელაშვილს; ნაზარეტიანს; რუბენს; მ. ცხაკაიას; ფ. მახარაძეს; მ. კახიანს; შ. ელიავას; შ. ქართველიშვილს; ს. ჯუღელს; გ. ყურულაშვილს; ლ. სუხიშვილს; ერ. ძარიბეკოვს; ს. გეგეჭკორს; ლევანდოვსკის; ლ. ლორთქიფანიძეს; ვასილიაგუს; ვ. სტურუას; ვ. ბოლქვაძეს; დ. კანდელაკს; ს. თოდრიას; მათიკაშვილს; ბეკზადიანს; ბაგიროვს; მგალობლიშვილს, ივანოვ-კავკასიელს; ლისოვსკის; კაულს; ლ. ბერიას; იაშვილს; შავერდოვს; რახმანოვს; ჯავახიძეს; მაჩაიძეს; იაკუბოვს, ა. დოლიძეს; მარიამ ორახელაშვილს, გ. ჯაფარიძეს.

საქართველოს კომ. პარ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის არსრაიკომის საგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილება იტყობინება, რომ არსრაიონის ქვედა პარტაქტივის კურსების მორიგი მეცადინეობა შესდგება ორშაბათს 30 აპრილს, საღამოს 6 საათზე რაიკომის შენობაში.

სახ. უნივერსიტეტის გაერთიანებულ კომუჯრედთა ბიურო იტყობინება, რომ ა. წ. 30 აპრილს დღის 12 საათზე მოწვეულია სტუდენტთა აღმასკომის ბიუროს კომფრაქციის სხდომა. დასწრება სავალდებულოა.

ორშაბათს, 30 აპრილს, დღის 4 საათზე შესდგება სამკურნალო ფაკულტეტთან არსებულ მიმდინარე პოლიტიკის შემსწავლელი წრის მეცადინეობა ამხ. დ. გვაზავას ხელმძღვანელობით.

დასწრება წრის ყველა წევრთათვის სავალდებულოა.

ხუთშაბათს, 3 მაისს, დღის 12 საათზე საქ. კომ. პარ. (ბ) თბილისის კომიტეტის მუშა-გლეხ-ქალთა განყოფილების ოთახში შესდგება რაიკომის მუშა-გლეხ-ქალთა განყოფილებათა გამგეების თათბირი.

საქართველოს კომ. პარ. (ბ) თბილისის კომიტეტის სააღრიცხვო-განმანაწილებელი განყოფილება სთხოვს ქვემოდ დასახელებულ ამხანაგებს გამოცხადდენ ორშაბათს, 30 აპრილს საქართველოს კომ. პარ. (ბ) თბილისის კომიტეტის სააღრიცხვო-განმანაწილებელ განყოფილებაში (ოთახი № 10) ამხ. თარხანოვთან

პროკოფი ბაგრატის ძე შათირიშვილი; აგუნია გრიგოლის ასული ვართანოვა, არტემ ფილიპეს ძე ლომთათიძე, ბენიამინ ტიმოთეს ძე ორტემოვი, კონსტანტინე ცოტაძე, გოგი ლომიძე; ემილია ანსის ასული კრონტალი; მიხეილ წყალობის ძე კანანოვი, ივანე ნესტორის ძე ეფრემიძე; მიხეილ დიმიტრის ძე ცომაშვილი, ბახსოვი, ალიევი; ივანე სტეფანეს ძე გლადჩენკო, კირა მიხეილის ასული კუზნეცოვა; პეტრე სესეს ძე ჯალაღეი, მიხეილ ილარიონის ძე გორგიაშვილი; ივანე მიხეილის ძე სევასტიანოვი, გეურქ ავეტიკას ძე საჰაკოვი, იოსებ სპირიდონის ძე გაბოშვილი, სარქის სტეფანეს ძე აბოვიანი, უშანგი ს. ლორთქიფანიძე, ორუჯ-ოღლი სეიუნ-კული, ანდრო მოსეს ძე სარქისოვი, იაგორ ივანეს ძე გეორგიევი, გრიგოლ მიხეილის ძე ტიბილაშვილი, ელენე მიხეილის ასული რაპოპორტ-იონოვა, მიხეილ ალექსანდრეს ძე გრანდილევსკი, გიორგი იოსების ძე მთვირალაშვილი, ლევან პეტროსის ძე არუთინიანი, გრიგოლ ივანეს ძე გუბინი და ანა ალექსანდრეს ასული გუბინა.

ამხანაგები, რომლებიც თბილისის გარეთ იმყოფებიან, ნუ გამოემგზავრებიან. ადგილმყოფელობისა და მუშაობის შესახებ წერილობით შეატყობინონ საქართველოს კომ. პარ. (ბ) თბილისის კომიტეტის სააღრიცხვო-განმანაწილებელ განყოფილებას.

სრულიად საქართველოს საბჭოთა მწერლების ფედერაციის საბჭოს პრეზიდიუმი ამით აცხადებს, რომ მაისის პირველს პარიზიდან ბათომში ჩამოასვენებენ ტრაგიკულად გარდაცვლილის საზოგადო მოღვაწის

გრიგოლ ვეშაპელის

ნეშტს. ნეშტის თბილისში ჩამოსვენების დღე ცალკე იქნება გამოცხადებული.

საქართველოს ბეჭდვითი სიტყვის მუშაკთა სექციის ცენტრალური ბიურო ამით აუწყებს ამხანაგებს, რომ მიმდინარე წლის პირველ მაისს საფრანგეთიდან ბათომში ჩამოასვენებენ ცნობილ ჟურნალისტის, ტრაგიკულად დაღუპულ

გრიგოლ ვეშაპელის

ნეშტს. თბილისში ჩამოსვენების დღე ცალკე იქნება გამოცხადებული.

სამუდამოთ გლოვით მოცულნი უნუგეშო მშობლები გიორგი და ელისაბედ ვეშაპელი შვილებით ნინო, მიხეილ და თინათინ რძლით და შვილიშვილებით აუწყებენ ნათესავთ და საზოგადოებას, რომ მათთვის საყვარელ და დაუვიწყარ, ტრაგიკულად დაღუპულ

გრიგოლ ვეშაპელის

ნეშთი ჩამოსვენებულ იქნება საფრანგეთიდან ქ. ბათომში ა | წ. 1 მაისს. ქ. თბილისში დაკრძალვის დღე ცალკე იქნება გამოცხადებული

ღრმად დამწუხრებული მეუღლე ნინო სამსონის ასული ვეშაპელის აუწყებს ნათესავთ და საზოგადოებას, რომ მისთვის დაუვიწყარ ქმრის ტრაგიკულად დაღუპულ

გრიგოლ ვეშაპელის

ნეშთი ჩამოსვენებულ იქნება ქ. ბათომში ა | წ. 1 მაისს. ქ. თბილისში დაკრძალვის დღე ცალკე იქნება გამოცხადებული

ც.პ.ს. კურსანტები: მექვაბიშვილი, სამხარაძე, ჯაყელი, ფრანგიშვილი, მელაძე, ყაჭეიშვილი, რომანაძე, კახიძე, გრიგორია, იზორია, წოწორია, კახეთელიძე, შელქანია, კვაშალი, ჯახიევი, კაჯერიშვილი, გეგეშიძე, თარხნიშვილი, [illegible] ღრმა მწუხარებით აუწყებენ საზოგადოებას ძვირფასი ამხანაგის

ანტონ ანდრიას-ძე ჭანტურიას

გარდაცვალებას. 2237

ამხ. ს. ორჯონიკიძის სახელობის ც. პ. სკოლის ლექტორთა შემადგენლობა და თანამშრომლები აუწყებენ საზოგადოებას ძვირფასი ამხანაგის, ნიჭიერ ახალგაზრდის და დაუვიწყარ მეგობრის

ანტონ ანდრიას-ძე ჭანტურიას

გარდაცვალებას. 2235

ამხ. ს. ორჯონიკიძის სახ. ცენტრალური პარტიული სკოლის გამგეობა, კომპარტიის (ბ) და ა.ლ.კ.კ. უჯრედები ღრმა მწუხარებით აუწყებენ საზოგადოებას, რომ 25 აპრილს საღამოს 7 საათ. 20 წუთზე ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა ამავე სკოლის საუკეთესო კურსანტი, [illegible] თანამებრძოლი, ახალგაზრდა კომუნარი

ამხ. ანტონ ანდრიას-ძე ჭანტურია

რომლის დაკრძალვა მოხდება კვირას, 29 აპრილს, ვერის ახალ სასაფლაოზე. გამოსვენება ც. პ. სკოლიდან—დღის 1 საათზე. 2234

ცენტრალური პარტიული სკოლის კურსანტი ქალები: რთველაძე, ინწკირველი, ხატისკაცი, მურცხვალაძე, კვეზერელი, ლიჩელი, ოლშევსკაია, კეშიშევა, დარსაველიძე, გოჯიაშვილი, ოტირბა, ჩხეიძე, კუზუბოვა, თუმანიშვილი, კასიმსკაია, ყურაშვილი, მჭედლიშვილი, კონტრა, ტურიაშვილი და მღივნიშვილი ულრმესი მწუხარებით აუწყებენ საზოგადოებას საყვარელ

ამხ. ანტონ ჭანტურიას

გარდაცვალებას. 2236

ღრმად დამწუხრებული მეუღლე თომა, შვილი თენგიზი, მამამთილი ნიკოლოზი მეუღლით დ შვილებით: დავითი და ლიზიკო მჭედლიშვილები და სიძე ალექსანდრე აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ ა. წ. 25 აპრილს მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა მათთვის დაუვიწყარი

თამარ სამსონის ასული მჭედლიშვილისა

გამოსვენება მოხდება საკუთარ ბინიდან—ალექსანდროვის ქ. № 49, დღეს, კვირას, 29 აპრილს, 4 საათზე. დაკრძალვა კუკიის სასაფლაოზე. 2204 2—2

გრიშა ჯავახიძის ახლო ამხანაგები: გრიშა ჭელიძე, აპოლონ ჯღმუხაძე, ვალოდია და კოტე კობახიძენი, საშა და ფილიპე დოხნაძენი, ვალიკო ყრუაშვილი, დაველოსტი აბუთიძე, ეფრემი ვაწაძე, სანდრო ჭიჭინაძე, მიშა და ბენია კანდელაკები და ბიძინა ჭანელიძე—ვიზიარებთ მის მწუხარებას მისი ქალიშვილის

კომუნარას

უდროოდ გარდაცვალების გამო. გამოსვენება ქალაქის პირველ საავადმყოფოდან, კვირას, 29 აპრილს, ნაშუადღევის 3 საათზე. 2233

გაუბედურებული ოჯახი: მშობლები ილია და მარიამი, ბიძები: ზაქარია, დიმიტრი, ესტატე, ძალუები: ანა, მაგდანი და ალექსანდრა; ბიძაშვილები: გაბრიელ, სოფიო, ლევან, მარიამი და გიორგი ჩაჩანიძეები იუწყებიან, რომ ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა

მიხეილ (მიშა) ილიას-ძე ჩაჩანიძე

რომლის გამოსვენება და დაკრძალვა მოხდება კვირას, 29 აპრილს, 3 საათზე, საკუთარ ბინიდან—ქიდის ქ. № 450, კუკიის სასაფლაოზე. 2229

ღრმად დამწუხრებულნი: და ელენე მიხეილის ასული მეუღლით თევდორე თევდორისძე ჟორდანია მწუხარებით აუწყებენ საზოგადოებას, რომ ქ. პრაღაში 1926 წ. 15 აგვისტოს გარდაცვლილ

ბარატ მიხეილის-ძე ილურიძის

სამოქალაქო პანაშვიდი და ფერფლის დაკრძალვა მოხდება ვერის ძველ სასაფლაოზე, კვირას, 29 აპრილს, დღის 12 საათზე. 2232

თავზარდაცემული მეუღლე სტანისლავ მიხეილის-ძე ციციშვილი, შვილები: ალისა, ბარბარე, ელენე და მიხეილი, სიძეები: ვასილ გუდკოვი, დავით ლუკაშვილი და კონსტანტინე ბრეგაძე, შვილიშვილები: გალია, თამარა, რუსიკო, მზია, პეტრე, ზიზო და ნანა აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა მათთვის ძვირფასი და დაუვიწყარი

ანა ესტატეს ასული ციციშვილისა

გამოსვენება საკუთარ ბინიდან (მალაკნის ქუჩა, 42), კვირას, 29 აპრილს, პირველ საათზე. დაკრძალვა ვერის ახალ სასაფლაოზე. 2239

მწუხარებით მოცულნი დედ-მამა ალექსანდრა და ამბერკი, ძმები: ივანე, გიორგი, ვასილი და ტიმოთე, დები: ნინო და შუშანა ჭიპაშვილები; დეიდა ეკატერინე, ფხაკაძე, დეიდაშვილები: ელენე და შალვა ჩხიკვაძეები ღრმა მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ 26 აპრილს ტრაგიკულად გარდაიცვალა მათი უძვირფასესი

ქეთო ჭიპაშვილი-შენგელიასი

და შალვა შენგელია

დასაფლავების დღე ცალკე იქნება გამოცხადებული. 2231

გულდათუთქული მამა პორფილე, ძმები: გალაქტიონ, სერაფიონ, გრიშა, დათიკო; დები: ოლია, ნინა, რძლები: ქეთია და ლიზა შენგელიები, სიძე ვ. ოყროშიძე, ა. ტრაპაიძე აუწყებენ ნათესავ-მეგობრებს, რომ ტრაგიკულად გარდაიცვალა საყვარელი და ძვირფასი

შალიკო პორფილეს-ძე და

ქეთო ამბერკის ასული შენგელიები

გამოსვენება ქალაქის მე-2 საავადმყოფოდან (ყ. ალექსანდრეს), კვირას, 29 აპრილს, დღის 3 ნახ. საათზე. დაკრძალვა მოხდება 1 მაისს, სოფ. პატრიკეთში. 2243

აპოლო	სეზონის საუკეთესო კომედია	**ნამდვილი მამაკაცი**	მთავარ როლში კარმენ ბონი
არფასტო	კომიკური ფილმი	**მოსამსახურე ყველაფრისათვის**	ბეტი ბალფურის მონაწილეობით
სოლეი	რევოლიუციონური ფილმი	**ოქტომბერი**	სცენარი და დადგმა ეიზენშტეინის და ალექსანდროვის
დარბაზი	ტარზანი სურათში	**„ბუქონის ნაპირთა საიდუმლოება"**	3 და 4 სერია
ოდეონი		**ვარიეტე**	ლია-დე-პუტის და ემილ იანინგსის მონაწილეობით
პროლეტარი ავლაბარი	უკანასკნელად თბილისში	**ნიშანი ზერო**	დუგლას ფერბენქსის მონაწილეობით

ანონსი: მალე მხატვრული სურათი „გ ო რ ა" საქართველოს სახკინმრეწვის ნაწარმოები. 0—20

განათლების კომისარიატი

მიხა ჩოდრიშვილის სახელობის

საბუღალტრო კურსები

ქართულ და რუსულ ენებზე

ახალი ჯგუფისათვის მიღება სწარმოებს მდივანთან ხელოსანთა კლუბში, პლეხანოვის პრ. № 66, ან კურსების გამგე იოვანე ზაქარიასძე ტერ-სტეფანოვთან, ბოჭორიშვილის (1-ლი თუმანოვის) ქ. № 13. 2238

იყიდება

საწოლი და სასტუმრო ოთახების

ავეჯეულობა-მოწყობილობა

ნახვა შეიძლება 2-დან 7 საათ. მისამართი: მუხრანის ქ. № 19 იკითხეთ სახლის პატრონი. 2230

ქალ. ლომბარდის სააუქციონო კამერა

აცხადებს, რომ კვირას, 29 აპრილს, დღის 12 საათზე ელისაბედის ქ. № 155 ფინსახკომისადმი დავალიანებათა ასანაზღაურებლად დანიშნულია

საჯარო ვაჭრობა

გაიყიდება მიხეილ აბგაიძის კუთვნილი 150 ვედრა ღვინო ნ. 1015

მიხეილ გედევანიშვილის

სახელობის

სამკურნალო

საწოლებით

ელექტრონით და სინათლით სამკურნალო კაბინეტი

ნერვიულ და აგრეთვე იმ ავადმყოფთათვის, რომელნიც ფიზიკურ მეთოდებით ექიმობას საჭიროებენ. მიღება 2—3 და 6—8 საათ. თბილისი, კორღანოვის ქ., № 20 25—4

ხარეჯაო კოოპერატიული ნადი

„მილოვარი"-ს სალიკვიდაციო კომისია

ამით აცხადებს, რომ იმ პირთ და ორგანიზაციებს, რომელთაც აქვთ რაიმე პრეტენზია ნადი „მილოვარი"-ს მიმართ, შეუძლიათ ასეთი წარუდგინონ მას ორი კვირის განმავლობაში დღიდან ამ განცხადების გამოქვეყნებისა, რის შემდეგაც პრეტენზიები აღარ მიიღება.

2228 სალიკვიდაციო კომისია

ექიმი

ი. ა. ტერ-ოვაკიმოვი

ავადმყოფების მიღება **ფსიქო-თერაპიის** დარგში; სქესობრივი აშლილობა, მავნებელი ჩვეულებანი, უძილობის ყველა სახეები. 5—8 საათამდე. სიფილისით დაავადებულთა მიღება დღის 11—1 საათამდე და საღამოთი დანიშვნით. საბჭოთა №48 (ყოფ. ჩერქეზიშვილის)ქორეხის ქ. კუთხე.

სახკინმრეწვი · ГОСКИНПРОМ

ნატა ვაჩნაძე

ი. მერაბიშვილი

ა. იმედაშვილი

ე. იმერელი

მხატვრულ სურათში

„გორა"

ვოინიჩის რომანის მიხედვით

რეჟისორი კ. მარჯანიშვილი

ოპერატორი ს. ზაბოზლაევი

ოთხშაბათიდან, 2 მაისიდან

კინო-თეატრებში

აპოლო, არფასტო,

სოლეი, პროლეტარი

ნ. 1020

იმერეთის მევენახეთა კოოპერატიული საზოგადოება

„იმერეთი-"ს გამგეობა

აცხადებს იმ მოქალაქეთა საყურადღებოდ რომლებზედაც ირიცხება „იმერეთი"-ს ვალი, რათა ყოველ მიზეზ გარეშე შემოიტანონ არა უგვიანეს ა | წ. 15 მაისისა წინააღმდეგ შემთხვევაში საქმე გადაეცემა სახალხო სასამართლოს და იმავე დროს მათი სახელი და გვარი გამოქვეყნებული იქნება პრესის საშუალებით.

2240 საზ. „იმერეთი"-ს გამგეობა

ორშაბათიდან, 30 აპრილიდან

განსაკუთრებული წარმატების გამო

მეორე კვირა გრძელდება ჩვენება

რევოლიუციონური ფილმის

ოქტომბერი

კინო-თეატრებში

პალასი და მინიონი

ნ. 1021

ქ. თბილისის შრომის სასამართლოს აღმასრულებელი

გრ. ა. დანელია

ამით აცხადებს, რომ ის 5 მაისს 1928 წ. დღის 2 საათ. სახლში № 8 ამაღლების ქუჩაზე **საჯარო ვაჭრობით** გაყიდის ზაქარია ზარაფოვის მოძრავ ქონებას: ერთი როიალს, ერთ ბუფეტს და ერთ პირსაბანს შეფასებულს 368 მან., მოქ. სარქის ხახატუროვის ვალის დასაკმაყოფილებლად თანახმად ქ. თბილისის შრომის სახალხო სასამართლოსაგან 29 დეკემბ. 27 წ. 19 აპრილს 1928 წ. თარიღით, № 4250—1244 გაცემულ აღმასრულებელ ფურცლისა. ნ. 1019

ქ. თბილისის მე-2 უბნის სასამართლო აღმასრულებ.

დალაქიშვილი

ამით აცხადებს, რომ ის 3 მაისს 1928 წ. დღის 1 საათ. სახლში № 8 მიძინების 3 ჩიხი **საჯარო ვაჭრობით** გაყიდის რუბენ აგიანის მოძრავ ქონებას: საკერავი მანქანას, ერთი კუშეტკაზე გადასაფარებელი ხალიჩას, 11 ც. ვენური სკამებს, ერთი მაგიდას და სხვ. შეფასებულს 121 მან., სონია აგიანის ალიმენტების დასაკმაყოფილებლად, თანახმად ქ. თბილისის მე-2 უბნის სახალხო სასამართლოსაგან 29 თებერვ. 1928 წ. თარიღით, № 602 გაცემულ აღმასრულებელ ფურცლისა. ნ. 1018

თბილისის ტრამვაის დირექცია

ამით აცხადებს, რომ ორშაბათს, ა | წ. 7 მაისს დღის 12 საათ., ტრამვაის ანგარანში, მუშტაიდის შესახვევი № 8

დანიშნულია

შეჯიბრი

1. ერთ სართულიანი აგურის შენობის აშენება ტრამვაის მასალით. ზომით 35 კუბ. საჟ. კარების და ფანჯრების გამოკლებით. კედლის სისქე 1,5—2 აგური, კირის სითხეზე.
2. 50 კუბ. საჟ. ღორღის მიწოდება საბჭოს ქუჩაზე. ღორღი უნდა იყოს მაგარი ქვის ჯიშისა, ზომით 2".
3. საბჭოს ქუჩაზე, ვაკეში და ტრამვაის ფარეხში მიწის სამუშაოები 220 კუბ. საჟენამდე, მიწის გაზიდვით.
4. ღორღის ამოთხრა ლიანდაგის ქვეშიდან, სადაც იხსნება ძველი ლიანდაგი საბჭოს ქუჩაზე და გადატანა იმავე ღორღისა იმავე ქუჩაზე ახალი ლიანდაგისათვის და ძველი ლიანდაგის ადგილას დარჩენილი ორმოების ამოვსება მიწით და დატკეპნა.
5. ყოველდღიური გასუფთავება ტრამვაის ლიანდაგისა მიწისაგან და ნაგვისაგან, რომელიც რჩება ტრამვაის მომკირწლავებს ლიანდაგის შეკეთების შემდეგ.

ფასები უნდა იყვეს წარმოდგენილი ტრამვაის ანგარანში დახურული კონვერტებში.

შეჯიბრის დროს უნდა წარმოდგენილი იქნას საწინდარი 5 პროც. რაოდენობით სამუშაოების ღირებულებისა

პაკეტების გახსნისთანავე, დაიწყება სიტყვიერი შეჯიბრი.

ნ. 1016 ტრამვაის დირექცია.

მოიკითხეთ ყველგან

1. პასტერიზაცია ქმნილი სამკურნალო ყურძნის წვენი
2. კარდანახი №38 პორტვეინის ტიპის
3. კარდანახი № 42 მადერის ტიპის.

სახალხო მამულთა ტრესტი

მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატისა.

0—1 ნ. 1022

ექიმი

კ. ს. ფონ-ირტელი

პლეხანოვის პროსპ. № 10 სპეციალურად მკურნალობს საშარდე, სქესობრივ (სქესობრივი უძლურება, ნერვიული სისუსტე), ვენერიულ (ტრიპერი) ავადმყოფობას, სიფილისს, და მის შედეგებს, კანისა და ქირურგიულ ავადმყოფობის (სიმსივნე, ბუასილი) ელექტრომკურნალობა და ოპერაციები. ავადმყოფების მიღება დილ. 8 ს. დღის 12 საათამდე და 4 ნახ. საათ.—საღ. 7 საათამდე. ქალების მიღება ცალკე. დილ. 11—12 საათამდე და საღამოს 7—8 საათამდე. 13—6

კბილის ექიმი

დ. ს. რიჟინაშვილი

კბილების და პირის სნეულებათა მკურნალობა. პლომბები, კბილების უტკივნელოდ ამოღება, ყოველგვარი ხელოვნური კბილების ჩასმა. ავადმყოფთა მიღება: 10—3 საათ. და 5—7 საათ. საღ.—მისამართი: გრიბოედოვის ქუჩა № 34 რუსთაველის გამზირის კუთხე.

ექიმი

ი. ი. ბერიშვილი

ვენერიული, საშარდე—სასქესო ორგანოების სიფილისი და კანის ავადმყოფობა

დილით 9—1 საათ. საღამოს 5—8 ს. ქალებისთვის ცალკე შესავალი, სასტუმრო „ევროპას" (ყოფ. „ნოეს") პირდაპირ ჩოდრიშვილის შესახვევი პლეხანოვის შესახვევი № 8.

დავკარგე: მატრიკული და პირადობის მოწმობა № 862 ნათელა მაშავას სახელზე, ჩ. გ. 2241

დავკარგე: მედსანშრომის კავშირის საწევრო წიგნაკი № 4408 მეგრელიშვილის სახელზე, ჩ. გ.

პოლიგრაფტრესტის მე-8 სტამბა, კამოს ქ. № 62